

ინოვაციური ეკონომიკა
და მართვა

**INNOVATIVE ECONOMICS AND
MANAGEMENT**

1

ტომი - Volume V.

2018

UDC (უაკ) 050: {33+338.24}
ო - 603

ჟურნალი „**ინოვაციური ეკონომიკა და მართვა**“ ინდექსირდება საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში და სისტემაში:

The Journal „**INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT**“ is indexed in the international scientometric databases, repositories and search engines:

Index Copernicus (პოლონეთი)
Open Academic Journals Index
elibrary.ru (რუსეთი)
Академия Google (CША)
cosmos impact factor (გერმანია, ბერლინი) Germany, Berlin

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ბადრი ბერგია, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მენეჯმენტის რეგიონული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ბელა მამულაძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

პასუხისმგებელი რედაქტორი

პაატა არაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ე.მ.დ., პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე**; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **ნინო აბესაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ნანა ასალაია**; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ბახტაძე**; ე.მ.დ., პროფესორი **რამაზ აბესაძე**; ე.მ.დ., პროფესორი **ანზორ აბრამაძე**; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **გიორგი აბუსაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **იოსებ არჩვაძე**; ტ.ა.დ., პროფესორი **თენგიზ ავსანაძე**; ე.მ.დ., პროფესორი **თეიმურაზ ბახვაშვილი**; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **აკაკი ბაკურაძე**; ე.მ.დ., პროფესორი **ევგენი ბარათაშვილი**; ე.მ.დ., პროფესორი **ელგუჯა მამუკაშვილი**; ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **ბენიკ ბაშრაძე**; ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **გივი ბაქრაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **როსტომ ბერიძე**; ე.მ.დ., პროფესორი **გივი ბაღიანაშვილი**; ტ.ა.დ., პროფესორი **ქეთი-**

ვან გოლატიანი; ე.ა.დ., პროფესორი **ვანტანო დათაშვილი**; ე.ა.დ., პროფესორი **ანზორ დავაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ციური დურული**; ე.ა.დ., პროფესორი **ლია ელიაშვილი**; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **გულნაზ ერქომანიშვილი**; ე.ა.დ., პროფესორი **მერაბ ვანიშვილი**; ე.ა.დ., პროფესორი **გორან თუთუაშვილი**; ე.ა.დ., პროფესორი **ნაზირ კაკულია**; ე.მ.დ., პროფესორი **პაატა კოლუაშვილი**; პ.ა.დ., პროფესორი **ნათია მიქაელთაძე**; ე.ა.დ. პროფესორი **ალექსანდრა სიჭინავა**; ე.ა.დ. ასოცირებული პროფესორი **ნინო ფარცხაშვილი**; ე.ა.დ., პროფესორი **რომან მამულაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ნინო ლიპარტელიანი**; ე.მ.დ., პროფესორი **რეზო მანველიძე**; ე.მ.დ., პროფესორი **ლამარა ქოქიაური**; ე.ა.დ. პროფესორი **გიორგი ღვინია**; ე.მ.დ., პროფესორი **ვლადიმერ ლლონტი**; ე.მ.დ., პროფესორი **პარლ დურნაია**; ე.მ.დ., პროფესორი **ლარისა ყორღანაშვილი**; ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი **გოდარძი შანიძე**; ე.მ.დ., პროფესორი **თეიმურაზ შენგელია**; ე.ა.დ. პრო-

ფესორი **ნანა შონია**; ე.მ.დ., პროფესორი **ნიკოლოზ ჩხლაძე**; ე.ა.დ. ასოცირებული პროფესორი **ირმა ჩხაიძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ასია ცინცაძე**; ე.ა.დ., პროფესორი **ნათია ნიკლაშვილი**; ე.მ.დ., პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**; ტ.ა.დ., პროფესორი **პარმან ხვამელიძე**; ე.ა.დ., პროფესორი **დავით ჯალაღონია**; ე.მ.დ., პროფესორი **მისაილ ჯიბუტი**; ე.ა.დ., პროფესორი **გურამ ჯოღია**; ს.მ.მ.დ., პროფესორი **რეზო ჯაბენია**; ბ. ა. დ. **ზურაბ მუშკუდიანი** (მთავარი რედაქტორის მოადგილე ჟურნალის ინგლისურენოვან ნაწილში)

**საკადავციო კოლეგიის
უცხოელი წევრები:**

ჰესუს ფარაირო აპარაციო, ე.მ.დ. ბასკეთის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი (ესპანეთი);
შპარლათი სარბი, ე.მ. დ. პროფესორი. ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორი (ჩერნიგოვი, უკრაინა);
კიზიმ ნიკოლაი, ე.მ.დ. პროფესორი. უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. (ხარკოვი, უკრაინა);
რუდენკო ოლბა, სახელმწიფო მართვის დოქტორი, პროფესორი. ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის და მენეჯმენტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (ჩერნიგოვი, უკრაინა);
ვლოკინკო ნატალია, ე.მ. დ. პროფესორი. უკრაინის ბიოლოგიისა და გარემოსდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური ეკონომიკის კათედრის გამგე (კიევი, უკრაინა);
შიმანოვსკა-ღიანიჩ ლუდმილა, ე.მ. დ. პროფესორი. პოლტავას ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის მენეჯმენტის კათედრის გამგე (პოლტავა, უკრაინა);
ლავრენკო ალექსანდრა, ე.მ.დ. პროფესორი. ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.
ხაუსტოვა ვიქტორია, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი (ხარკოვი, უკრაინა);
გადილა მიროსლავ, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ქ. კომიციუს ტექნოლოგიური

უნივერსიტეტის პროცესებისა და ინჟინერიის კათედრის გამგე (კომიცი, სლოვაკეთი);
კურჩაბსკი ალექსანდრა, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (პოლონეთი);
ჩარნეცკი პაველ, დოქტორი, პროფესორი. ვარშავის მენეჯმენტის უმაღლესი სკოლის რექტორი (ვარშავა, პოლონეთი);
ტრონიკოვსკი ტადაუშ, მენეჯმენტის დოქტორი, პროფესორი (ვლოცლავეკი, პოლონეთი);
ლუკინი სარბი, ე.მ.დ. ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (მინსკი, ბელორუსია);
ზლოტნიკოვა ლილია, ე.მ.კ. პროფესორი. ბელორუსიის ვაჭრობისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (გომელი, ბელორუსია);
ჩხლაძე ლევან, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი, მოსკოვი);
ისაჯი ნამიზ, ბიზნესისა და მართვის დოქტორი, აზერბაიჯანის საერთაშორისო დიასპორის წარმომადგენელი საქართველოში (ბაქო, აზერბაიჯანი);
მიღელსკი სარბი, პროფესორი. მენეჯმენტის რეგიონული აკადემიის პრეზიდენტი (ყაზახეთი, პავლოდარი);
პარსოლა მისალ, დოქტორი, პროფესორი მიხაილ ბალუდიანსკის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი. (სლოვაკეთი, კომიცი);
რამი გაურან, ეკონომიკის დოქტორი, ვიერნორმანდის გუჯარატის უნივერსიტეტის პროფესორი (გუჯარატი, ინდოეთი);
რომანენკო ევგენი, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი. პერსონალის მართვის რეგიონული აკადემიის საჯარო მმართველობის კათედრის გამგე, დოცენტი (უკრაინა, კიევი);
ბრიშნოვა ელენა, ე.მ.დ. ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
კუხმენკო გალინა, ე.მ.დ. კიროვოგრადის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, (უკრაინა, კროპივნიცკი);
ჩაკლანი ირინა, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა კანდიდატი, (უკრაინა, კიევი);
ვალდმოვა ნატალია, ე.მ.დ. კიროვოგრადის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, (უკრაინა, კროპივნიცკი).

© ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიეროპრაქტიკული ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“.

ISSN: 2449-2418
E-ISSN: 2449-2604

EDITORIAL BOARD

Editor in Chief

BADRI GECHBAIA, Doctor of Economics, Associate Professor.

Deputy Editor

GELA MAMULADZE, Doctor of Economics, Professor.

Responsible Editor

PAATA AROSHIDZE, Doctor of Economics, Associate Professor.

EDITORIAL BOARD:

Avtandil Silagadze, Doctor of Economic Sciences, Professor. Academician of the National Academy of Sciences of Georgia; **Nino Abesadze**, Doctor of Economics, Associated Professor; **Nana Akhalaia**, Doctor of Economics, Associated Professor; **Ekaterine Bakhtadze**, Doctor of Economics, Associated Professor; **Ramaz Abesadze**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Anzor Abralava**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Giorgi Abuselidze**, Doctor of Economics, Associated Professor; **Ioseb Archvadze**, Doctor of Economics, Professor; **Tengiz Apkhazava**, Doctor of Technical Sciences, Professor; **Teimuraz Babunashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Evgeni Baratashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Elguja Meqvabishvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Akaki Bakuradze**, Doctor of Economics, Professor; **Besik Bauchadze**, DBA, Associated Professor; **Givi Bakradze**, DBA, Associated Professor; **Rostom Beridze**, Doctor of Economics, Professor; **Givi Bedianashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Ketevan Goletiani**, Doctor of Technical Sciences, Professor; **Vakhtang Datashvili**, Doctor of Economics, Professor; **Anzor Devadze**, Doctor of Economics, Professor; **Tsiuri Duruli**, Doctor of Economics, Professor; **Lia Eliava**, Doctor of Economics, Professor; **Gulnaz Erqomaishvili**, Doctor of Economics, Associated Professor; **Merab Vanishvili**, Doctor of Economics, Professor; **Gocha**

Tutberidze, Doctor of Economics, Professor; **Nazira Kakulia**, Doctor of Economics, Associated Professor; **Paata Koguashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Natia Mikeltadze**, Doctor, Professor; **Aleksandre Sichinava**, Doctor of Economics, Professor; **Nino Paresashvili**, Doctor of Economics, Associated Professor; **Roman Mamuladze**, Doctor of Economics, Professor; **Nino Liparteliani**, Doctor of Economics, Professor; **Rezo Manvelidze**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Lamara Qoqiauri**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Giorgi Gvartadze**, Doctor of Economics, Professor; **Vladimer Glonti**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Karlo Gurtckaia**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Larisa Korganashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Goderdzi Shnidze**, DBA, Associated Professor; **Teimuraz Shengelia**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Nana Shonia**, Doctor of Economics, Professor; **Nikoloz Chikhladze**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Irma Chkhaidze**, Doctor of Economics, Professor; **Asie Cincadze**, Doctor of Economics, Professor; **Natia Tsiklashvili**, Doctor of Economics, Professor; **Eter Kharashvili**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Parmen Khvedelidze**, Doctor of Technical Sciences, Professor; **Davit Jalagonia**, Doctor of Economics, Professor; **Mikheil Jibuti**, Doctor of Economic Sciences, Professor; **Guram Jolia**, Doctor of Economics, Professor; **Rezo Jabnidze**, Doctor of Agricultural Sciences, Professor; **Zurab Mushkudiani**, DBA (Deputy Chief Editor in English Section of Journal).

■

**FOREIGN MEMBERS
OF THE EDITORIAL BOARD**

Aparacio Jesus Fereiro, professor of the faculty of Economics and Business on the university of Basque country (Spain);

Kyzym Mykola, Doctor of Economic Sciences, Professor. Corresponding Member of National Academy of Sciences of Ukraine. Honored Economist of Ukraine

Shkarlet Serhii, Doctor of Economic Sciences, Professor. Rector of Chernihiv National University of Technology (Ukraine);

Rudenko Olha, Doctor of Public Administration, Associate Professor, Director of SRI of Public Administration and Management, Professor of the Department of Management of Chernihiv National University of Technology (Ukraine);

Vdovenko Natalia, Doctor of Economic Sciences, Professor (Ukraine);

Shimanovska-Dianich Ludmila, Doctor of Economic Sciences, Professor (Ukraine);

Levchenko Aleksandr, Doctor of Economic Sciences, Vice Doctor for Scientific Activities of the Central

Khaustova Victoria, Doctor of Sciences (Economics), Associate Professor, Senior Research Fellow, Department of innovation development and competitiveness, Research Centre of Industrial Problems of Development of NAS of Ukraine;

Badida Miroslav, Doctor of Sciences, Professor, Pro-Dean of Machine Building Faculty of Technical University of Kosice (Slovak Republic);

Kuchabskyi Oleksandr, Doctor of Public Administration, Associate Professor (Poland);

Chernetski Pawel, Doctor of Sciences, Professor, Rec-

tor of Warsaw Management University (Poland);

Trocikowski Tadeusz, Doctor of Business Administration, Full Professor of Management, Correspondent Member of RAM (Poland);

Lukin Sergei, Doctor of Economic Sciences. Belarusian State University, Professor (Belarus, Minsk);

Zlotnikova Lidia, PhD in Economics, Associate Professor. Belarusian Trade And Economics University Of Consumer Cooperatives (Belarus, Gomel);

Chihladze Levan, Doctor of Law, Full Professor. Head of the Department Municipal Law. RUDN University (Russia);

Isayev Namig, PhD in business administration. Representation of Azerbaijan International Diaspora Centre in Georgia, (Azerbaijan);

Midelski Sergey, Professor. President of Regional Academy of Management (Kazakhstan);

Varchola Michal, Doctor of Sciences, Professor, President of the Academic Society of Michal Baludansky (Slovak Republic);

Rami Gaurang, PH.D Professor, Department of Economics Veer Narmad South Gujarat University (India);

Romanenko Yevchen, Doctor of Science in Public Administration, Professor, Head of the Dept. of Public Administration of Interregional Academy of Personnel Management (Ukraine).

Grishnova Olena, Doctor of Economic Sciences, Professor, Taras Shevchenko National University of Kyiv (Ukraine).

Kuzmenko Halyna, Doctor of Economics, Associate Professor, Kyiv (Ukraine).

Chaplay Irina, PhD of Public Administration, Associate Professor, Kyiv (Ukraine).

Shalimova Nataliia, Doctor of Economic Sciences, Professor, (Kropivnicki, Ukraine).

A (N) and the National Institute of Economic Research of the Teaching University of Batumi Navigation and reviewing scientific journal "Innovative Economics and Management".



ISSN: 2449-2418
E-ISSN: 2449-2604



EDUARD MIKELADZE — THE COMPETITIVENESS OF GEORGIAN HAZELNUT AND ITS PLACE.....	91
ვალერიან იმნაიშვილი — საქართველოს ტერიტორიულ გზაში ელექტრონული სანავიგაციო სისტემების გაუმჯობესება და სიმსხვე	98
VALERIAN IMNAISHVILI — CONDITION AND ACCURACY OF ELECTRONIC NAVIGATION SYSTEMS IN THE TERRITORIAL SEA OF GEORGIA.....	98
ტურსუნოვი ბობირ — ერთეული წარმოების სწარმოო სიმძლავრის გამოყენების ეფექტურობის ამაღლება ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მეთოდების საფუძველზე	104
TURSUNOV BOBIR — INCREASING OF EFFICIENCY OF INDIVIDUAL MANUFACTURE'S CAPACITY USAGE ON THE BASIS OF MODERN METHODS OF ARTIFICIAL INTELLIGENCE.....	104
ანზორ დევაძე, ნანი გვარიშვილი — საქართველოს ღანული ტერიტორიების ეკოლოგია ტურიზმის განვითარების კონტექსტში	112
ANZOR DEVADZE, NANI GVARISHVILI — ECOLOGY OF GEORGIAN PROTECTED AREAS IN THE CONTEXT OF TOURISM DEVELOPMENT.....	112

სოციალური ეკონომიკა - SOCIAL ECONOMY

ნათალია ხარაძე, ეკატერინე გულუა — პროფესორთა შეფასების კრიტერიუმებისა და სტუდენტთა ღამოქიფებულების კვლევის შედეგები	122
NATALIA KHARADZE, EKATERINE GULUA — IMPLICATIONS OF STUDENTS' ATTITUDE SURVEY ANALYSIS OF PROFESSORS' EVALUATION CRITERIA.....	122
ეკატერინე კალანდაძე — წავლა-სწავლების მეთოდი საზღვარსაღარო სინქრონო განათლებაში კომპიუტერის თანხლებით	132
EKATERINE KALANDADZE — LEARNING AND TEACHING STYLES IN ENGINEERING EDUCATION WITH COMPUTER ASSISTED LANGUAGE LEARNING (CALL).....	132

აგროსული მეცნიერებები - AGRICULTURAL SCIENCES

რეზო ჯაბნიძე, ინგა გაპრინდაშვილი — ღსავლეთ საქართველოში გავრცელებული ლურჯი მონვის ტექნოლოგიის თავისებურებანი	135
REZO JABNIDZE, INGA GAPRINDASHVILI — THE PECULIARITIES OF BLUE BLUEBERRY TECHNOLOGY SPREAD IN WESTERN GEORGIA.....	135
შოთა ლამპარაძე — მანღარის უნიუს კერსექტული ბუნებრივი მუტანტის „ღამარო“-ს გოგიერთი ბიოლოგიური და სავაჭრო თავისებურებანი	142
SHOTA LAMPARADZE — SOME BIOLOGICAL AND AGRICULTURAL PECULIARITIES OF TANGERIN UNSHIU PROSPECT NATURAL MUTANT "LAMPARI".....	142
ინგა გაპრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე, გიორგი ჯაბნიძე — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შეგვარება უნაბის ნაყოფებში	148
INGA GAPRINDASHVILI, NANA JABNIZE, GIORGI JABNIZZE — CONTENTS OF BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES IN THE FRUIT.....	148

სამედიცინო მეცნიერებანი - MEDICAL SCIENCES

ეკატერინე გვარიშვილი, ელიდა ხვედელიძე — უნიუს გურნალობას ბიოლოგიური მარაბის ერაში გაღვრება	151
EKATERINE GVARISHVILI, ELIDA KHVEDELIDZE, — UVEITIS TREATMENT MOVES TOWARD AN ERA OF TARGETED BIOLOGIC THERAPY.....	151

ისტორია - HISTORY

ნაირა ტაბიძე — საქართველოს ისტორიის საკითხები ევროინტეგრაციის ასექტში	155
NAIRA TABIDZE — GEORGIA HISTORY IN EURO INTEGRATION ASPECTS.....	155

გილოცვა - CONGRATULATIONS

ელენე ხარაბაძე - 75	158
----------------------------------	-----

საერთო წონასწორობის კლასიკური თეორიის თანამდროვე პრობლემები

THE MODERN PROBLEMS OF CLASSICAL THEORY OF COMMON EQUILIBRIUM

ლამარა ჟოქიაური,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი. ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი
ნინო ჟოქიაური,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი

LAMARA QOQIAURI,

Academician of Georgian Economics
Academy, Professor Senior Research
Scientist-Coworker at the National
Institute of Economic Research
NINO QOQIAURI,
Master of Sokhumi State University

ანოტაცია

შრომა ეძღვნება საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიის თანამდროვე პრობლემებს; განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისაგან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების შეფასების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, საერთო ეკონომიკის ლოზანის სკოლის მიხედვით. სტატიაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია თეორიის მათემატიზაციის „ტრადიციის“ ფუძემდებელ ლეონ ვალრასის და მისი მოწაფის ვილფრედ პარეტოს კვლევებზე, კერძოდ, პარეტოს ეფექტიანობის კონცეფციაზე და ვალრასის საერთო ეკონომიკური წონასწორობის კლასიკური მოდელის ძირითად დაშვებებსა და პარამეტრებზე;

საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორია ვალრასისა და პარეტოს შემდეგ ყოველთვის იყო მეცნიერ – ეკონომისტთა დაინტერესების ობიექტი და დღესაც არ კარგავს აქტუალობას. იგი დღესაც ბევრი მკვლევარის, მათ შორის ჩემი ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ლოზანის სკოლა, ეკონომიკური წონასწორობა, ვალრასის თეორია, მოთხოვნა, გაცვლა, პარეტოს ეკონომიკური თეორია, ზღვრული სარგებლიანობა, კეთილდღეობის ეფექტები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პარეტოს ეფექტიანობის კონცეფცია.

ABSTRACT

The work is dedicated to the modern problems of classical theory of common equilibrium. It's reviewed

the pros and cans of the prospect of welfare benefits from direct foreign investment, according to the common economics Lozzan school. The article focuses on the studies of the founder of the Mathematization Tradition Leon Valras and his pupil Vilferd Pareto. The concept of parent's efficiency and the general economic equilibrium of Varlas main assumption and criteria of classical mode.

The general economic equilibrium theory after Valras and Pareto has always been an object of interest to the scientist economic and still doesn't lose its actuality. It is still a great interest for a lot of scholars including me.

Key words: *Lozzan school, economic equilibrium, theory of volras, demand exchange, pareto's economic theory. Marginal utility, welfare effects, foreign direct investments, effectiveness theory of pareto.*

1. შესავალი

შესწავლის დონე

უცხოური ინვესტიციების პრობლემის კვლევას სულ უფრო მეტი ეკონომისტის შრომა აქვს მიძღვნილი. Aharoni Y., 1996; Fisher P., 2004; Kojima K., 1978; Narula R., 1996; Rugman A., 1980; Кодечников С.М., 2002; ქოქიაური ლ., 2010; ქოქიაური ლ., ბერიაშვილი., 2009; ქოქიაური ლ., 2010; ჭარაია ვ., 2015.

ამ შრომებში მოცემულია უცხოური ინვესტიციების განმარტება და კლასიფიკაცია, ფორმულირებულია საინვესტიციო კლიმატის

ცნება და ახსნილია მისი შინაარსი, მოცემულია ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზიდვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, მოცემულია ასეთი მოზიდვის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები: ეს პრობლემა სისტემატურად განიხილება ეკონომისტების პუბლიკაციებში ეკონომიკურ პერიოდიკაში. ამასთან ამ პრობლემასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერჯერობით პასუხგაუცემელია ანდა არასათანადოდ დონეზეა შესწავლილი. კერძოდ, შემდგომ კვლევებს ექვემდებარება ისეთი საკითხები, როგორცაა ურთიერთკავშირი სახელმწიფოს საბაჟო და სავალუტო პოლიტიკასა და უცხოელ ინვესტორებს შორის. გადასვლა-დაზუსტებას მოითხოვს უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. აუცილებელია საპროცენტო განაკვეთების დინამიკის ანალიზი საქართველოს საბანკო სისტემაში და მათი გავლენა საქართველოს კომერციული ბანკებისა და საბანკო სტრუქტურების ფინანსურ დავალიანებათა დინამიკაზე საგარეო ბაზრებზე.

თუმცა უცხოური ინვესტიციები არ ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით. ეს უფრო დანვრილებით ქვემოთ იქნება განხილული. ამ ფორმების შეფასების მნიშვნელობის და შედეგების მიმართ კიდევ უფრო დიდი აზრთა სხვადასხვაობაა პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებთან შედარებით. ავტორის აზრით 2008 წლის ბოლოს ჩამოყალიბებული ფინანსური კრიზისი განაპირობებს საინვესტიციო საქმიანობის ამ ფორმის შესახებ არსებული შეხედულებების რადიკალურ გადაფასებას. მათი კონტროლისა და რეგულირების კუთხით.

ამასთან ერთად, საინვესტიციო საქმიანობა არარეზიდენტებთან ურთიერთკავშირში ყოველთვის არის მსოფლიო ეკონომიკის ქმედითი სფერო. აქტუალურად რჩება ამ საქმიანობის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სტაბილური სასწავლო კურსების შედგენისას. ჯერჯერობით არ არსებობს აღნიშნული კურსის შესახებ არც რაიმე სახელმწიფო, ანდა დამხმარე სახელმძღვანელო ეს საშური საქმეა ქართულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების საკითხების კვლევისა და შესწავლის თვალსაზრისით.

არასათანადოდაა შესწავლილი ზემოთ აღნიშნული თეორიული კვლევებისადმი მიძღვნი-

ლი უცხოელ ავტორთა ნაშრომები (დ. დანიინგი; ს. ჰაიმერი და სხვა). ამ თვალსაზრისით უცხოური ინვესტიციების პრობლემებს ეკონომიკური ასპექტების შესწავლა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პრობლემების კვლევა წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით აქტუალური ხდება უცხოური ინვესტიციებისგან მიღებული ნორმატიული ეფექტების ემპირიული კვლევა, რომლებიც დაკავშირებულია თვით უცხოური კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან, ასევე მათ გავლენასთან ეროვნული, ნაციონალური კონკურენტების მწარმოებლურობაზე და საბაზრო პოზიციებზე.

2. კვლევის საგანი

წარმოდგენილი შრომის კვლევის საგანია უცხოური ინვესტიციებისაგან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების ანალიზისადმი მიკროეკონომიკური მიდგომა ამ ინვესტიციების მიმღები ქვეყნების ეკონომიკისათვის, რომელიც წარმოდგენილია საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებში.

ჩვენ გვთავაზობთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნორმატიულ ანალიზს, რომელიც პოზიციური ანალიზისაგან განსხვავებით კონცენტრირდება კატეგორიების — „უკეთესი“/„უარესი“ — შესახებ მსჯელობაში, აზრში და იძლევა მთელი ეკონომიკური სისტემის ცალკეულ ან ყველა სუბიექტის კეთილდღეობის, დადებითი ეფექტების შეფასებას იმ სიტუაციაში, როცა ბაზრებზე ფუნქციონირებენ კომპანიები უცხოური ინვესტიციებით. ნორმატიული ანალიზის მნიშვნელოვანი ელემენტებია ნორმატიული შეფასების კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, თეორიული ჩარჩოები, ასევე კრიტერიუმები. წარმოდგენილი მონოგრაფიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნორმატიული ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძველია კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია. კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია წარმოადგენს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა ნორმატიული მიდგომების ნაერთს, ერთობლიობას, რომლის საგანია ერთიანი იდეური ბაზისა და ინსტრუმენტარის პოვნის მცდელობა კატეგორიების: „უკეთესი“/„ცუდი“, „უარესი“ შესადარებლად ეროვნული კეთილდღეობისათ-

ვის ან „უკეთესი“/„უარესი“ ცალკეული ინდივიდისათვის მსოფლიო ან ეროვნული ეკონომიკის ან მათი ცალკეული ბაზრების სხვადასხვა მდგომარეობაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნორმატიულ ანალიზთან მიმართებაში საუბარია იმ კრიტერიუმებისა და ხერხების შემუშავებაზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ უცხოური ინვესტიციების გავლენა მათ მიმღებ ეკონომიკაზე, კეთილდღეობის დადებითი ან უარყოფითი ეფექტების ტერმინებთან მიმართებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების ან ნორმატიული ეფექტების ცნების ქვეშ მოიაზრება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის ყველა ვარიანტი. იგი გამოიყენება მიმღები რეციფიენტი ქვეყნის, როგორც მთლიანად ბაზრის, ასევე მისი ცალკეული ეკონომიკური სუბიექტისათვის. ეს შეიძლება შეფასდეს ამ ქვეყანაში ცალკეული საოჯახო მეურნეობების მიერ მიღწეული კეთილდღეობის დონეზე გავლენის მომხდენი ფაქტორი. ცალკეული საოჯახო მეურნეობის კეთილდღეობის დონე მონოგრაფიაში წარმოდგენილ ანალიზში მოიაზრება, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტის შეფასების მთავარი ცენტრალური კრიტერიუმი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნორმატიული ანალიზის სპეციფიკა ამ ნაშრომში გულისხმობს კვლევის გამოყენებულ თეორიულ ჩარჩოებს. ასეთებად ჩვენ მოვიაზრეთ და შევარჩიეთ საერთაშორისო ვაჭრობის ნეოკლასიკური და თანამედროვე თეორიებისადმი მიკროეკონომიკური მიდგომა.

პირდაპირი უცხოური ინვესტირება ავტორთა მიერ განიხილება, როგორც საწარმოო რესურსების კომბინაციის სპეციფიკის მატარებელი ელემენტი, რომელსაც გააჩნია როგორც დარგობრივი, ასევე შიდასაფირმო თავისებურებები. ამასთან ინვესტირების სუბიექტებად გამოდიან საერთაშორისო ბაზრებზე ფუნქციონირებადი ე.წ. „მრავალქარხნული“ მსხვილი კომპანიები, რომლებიც ახდენენ არჩევანის გაკეთების ექსპორტსა და პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს, როგორც საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის ალტერნატიულ სტრატეგიებს შორის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც ტრანსფორმირებადი საწარმოო რესურსის განხილვისადმი საგარეო ვაჭრობის ნეოკლასიკური და თანამედროვე თეორიების პოზიციებიდან მიდგომა ავტორის მიერ მოიაზრება, როგორც ყველაზე საუკეთესო და ნაყოფიერი გზა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების ანალიზისათვის, რამდენადაც იგი შესაძლებელს ხდის, ერთის მხრივ მხედველობაში იქნას მიღებული ეფექტები, რაც დაკავშირებულია რეციფიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე დიდი ოდენობის რესურსების ზემოქმედებასთან, პირველ რიგში დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების ფასების ცვლილებასთან), ხოლო მეორეს მხრივ — ის ეფექტები, რომლებიც განპირობებულია რესურსების კომბინაციის ზემოქმედებით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უცხოური ინვესტიციების გამოყენებელი კომპანიების ზემოქმედებით ეროვნულ კომპანიებსა და მთლიანად ინვესტიციების იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკაზე, ავტორი პირველი ჯგუფის ეფექტებს აჯგუფებს, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებულ არასტრატეგიულ ეფექტებს, ხოლო მეორე ჯგუფის ეფექტებს — როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებულ სტრატეგიულ ეფექტებს.

კვლევის მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების განსაზღვრისა და შეფასებისადმი კომპლექსური თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავება, რომელიც ემყარება საერთაშორისო ვაჭრობის ნეოკლასიკური და თანამედროვე თეორიების მიკროეკონომიკურ ასპექტებს. ამ მიზნების განხორციელებამ განაპირობა შემდეგი ძირითადი ამოცანის თანმიმდევრული გადაწყვეტა:

გამოვლინდეს და გაანალიზებული იქნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში. ასევე წარმოდგენილი იქნას ემპირიული კვლევების შედეგები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრობლემებთან მიმართებაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტრანსფორმირებად ეკონომიკებში.

ჩამოყალიბდეს ეკონომეტრიკული მოდელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან

მიღებული ნორმატიული ეფექტების ემპირიული შეფასებისათვის; წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების ემპირიული კვლევის შედეგები, ასევე ამ ეფექტების დონეზე მოქმედი ფაქტორები. მიმოხილული და გაანალიზებული იქნეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი თეორიები და მათ საფუძველზე გამოიკვეთოს ერის (ნაციის) საინვესტიციო განვითარების მიმართულებები;

სტატიაში გადმოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნორმატიულ ანალიზში მიკროეკონომიკური მიდგომის გამოყენების მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინსტრუმენტარი. სტატისტიკური ნორმატიული ანალიზის ჩარჩოებში შემოთავაზებულია ეფექტიანობის იმ კრიტერიუმების კვლევა პარეტოს მეთოდის მიხედვით, რომლებიც გამოყენებულია ეკონომიკის სამრეწველო სექტორში კეთილდღეობის წონასწორობითი კრიტერიუმების, საოჯახო მეურნეობების სექტორში, ცალკეულ ბაზრებზე, კეთილდღეობის წონასწორობითი კრიტერიუმების საერთო შეფასებისათვის, ასევე, საერთო ეკონომიკური წონასწორობითი შეფასებისათვის.

დინამიური ანალიზის ჩარჩოებში გამოყენებულია რეპრეზენტატიული საოჯახო მეურნეობის კეთილდღეობის შეფასების სხვადასხვა ხერხები, რომელთაგანაც ერთ-ერთი შემდგომში გამოყენებული იქნება, როგორც მთავარი და ძირითადი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების შეფასებისას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების ანალიზის თეორიული საფუძველია საერთაშორისო ვაჭრობის ნეოკლასიკური და თანამედროვე თეორიები. ეს თეორიები სხვადასხვა ხარისხით შეიძლება გამოყენებული იქნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლის პროცესში. საერთაშორისო ვაჭრობის ხეკმერ-ოლინ-სამუელსონისა და რიკარდო-ვანინერის ნეოკლასიკური მოდელების გამოყენებით შესაძლებელია გაანალიზდეს, როგორც წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მიგრაციის ყველა ფორმისათვის საერთო, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სპეციფი-

კური მახასიათებლები, ისეთები, როგორცაა პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით ტრანსფერირებული რესურსების დარგობრივი კავშირი.

შესაძლებლობა მოგვეცა პირველად სიღრმისეულად შეგვესწავლა და დაწვრილებით გადმოგვეცა პარეტოს ეფექტიანობა საოჯახო მეურნეობის სექტორში; ეფექტიანობა პარეტოს მიხედვით სანარმოო სფეროში; პარეტოს ეფექტიანობა ცალკეულ ბაზარზე საერთო ეკონომიკური წონასწორობის პირობებში; საერთო წონასწორობა და კეთილდღეობის ზრდა ეკონომიკაში; ცვლილებების შეფასების მეთოდები რეპრეზენტატიული საოჯახო მეურნეობის სარგებლიანობის დონეში; შემოსავლებისა და ხარჯების საერთო ეკონომიკური ფუნქციები; სასარგებლო თავისუფალი საერთაშორისო საერთაშორისო ვაჭრობისგან.

3. ძირითადი ნაწილი

საერთო წონასწორობის თეორიის თანამედროვე პრობლემები და მისი საწყისები მაკროეკონომიკის ლოზანის სკოლის მიხედვით

საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორია ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. თანამედროვე საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორია ფაქტიურად მათემატიკური მოდელის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს. საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიათა მათემატიზაციის „ტრადიციას“ საფუძველი ჩაეყარა მისი ფუძემდებლის, ლეონ ვალრასის მიერ. ეს თეორია თავისი პირველ საწყისი არსით მონოდებული იყო აქხსნა ეკონომიკური მექანიზმის საბაზისო თვისება ანუ პასუხი გაცეა კითხვებზე; სხვადასხვა სახეობის მოხმარების საგნების რა რაოდენობა იქნება წარმოებული, როგორ დაწესდება ფასები და როგორ განაწილდება შემოსავლები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის.

1870 წელს ლოზანის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე გაიხსნა პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, რომელსაც ვალრასი ხელმძღვანელობდა. ოთხი წლის შემდეგ იგი აქვეყნებს თავისი წიგნის: „წმინდა პოლიტიკური ეკონომიის ელემენტები ანუ საზოგადოებრივი სიმდიდრის თეორია“, ეს შრომა ითვლება საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიის ამოსავალ წერტილად (Энтов Р., 1990).

ვალრასი აქტიურად იყენებდა მათემატიკურ აპარატს თავისი დებულებების დასაბუთებულად. მან თავისი თეორია წამოაყენა განტოლებათა სისტემის სახით და ეცადა მათემატიკურად სიზუსტით დაესაბუთებინა, რომ განსაზღვრულ პირობებში მომხმარებელთა და მწარმოებელთა მაქსიმიზაციურმა ქმედებებმა შეიძლება განაპირობოს წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ეკონომიკაში რამდენიმე ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის პირობებში.

ვალრასის შემდეგ 1893 წლიდან ლოზანაში პოლიტიკური ეკონომიის კათედრას ხელმძღვანელობდა ვილფრედი პარეტო (1848-1923). პარეტო თავის თავს ვალრასის მოწაფედ მიიჩნევდა.

ვალრასის „ელემენტებისაგან“ განსხვავებით პარეტო თავის ნაშრომში: „პოლიტიკური ეკონომიის კურსი“ (Course Deconomie Politique 1896-1897) მათემატიკური გათვლები გამოაქვს სქოლიოში, ტექსტში არ იყენებს მათემატიკურ სიმბოლოებსა და განტოლებებს. მათემატიკურ აპარატს პარეტო მიმართავს იმისათვის, რომ აჩვენოს ეკონომიკური ამოცანების განსაზღვრულობა და მათი გადაჭრის შესაძლებლობა, ვალრასმა ვერ შეძლო ტატონნემენტის მეშვეობით დაემტკიცებინა წონასწორობის ერთადერთი წერტილის არსებობა. ამიტომ პარეტომ უარყო ეს ცნება. ამის გარდა, პარეტოს არ აკმაყოფილებდა ტერმინის: „სარგებლიანობა“ არსი და ამიტომ შემოიღო მეორე ტერმინი, მისი აზრით, უფრო ნეიტრალური — რაც ნიშნავს უბრალოდ „ნივთის სასურველობა“.

კონცეფცია, რომელსაც ვალრასი გეთავაზობს თავის „ელემენტებში“ თავისი არსით, ეფუძნება მიკროეკონომიკას, ანუ ცალკეული ბაზრის განხილვას. თავის კვლევებში ვალრასი მიდის მარტივიდან რთულისაკენ, ჯერ განიხილავს ორი საქონლის გაცვლას ბაზარზე, შემდეგ გადადის მრავალსაქონლური ბაზრის განხილვაზე, თუმცა ეს მაინც ერთი ბაზარია. ვალრასი თავის შრომაში მაინც უარს არ ამბობდა კარდინალურ მიდგომაზე. პარეტომ თავისი წინამორბედის საერთო ეკონომიკური განვითარების იდეა განავითარა, დაუქვემდებარა იგი ერთიან მიდგომას, უარი თქვა სარგებლიანობის რაოდენობრივად განსაზღვრაზე აქტიურად გამოიყენა იზოლინები და შეიმუშავა წონასწორობის

კვლავწარმოების მოდელი (Бродский В. С., 2013).

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პარეტო ეძებდა წონასწორობას კვლავწარმოების ფაზებს შორის. იგი წერდა „გაცვლა ანდა განაწილება არის ეკონომიკური ციკლის მხოლოდ ნაწილი. ეს ციკლი რომ დასრულდეს, მას ასევე უნდა შეუერთდეს წარმოება და კაპიტალის წარმოქმნა. ასე რომ გაცვლისათვის მოცემულ ტოლობებს უნდა დაემატოს წარმოებისა და კაპიტალის დაგროვების ტოლობები, და მაშინ მიიღება განტოლებათა სისტემა, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს ეკონომიკურ ციკლის თავისუფალი კონკურენციის პირობებში“ (Блюмин И. Г., 1931). პარეტომ სულ გამოყო გაცვლის ორი ტიპი. პირველი ტიპის ქვეშ იგი მოიაზრებდა გაცვლის ისეთ ფორმას, როცა მონაწილეები აქტიურად ცდილობენ თავიანთი მოთხოვნილებების ოპტიმალურად დაკმაყოფილებას და არსებულ ფასებისა და ბაზრის პირობებს ლებულობენ როგორც წინასწარი მოცემულს.

მართალია, თავისი ქმედებებით ცალკეულ მონაწილეს შეუძლია გავლენა მოახდინოს ფასებზე, მაგრამ ეს გავლენა არ შედიოდა მის თავდაპირველ გეგმებში. გაცვლის მეორე ტიპს, პარეტოს მიხედვით, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა გაცვლის მონაწილენი ცდილობენ უშუალო გავლენა მოახდინონ საბაზრო ფასების დონეზე. გაცვლა ბაზრის ასეთი მდგომარეობის პირობებში განაპირობებს იმას, რომ წონასწორობა მყარდება მის ერთ წერტილში. ბაზრის სხვა მდგომარეობის შემთხვევაში წონასწორობას ადგილი აქვს სხვა წერტილში. ერთიმეორეს უდარებენ ორივე მდგომარეობას და განსაზღვრავენ, რომელი მათგანი უფრო შეესაბამება დასახულ მიზანს. მას შემდეგ, რაც ეს გაირკვევა, ცდილობენ ბაზრის პირობების შეცვლას ისე, რომ ისინი შეესაბამებოდნენ შერჩეულ წერტილს. მეორე ტიპის გაცვლის მაგალითად პარეტოს მოჰყავს ძლიერი კომპანიები, მსხვილი ბანკები და სინდიკატები, რომლებიც გამოდიან სავალუტო ბაზარზე.

რამდენადაც პარეტო ითვლება ვალრასის თეორიის გამგრძელებლად, შეიძლება აღინიშნოს, რომ პარეტოს თეორიას ვალრასის თეორიისაგან განასხვავებს რამდენიმე არსებითი მომენტი, **ჯერ ერთი**, ვალრასი განიხილავდა სრულყოფილი კონკურენციის აბსტრაქტულ

შემთხვევას და თავისი მოდელი ააგო ამ წინაპირობაზე დაყრდნობით. პარეტო ამბობს, რომ სრულყოფილი კონკურენციის ბაზარი ეს არის შესაძლო სიტუაციებიდან ერთ-ერთი და გამოყოფს აგენტებს, რომლებიც გააზრებულად ახდენენ გავლენას ფასებზე (მეორე ტიპის გაცვლა). **მეორეც**, პარეტო თვლიდა, რომ მოთხოვნის ინტენსივობა რომელიმე სიკეთეზე (დოვლათზე) დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ სახის სიკეთის არსებულ ოდენობაზე, არამედ დამოკიდებულია ასევე ყველა სხვა სიკეთის ოდენობაზე, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ მოხმარების საერთო პირობებს. ამის გარდა, ერთ-ერთი განმასხვავებელი ელემენტი, როგორც ამაზე მივუთითეთ ზემოთ, ეს არის პარეტოს ორინალისტური მიდგომა კვლევებისადმი იგი განხილულ სარგებლიანობის ფუნქციას ცვლის განურჩევლობის მრუდის ანალიზით იმის საფუძველზე, რომ სარგებლობა არ ექვემდებარება უშუალოდ გაზომვას. შეხების წერტილი ანუ ზღვრული წერტილი - გაცვლის წერტილის არსია და ისინი გამოხატავენ ორი მოცემული დოვლათის, სიკეთის იმ კომბინაციას, რომელიც მიიღება გაცვლის შედეგად. ამავე დროს ეს არის წონასწორობის წერტილები, რამდენადაც ისინი შეესაბამებიან იმ მდგომარეობას, როცა ჩვენი ინდივიდი შეწყვეტს სიკეთეთ უფრო ხელსაყრელი კომბინაციის ძიებას და დაკმაყოფილება მოცემული კომბინაციით. შესაბამისად, მყარდება განსაზღვრული წონასწორობა მის მეურნეობაში, თუმცა ეს დროებითია. უპირატესობის ყოველ მრუდს შეიძლება ჰქონდეს თავისი გაცვლის წერტილიანი წონასწორობის წერტილი. თუ კი დავუშვებთ ასეთი მრუდების მთელ სისტემას, მაშინ ჩვენ მივიღებთ გაცვლის წერტილების მთელ სისტემას, რომელიც გამოხატავს რამდენ საქონელს გაცვლიდა ჩვენი სუბიექტი სხვადასხვა ფასების არსებობის პირობებში. თუ კი გავაერთიანებთ ამ წერტილებს, მივიღებთ გაცვლის მრუდს. იგი გამოხატავს ორი სიკეთის სხვადასხვა კომბინაციას, რომელიც ექნება ჩვენს სუბიექტს სხვადასხვა ფასების შემთხვევაში. საკითხი იმის შესახებ, ამ მრუდის რომელ წერტილში დამყარდება წონასწორობა და რა ფასის პირობებში, დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებზე. მოცემული ფასებისა და შემოსავლების პირობებში ინდივიდუუმს შეუძლია შეარჩიოს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული

კომბინაცია, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ მისთვის განსხვავებული სარგებლიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარეტოს აზრით, ეკონომიკური კვლევები უნდა დაიწყოს წონასწორობის საერთო პირობების შესწავლით, ანუ ეკონომისტმა უნდა მთლიანობაში გაითვალისწინოს ყველა ის მომენტი, რაც გავლენას მოახდენს ფასებზე, რიგი ეკონომისტების თეორიების ნაკლად პარეტოს მიაჩნდა ის, რომ ისინი შემოიფარგლებოდნენ ცალკეული ეკონომიკური მოვლენის დეტალების შესწავლით და თითქმის მთლიანად უგულვებელყოფდნენ მთელი ეკონომიკური სისტემის განხილვას (**Блюмин И. Т., 1931**). პარეტო აღნიშნავდა, რომ იგი ცდილობდა თავი დაეღწია წმინდა პოლიტიკური ეკონომიის საზღვრებისათვის რამდენადაც, მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერება აღმოჩნდა ეკონომიკურ კრიზისში და მისი თეორიული დასკვნების შემოწმება შეუძლებელია. სწორედ კავშირის არარსებობამ ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკას შორის აიძულა, პარეტოს გაეფართოვებინა თავის კვლევის საზღვრები და წმინდა ეკონომიკის სფეროდან გადასულიყო სოციოლოგიის სფეროში.

პარეტოსა და ვალრასის დებულებების მსგავსების საფუძველია პირველ რიგში, საერთო წონასწორობის თეორია და მათი დამოკიდებულება მათემატიკური მეთოდის მიმართ. ამასთან პარეტოს შემოაქვს ეკონომიკური ანალიზის ახალი ელემენტი — განურჩევლობის მრუდი. განურჩევლობის მრუდის კონცეფცია ამოდიოდა ეკონომიკაში სტატიკური წონასწორობიდან და გვთავაზობდა ყველა ეკონომიკური ამოცანის ერთდროულად გადაჭრას. პარეტო არ ითვალისწინებდა დროის ფაქტორს, რამდენადაც თვლიდა, რომ სტატიკური წონასწორობის შესწავლა აუცილებელი წინაპირობაა ყველა ეკონომიკური პროცესის შესასწავლად. ადამიანთა მოთხოვნების რესურსებთან დამაკავშირებელი მათემატიკური ფუნქციები ქმედითები იყვნენ მხოლოდ წონასწორობის პირობებში. ამ წონასწორობის მოდელი როგორც ეს პარეტოს მიაჩნდა, ასახავს დინამიურ პროცესებსაც, თუ კი მათში ჩართული იქნება დროის ფაქტორი. თუმცა პარეტოს წარმოდგენაში დინამიური ცვლილებები არის მხოლოდ სტატიკური მდგომარეობის თანმიმდევრული მწკრივი. ფაქტიურად პარეტო უარს ამბობდა საზოგადოების

ეკონომიკური ურთიერთობების ყოველგვარ განხილვაზე დინამიკაში, განსაზღვრავდა რა მოდელში დროის მონაკვეთებს ძალზე მოკლე პერიოდებში.

ასე, რომ მათემატიკური მეთოდი იყო აუცილებელი ნონასწორობის პრობლემის მეცნიერულად დამუშავებისათვის. საუბარი იყო იმაზე, რომ ჯერ საჭირო თუ შესაბამისი თეორიის შემუშავება და შემდეგ უნდა მომხდარიყო ეკონომიკური ბალანსის ფაქტიური გათვლა და მართალია პარეტოს ნონასწორობის თეორიის საფუძველია ვალრასის თეორია, მას რიგი თავისებურებები გააჩნია. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანია ის, რომ პარეტო ეკონომიკურ სფეროს განიხილავდა როგორც დეკარტის სისტემას, სადაც კოორდინატები ასახავენ სხვადასხვა სიკეთეების რაოდენობას, ხოლო წერტილები კი მომხმარებელთა პოზიციას, რომელთა სურვილი ორიენტირებულია ერთ ფაქტორებზე და ფერხდება მეორეებით. ნამახალისებელი ფაქტორებია მოთხოვნილებები, შემაფერხებელი ფაქტორები — რესურსების სიდიდე და მათი წარმოების ფაქტორები. ანუ ადამიანების მოთხოვნილებები და სურვილები, ერთის მხრივ და მათი დაკმაყოფილების შეზღუდული შესაძლებლობები — მეორეს მხრივ გახდნენ გამანონასწორებელი ფაქტორები. ნონასწორობის დამყარება ნიშნავს რომ გარემოებათა ერთი ტიპის ცვლილება იწვევს გარემოებებს სხვა ტიპის გამანონასწორებელ ცვლილებებს. იგულისხმება რომ ნონასწორობის თეორიამ უნდა მოგვცეს იმის ანალიზი, თუ როგორ განხორციელდება ერთდროულად ეს ნონასწორობა. მაგრამ პარეტო, ვალრასისაგან განსხვავებით, პრობლემას განიხილავდა ფართოდ, მოიცავდა თავისუფალი კონკურენციის პროცესს მუდმივი და ცვალებადი ფასების პირობებში. ასევე მონოპოლიზირებული ბაზრების სხვადასხვა ტიპებს.

ვალრასი თვლიდა, რომ ადრე თუ გვიან ეკონომიკური ნონასწორობის განტოლებები ამოხსნილი იქნება: პარეტო ამტკიცებდა, რომ თუ გვინდა დავადგინოთ ურთიერთობა 100 ინდივიდუუმს შორის, რომლებიც ცვლიან 700 საქონელს, აუცილებელია ამოიხსნას 70 ათასზე მეტი განტოლება, პარეტო თვლიდა, რომ იმ დროს ცოდნის დონე საკმარისი არ იყო იმისათვის, შეესრულებინათ ეს საქმე. უფრო მეტიც, მილიონობით განტოლებები, რომლებიც

საჭიროა მთელი ეკონომიკისათვის მოითხოვდნენ ციფრების ისე დამრგვალებას, რომელიც სრულიად გააუფასურებდა გათვლების საბოლოო შედეგებს. მაგრამ ამის მიუხედავად პარეტოს მიაჩნდა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა არსებობს: შეიძლება ცვლადი სიდიდეები გაერთიანდნენ ერთგვაროვან ჯგუფებში, ამით შესაძლებელი გახდება ყოვლისმომცველი სისტემის აგება, რომელიც დაექვემდებარება გათვლით პროცედურას სწორედ ასეთი ტექნიკური ხერხი ედება საფუძველად თანამედროვე ანალიზს „დანახარჯები-გამოშვება“ მეთოდით.

1900 წელს თავის შრომაში: „პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო“ (*anuale di Economia Politica*). პარეტომ ჩამოაყალიბა თეზისი, რომლის თანახმად ეკონომიკური ნონასწორობა დამოუკიდებელია ზღვრული სარგებლიანობისაგან. სარგებლიანობის ცნება გულისხმობს სარგებლიანობის ისეთ შედარებას სხვადასხვა პირებისათვის, რომლებიც უნდა უარყოფილი იქნას, იმიტომ, რომ თეორია იყოს მთლიანად ნეიტრალური. პარეტოსათვის სარგებლიანობა იყო ეთიკური და ფსიქოლოგიური კატეგორია, ანუ არათავსებადი ეკონომიკასთან მეცნიერული მიდგომის თვალსაზრისით.

უნდა ითქვას, რომ პარეტოს ეკონომიკური თეორია გავრცელდა მონოპოლისტური ბაზრის განმარტებაზეც. თავისუფალი კონკურენციის პირობებში ფირმების საქმე აქვს ბაზრის მიერ დადგენილ ფასებთან და ეგუებიან ბაზრის პირობებს. მონოპოლები კი, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დამოუკიდებლად აწესებენ ფასებს. პარეტოს ანალიზი გვიჩვენებს ასეთი ფირმების მოძრაობს მაქსიმალური მოგების ხაზს იქეთ. იგი ემყარება ამონაგების მრუდს, რომელსაც იგივე დახრა აქვს, რაც მთლიანი დანახარჯების მრუდს, ზღვრული დანახარჯების მრუდი სხვადასხვა წერტილებში კვეთენ ზღვრული ამონაგების მრუდებს. ეს, პარეტოს აზრით, შესაძლებელს ხდის მონოპოლიის პრობლემის გადაჭრას განურჩევლობის მრუდის მეშვეობით, მთლიანი ამონაგების მრუდი უნდა ეხებოდეს სხვებზე ზემოთ განთავსებულ განურჩევლობის მრუდის მოგებისათვის. თუმცა პარეტოს ანალიზი ძალზე მიმტყვებლობითია და გამოირჩევა იმით, რომ იგი გამყიდველებისა და მყიდველების მასას განიხილავს როგორც ერთ პირს.

საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორია ვალრასისა და პარეტოს შემდეგ განავითარეს სხვა მეცნიერებმა. საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორია, თვით იდეა სცადო და აღწერო ეკონომიკის ფუნქციონირების საერთო მექანიზმი, ყოველთვის იყო მეცნიერ-ეკონომისტთა დაინტერესების ობიექტი და დღესაც არ კარგავს აქტუალობას, იგი დღესაც ბევრი მკვლევარის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ნობელის პრემიის არსებობის ისტორიაში იგი ორჯერ იქნა მინიჭებული საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიის მკვლევართათვის, რომელთაც წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში. 1972 წელს ჯონ ჰოკსმა და კენეტ ეროუმ მიიღეს ეს პრემია ასეთ ფორმულირებით: „წონასწორობის საერთო თეორიისა და კეთილდღეობის თეორიის განვითარებაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის“. ჟერარ დებრემ 1983 წელს მიიღო ეს პრემია ასეთი ფორმულირებით: „ეკონომიკურ თეორიაში ახალი ანალიტიკური მეთოდების დანერგვისათვის და საერთო წონასწორობის თეორიის ახალი ფორმულირებისათვის“. მაგრამ უნდა ითქვას რომ დროსთან მიმართებაში ვალრასის საერთო წონასწორობის თეორია ფაქტიურად ძირფესვიანად შეიცვალა. დღეისათვის შრომების დიდი ნაწილი იწერება ე.წ. „Эпоу-Дебре“ („ეროუ-დებრეს“) სტილით. ამ სტილის მოდელების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ისინი აპელირებენ კონკრეტულ ნაშრომებზე და აიგებიან მათ ბაზაზე. ამ პირველსაწყის ნაშრომებს განეკუთვნება თვით ეროუსა და დებრეს შრომებთან ერთად ლაიონელა მეკენზის (1919-2010), რამდენიმე ნაშრომი, სადაც დადასტურებულია, დამტკიცებულია არსებითი წონასწორობა ფიქსირებული დამოუკიდებელი ცვლადების დახმარებით, აქვე შედის ჯგუფის: „ნიკოლა ბურბაკი“ შრომები, რომლებიც ოპერირებენ ვალრასის საერთო წონასწორობის მოდელით, ასევე პოლ სამუელსონის სტატიით „გადაჭარბებული თაობები,“ (перек рывающиися поколениями), ედვიდ კასსასა (1937-2008) და კარლა შელლის (1938 წ.), ასევე ელმონ მალინგოს (1923) შრომა: „უსაზღვრო პერიოდების“ შესახებ. ეს შრომები შეიცავენ მოდელის: „მზის ლაქების“ პირველ ფორმულირებას და წონასწორობის არსებობის დადასტურებას ბაზარზე შეზღუდული მონაწილეობისას (Balasko Y., Geanakoplos J., 2013).

ზემოთ ჩამოთვლილი შრომები ეს არის იმ შრომების მცირე ნაწილი, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით პირველ წყაროებია, ბაზისი „ეროუ-დებრეს“ სტილით შესრულებული კვლევებისათვის. ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი ძალზე დიდია და მათი აქ მოტანა შეუძლებელია. მაგრამ ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ამ მათემატიკურ კონსტრუქციაზე ბოლო ათწლეულებში დაიხარჯა უზარმაზარი ინტელექტუალური რესურსები, და ხშირად ისმის კითხვა იმის შესახებ, რამდენადაა ეს გამართლებული.

მათემატიზაციის კრიტიკა, რომელიც გაძლიერდა ვალრასისა და პარეტოს დროიდან, აღნიშნავს, რომ „ეროუ-დებრეს“ სტილის თანამედროვე მოდელები ყველაზე ხშირად არის მათემატიკოსების ერთგვარი „გონებრივი თამაში“ რომელიც ძნელი აღსაქმელია კონსტრუქციებით, ე.ი. (დღეს წესრიგში დგება ფაქტორების გამოყოფის პრობლემა, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მოდელებზე, ე.ი. ხშირად ავტორებს უჭირთ მოდელების შედეგების ახსნა რამდენადაც უზარმაზარ კონსტრუქციაში ძნელია დადგინდეს მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი და მასზე აქცენტის გაკეთება რა თქმა უნდა, ვალრასი და პარეტო იყვნენ ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერები, რომელთა დააყენეს ისეთი გლობალური საკითხი, როგორცაა საერთო წონასწორობის არსებობა და მისი მიღწევის შესაძლებლობა. მათი წვლილი ეკონომიკურ თეორიაში ძალზე დიდია, იგი სათავეს იღებს საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიიდან და პირველებმა შექმნეს საერთო ეკონომიკური წონასწორობის პირველი მოდელი. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, მაგალითად, კენისი საერთოდ იგნორირებას უკეთებდა ვალრასის ნაშრომს. და ამას აქვს ერთობ ლოგიკური ახსნა, ვალრასმა შექმნა აბსტრაქტული მოდელი, რომელშიც მან მიუთითა უამრავ დაშვებაზე, და ამ დაშვებებმა ეს მოდელი ფაქტიურად „მონყვიტა“ რეალურ ცხოვრებას. სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში, რომელსაც განიხილავდა ვალრასი, დებულება ფასების აბსოლტური მოქნილობის შესახებ, ყოველივე ეს ცხადია ვერ განაცხადებს პრეტენზიას საერთო შემთხვევებზე, ეს არის მხოლოდ კერძო, განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც ეკონომიკისათვის არატიპიური და უმეტესწილად განსაკუთრებულია. ვალრასმა დასვა გლობალური

საკითხი, რომელზეც პასუხი უნდა გაეცეს საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიის რიგი კონცეფციების სინთეზის გზით, საერთო ეკონომიკური თეორიის მიახლოებით რეალურ ეკონომიკასთან უზარმაზარ მათემატიკური მოდელებიდან ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის უფრო გასაგები და გამჭვირვალე სახეზე გადასვლით. შემდეგ სტატიაში დანვრლებით განვიხილავთ პარეტოს ეფექტიანობის კონცეფციას და ვალრასის საერთო ეკონომიკური წონასწორობის კლასიკური მოდელის ძირითად დაშვებებსა და პარამეტრებს, საერთო წონასწორობის და კეთილდღეობის ზრდას ეკონომიკაში.

4. პარეტოს ეფექტიანობის კონცეფცია

ეროვნული ეკონომიკა შედგება ცალკეული საოჯახო მეურნეობების ერთობლიობისაგან, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავენ ეროვნული კეთილდღეობის დონეს. თუკი ეროვნული ეკონომიკის კეთილდღეობას განვიხილავთ ამ თვალსაზრისით, მაშინ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ურთიერთქმედების ეფექტიანობა მის შემადგენელ საოჯახო მეურნეობებს შორის. საუბარია სანარმოო რესურსებისა და საბოლოო დოვლათის ეფექტიან განაწილებაზე საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს შორის, რაც შესაძლებელს ხდის მიღწეულ იქნას ეკონომიკაში კეთილდღეობის ზრდა განკარგავადი, ხელთ არსებული სანარმოო რესურსების ზრდის გარეშე. სხვა სიტყვებით, საუბარია ეკონომიკურ ეფექტიანობასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე სტატისტიკაში.

ეფექტიანობის გაგება სანარმოო რესურსების და საბოლოო დოვლათის განაწილებაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, დასაშვებია თუ არა სარგებლიანობის შედარების ნიხრის (შკალის) გამოყენების შესაძლებლობა სხვადასხვა საოჯახო მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას.

თუკი ჩვენ არ დავუშვებთ სარგებლიანობის შედარების ნიხრის გამოყენების შესაძლებლობას, რომლითაც სარგებლობენ ცალკეული საოჯახო მეურნეობები, მაშინ ეფექტიანობის სტანდარტული გაგება ეფუძნება პარეტოს ეფექტიანობის კონცეფციას (Boadway R., Bruce N., 1984). სანარმოო რესურსებისა და საბოლოო დოვლათის ეფექტიანი განაწილება პარეტოს მიხედვით

ეკონომიკაში გულისხმობს, რომ, თუნდაც ერთი, შეუძლებელია ეკონომიკაში რომელიმე პროდუქტის წარმოების გადიდება რომელიმე სხვა პროდუქტის წარმოების შემცირების გარეშე და მეორეც, არ შეიძლება გაცვლის პროცესში მონაწილე ერთი რომელიმე სუბიექტის კეთილდღეობის ამაღლება მეორის კეთილდღეობის შემცირების გარეშე (Shumann J., 1988). პრინციპში ეკონომიკაში დასაშვებია პარეტოსეული ეფექტიანი მდგომარეობის მრავალი შემთხვევის არსებობა.

კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის პირველი ფუნდამენტური თეორემის თანახმად, გარკვეული დაშვებების პირობებში საერთო ეკონომიკური წონასწორობა, რომელიც მიიღწევა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, არის ეფექტიანი პარეტოს მიხედვით (Varian H.R., 1978).

სხვა სიტყვებით, სიტუაციაში, როცა ეკონომიკაში ყველა ბაზარზე მოთხოვნა მიწოდების ტოლია, როცა სრულდება ძირითადი დაშვებები ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების მიზნობრივ ფუნქციებთან დაკავშირებით, საოჯახო მეურნეობების უპირატესობებთან დაკავშირებით, ასევე ტექნოლოგიური დაშვებები, შეუძლებელია სანარმოო რესურსები და საბოლოო დოვლათი გადანაწილდეს ისე, რომ გაუმჯობესდეს რომელიმე ეკონომიკური სუბიექტის კეთილდღეობა სხვა სუბიექტის კეთილდღეობის გაუარესების გარეშე.

ეკონომიკის საერთო წონასწორობის პარეტოსეული ეფექტიანობის პირობებში სრულდება მთელი რიგი ეფექტიანობის კერძო კრიტერიუმები, რომლებიც ცალ-ცალკე გამოიყენებიან წარმოებისა და გაცვლის სფეროში. ქვემოთ უფრო დანვრლებით იქნება განხილული ეს კრიტერიუმები ვალარის საერთო ეკონომიკური წონასწორობის კლასიკური მოდელის გადანყვევების მსვლელობაში (Jaffe W., Walras L., 1968. Balasko Y., Geanakoplo J., 2012)

5. დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისაგან მიღებული კეთილდღეობის ეფექტების კვლევა მიზნად ისახავს მათ შეფასებას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუთხით. კეთილდღეობის დადებით ეფექტებს ადგილი აქვს ორ შემთხვევაში.

კომუნიკაციის გენდერული ასპექტისათვის

ON GENDER ASPECT OF COMMUNICATION

ნათია მიქელთაძე

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი.
ბათუმი, საქართველო

NATIA MIKELTADZE

Batumi Navigation Teaching Univer-
sity, professor Batumi,
Georgia

ანოტაცია

კვლევები, რომელთა ფოკუსშიც მოქცეულია გენდერი, წარმოადგენენ სოციოკულტურულ მექანიზმს, რომელიც ცდილობს ახსნას ინდივიდის გარკვეული თვისება და ქცევა მისი ბიოლოგიური სქესის საფუძველზე. ლინგვისტიკის ეს დარგი ჰუმანიტარული აზროვნების შედარებით ახალი განშტოებაა. მის წარმოშობას უკავშირებენ პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის გავლენით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პარადიგმის ცვლას. კატეგორიების გამოყოფის პროცესის ახალმა გაგებამ, სუბიექტური რელობისადმი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესის გაზრდამ, ახალი პიროვნული თეორიების, მათ შორის - სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიის - აღმოცენებამ, გამოიწვია ისეთი კატეგორიებისადმი სამეცნიერო მიდგომა გადახედვა, როგორებიცაა ეთნიკურობა, ასაკი და სქესი, რომლებიც მანამდე მხოლოდ ბიოლოგიური დეტერმინატორების როლს ასრულებდა.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ვეცდებით მიმოვიხილოთ კომუნიკაციის გენდერული ასპექტის ზოგი თავისებურება და გამოვკვეთოთ მისი ძირითადი ნესები.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, სქესი, გენდერი, გენდერლექტი, სამეტყველო ქცევა, სამეტყველო აქტის სპეციფიკა.

ABSTRACT

Researches, focused on gender present the socio-cultural mechanism, trying to explain some features and behavior of the individual in accordance with its biological sex. The branch is relatively new humanitarian thinking in linguistics. Its origin is related with the impact of postmodern philosophy upon the shifts of humanitarian paradigm. New understanding of categories-division process, increase of the scientific-research interest towards the subjective reality, origin of new personal theories, including – social constructivism theory, resulted the review of scientific approaches towards such categories as ethnicity, age and sex, previously playing only the role of biological determinators.

In the frames of the present paper we try to review some peculiarities of the gender aspects of communication and to define its main rules.

Keywords: communication, sex, gender, genderlect, speech behavior, speech act peculiarities

კომუნიკაციის არისისა და წარმატებულობის განმსაზღვრელ ობიექტურ ფაქტორთა შორის, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის გენდერულ ასპექტს.

გენდერული ლინგვისტიკა (ლინგვისტური გენდეროლოგია) დისციპლინათშორის გენდერულ კვლევებში გამოყენებადი თანამედროვე სამეცნიერო მიმდინარეობაა, რომელიც სწავლობს გენდერს ლინგვისტურ-შემეცნებითი აპარატის მეშვეობით.

ცნება „გენდერი“ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაბრუნებლად და 70-იანი წლების დასწყისში. იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ გენდერული პრობლემატიკის მკვლევართა ყურადღების დიდი ნაწილი დაეთმობოდა ენობრივ სფეროში გენდერული სტერეოტიპების ფორმირების კვლევას.

განსხვავება ისეთ ტერმინებს შორის, როგორებიცაა „სქესი“ და „გენდერი“ დაამკვიდრეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა რობერტ სტოლერმა (Robert Stoller, 1924-1991) და ჯონ მანიმ (John Money, 1921-2006). პირველი ტერმინი აღნიშნავს ბიოლოგიურ სქესს და წარმოადგენს სასტარტო პოზიციას, რომლითაც ადამიანი იზადება, ხოლო „გენდერი“ წარმოადგენს ადამიანის საზოგადოებაში სქესობრივი ნიშნით სოციალიზაციის ერთგვარ შედეგს.

ამჟამად, გენდერული კომუნიკაციის თავისებურებების მკვლევარ მეცნიერთა ინტერესს

შეადგენს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური მარკეტინგი, თუმცა, არსებით საკითხად მაინც კვლავ რჩება სექსობრივი ნიშნით განსხვავებულ პირთა ვერბალური თავისებურებანი. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, სოცილურ ფილოსოფიაში, ტერმინების „დიალექტის“, „სოციოლექტის“, „იდიოლექტის“ ანალოგიით, გაჩნდა ტერმინი „გენდერლექტი“, თუმცა, დღემდე არ არის მიღწეული საერთო სამეცნიერო შეთანხმება გენდერლექტის არსის შესახებ, არის თუ არა ის გენდერო-ლინგვისტური რეალიზმის შემადგენელი ნაწილი, თუ წარმოადგენს გენდერო-ლინგვისტური ნომინალიზმის აღწერილობით ინსტრუმენტს, რომელსაც გენდერული ლინგვისტიკის სირთულეთა ახსნა აკისრია.

ეს საკითხი ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოსჩანდეს. ცნობილია, რომ ინდიელთა არქაული ენების ერთ ნაწილში, მკაფიოდაა გამოიჯნული „მამაკაცთა“ და „ქალთა“ სამეტყველო ენა. ბრაზილიური ტომის - კარაიას ენაში, რომელიც დღესდღეისობით 1700-მდე მატარებელს ითვლის, ქალთა მეტყველებითა და ქალთა მეტყველებას. ასეთივე თავისებურება შეინიშნება ამჟამად სრულად გამქრალი არგენტინული ტომის - მბაიას მეტყველებაში. დღეს რთულია იმის თქმა, როდის აღმოცენდა ამგვარი სამეტყველო სეპარაცია, მამაკაცთა საზოგადოებრივი დომინაციის პერიოდში თუ მატრიარქატის დროს, თუმცა, ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში, ის სოციოკულტურული სისტემის ამსახველი ფაქტორია.

რობინ ლაკოფის (Robin Lakoff, 1942) „სოციალიზაციის თეორიის“ მიხედვით, გენდერლექტი არის ადრეული ბავშვობის დროს მომხდარი სოციალიზაციის შედეგი. ბავშვს, მისი სქესის შესაბამისად, კარნახობენ ლაპარაკის გენდერულად სპეციფიკურ მანერას. ლაკოფის და ოქსის აზრით, სწორედ ასე ჩნდება ქალური მეტყველება. მათი აზრით, ბავშვობაში თავს მოხვეული სამეტყველო ქცევა ისევე ავლენს „ქალურობას“ მეტყველების საშუალებით, როგორც ბავშვები, სამშენისები, თოჯინები, ფეხბურთის თამაშზე უარის თქმა და ა. შ.

გენდერლექტთან დაკავშირებული კიდევ ერთი თეორიის თანახმად, მეტყველების გაბატონებული მოდელი წარმოადგენს მამაკაცთა

დომინირებისა და ქალთა დამორჩილების ხერხს. ამ თეორიის მიმდევართა აზრით, მამაკაცები შეგნებულად ქმნიან სამეტყველო ქცევის ისეთ მოდელებს, რომლებიც აკნინებენ საწინააღმდეგო სქესის სოციალურ სტატუსს, ხოლო ქალები, სოციალიზაციის პროცესში გამომუშავებული მენტალური ჩვევების შედეგად, აღაირებენ მამაკაცთა უპირატესობასა და ემორჩილებიან მას. შესაბამისად, ქალი, როგორც კომუნიკატორი, ორიენტირებულია „საკომუნიკაციო თანამშრომლობაზე“, ხოლო მამაკაცი - „საკომუნიკაციო პაექრობაზე“.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასწყისში აღმოცენდა „გენდერული სუბკულტურების“ ჰიპოთეზა, რომელიც ლინგვო-გენდერულ განსხვავებებს განიხილავს იმ კულტურულ სხვაობათა ანალოგიით, რომლებიც ართულებენ კულტურათმორის კომუნიკაციას. მოგვანიებით, ამ ჰიპოთეზის ერთ-ერთმა ავტორმა დებორა ტანენმა (Deborah Tannen, 1945) შესთავაზა მკვლევარებს „ორი კულტურის თეორია“, სადაც ის განიხილავს ქალებსა და მამაკაცებს ორ, სრულიად განსხვავებულ ორგანიზებულ ჯგუფად. ამ ჰიპოთეზის მომხრეთა აზრით, ბავშვები პატარაობიდანვე ინტენსიურად არიან ინტეგრირებულნი ერთსქესიან ჯგუფებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ერთი ტიპის ენობრივი კონსტრუქციები, ღირებულებათა სისტემები და საქმიანობა; ზრდასრულ ასაკში არსებობის ამგვარ წესს მივყავართ სამეტყველო კონფლიქტებამდე, რომლებიც, თავიანთი მასშტაბით, კულტურათმორის კონფლიქტებს უტოლდება.

გენდერული სამეტყველო განსხვავებების ფორმები სხვადასხვაგვარად ვლინდება. ეს შეიძლება იყოს ხმის ტემბრის სიმაღლე, მეტყველების დინამიკის, არტიკულაციის, სამეტყველო ნაკადის სიჩქარისა და მახვილების შეცვლა, ლაპარაკის სტილი, დასმული კითხვების სიმრავლე და მათი აგებულება და სხვა. საზოგადოდ, მამაკაცთა და ქალთა სამეტყველო ქცევის შესახებ თითქმის ყველა თეორია და კვლევა, ეფუძნება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ამერიკელი ლინგვისტის რობინ ლაკოფის „ქალის მეტყველების შვიდ განმასხვავებელ ნიშანს“. ესენია:

- სპეციალიზირებული ლექსიკონი, რომელიც უკავშირება ქალის საქმიანობისა და ინტერესების სფეროებს;
- კითხვითი სიტყვებისა და ჩართული შკი-

თხვების გამოყენება, რაც ავლენს მის შინაგან ორჭოფობას (ხომ მართალია? ასე არ არის?);

- ზრდილობინი ფორმების გამოყენება და ევფემიზაცია;
- ემოციური დამოკიდებულების გამოსახატად აფექტური ზედსართავების გამოყენება;
- დეტალიზაცია და სიზუსტე ფერების აღწერისას;
- გამოთქმის კატეგორიულობის შემარბილებელი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება;
- გრამატიკის წესების ზედმინევენით დაცვა.

დღეისათვის, აზრთა მრავალფეროვნების მიუხედავად, და იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მეცნიერთა ერთი რიგი საერთოდ არ აღიარებს ქალისა და მამაკაცის სამეტყველო ქცევის სხვადასხვაობას, ყველა მაინც თანხმდება იმაზე, რომ სანინაალმდეგო სქესის წამომადგენლები, ერთმანეთთან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, ახორციელებენ განსხვავებული ტიპის საკომუნიკაციო აქტს. მარტივად რომ ვთქვათ, მამაკაცს, რომელიც ცდილობს ქალთან წარმატებული კომუნიკაცია დაამყაროს, არ სურს ელაპარაკოს მას იმავე სამეტყველო ფორმების გამოყენებით, რომლებითაც ის წარმატებულ

კომუნიკაციას ამყარებს მეორე მამაკაცთან. შესაბამისად, კომუნიკაციის გენდერული ასპექტი თავს იჩენს იმ შემთქვევებშიც, როცა ერთი სქესის წარმომადგენელი ლინგვისტურ ზემოქმედებას ახდენს მეორეზე.

დასკვნის სახით, სასურველია ვთქვათ, რომ საქართველოში კომუნიკაციის გენდერული სპეციფიკის შესახებ ცოდნა წარმომადგენს მძლავრ სოციოკულტურულ ფაქტორს. V საუკუნის ქართულ სალიტერატურო ძეგლში „შუშანიკის წამება“, იაკობ ხუცესი განრისხებულ მეუღლესთან შერიგებას მონადინებული ვარსკენისათვის სპარსს ათქმევინებს: „და მე გეტყვ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნებაა იწრო არს“. სპარსი გვიხსნის, რომ ქალი სათუთი ბუნების მქონე არსებაა, რომელთანაც „ფიცხელი სიტყვით“, შურაცხყოფითა და ძალადობით ვერაფერს გახდები და ხედავს, რომ დედოფალთან კომუნიკაცია და მასზე სასურველო ვერბალური ზეგავლენის მოხდენა მხოლოდ მართებული სამეტყველო სტრატეგიის გამოყენების შედეგადაა შესაძლებელი.

შესაბამისად, უკვე 16 საუკუნის წინ ქართულ მწერლობაში ცხადად აისახა სქესობრივი ნიშნით სეპარირებული სამეტყველო ქცევის შესახებ ცოდნა, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს აღძრავს ამ საკითხის მიმართ თანამედროვეობაში.

ლიტერატურა/REFERENCE

[1] იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, თბ., 1987/Martyrdom of Shushsanik by Iakob Tsurtaveli (5th century AC), თბილისი, 1987;

[2] Кирилина А. В., Гендер: лингвистические аспекты. М., 1999/Kirilina A., Gender: linguistics aspects, Moscow, 1999;

[3] Пиз Аллан, Пиз Барбара, Язык взаимоотношений (мужчина и женщина), М., 1998; Allan Pease, Barbara Pease, Relationship language, Moscow, 1998;

[4] Теория и методология гендерных исследований. – М., 2001/ Theory and methodology of gender researches, Moscow, 2001;

[5] Кирилина А., Томская М., Лингвистические гендерные исследования. М., 2002/Kirilina A., Tomskaya M., Linguistic gender Researches, Moscow, 2002;

[6] Tannen D., You just don't understand. Women and men in conversation, N. Y., 1990.

საბანკო პროდუქტების მარკეტინგი და მისი როლი კომერციული ბანკების საქმიანობაში

MARKETING OF BANK PRODUCTS AND ITS ROLE IN THE ACTIVITIES OF COMMERCIAL BANKS

ირინა ვაშაკმაძე

ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

IRINA VASHAKMADZE

Doctor of Economics,
Batumi Shota Rustaveli State University,
Associate Professor
Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი

საბანკო მარკეტინგი თავისებური, მაგრამ მეტად საინტერესო სფეროა. საერთოდ მიღებული მეთოდებისა და ხერხების გამოყენების გვერდით საბანკო მარკეტინგი იყენებს ბაზრის შესწავლის მრავალ სპეციფიურ მეთოდსა და ხერხს. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საბანკო სისტემაში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მომხდარი ცვლილებები კომერციული ბანკების მარკეტინგული ხერხების დანერგვის ათვისებით შეიძლება აიხსნას. აქვს თუ არა აზრი სხვა დარგების მარკეტინგისაგან საბანკო მარკეტინგის განსაკუთრებულად გამოყოფას? არსებობს თუ არა სპეციფიკური განსხვავებები საბანკო მარკეტინგსა და სხვა დარგების მარკეტინგს შორის, და თუ არსებობს მაშინ რაში გამოიხატება ის? კვლევისთვის ავიღეთ კონკრეტული საბანკო პროდუქტის „სტუდენტური სესხის“ მნიშვნელობა. რა ვითარებაა ამ კუთხით საქართველოში, რაზე გადის განათლების მიღების შესაძლებლობა: დამძიმებულ და კარგად შეფუთულ კრედიტზე თუ უმაღლესი განათლების მიღმა დარჩენილ სიცარიელეზე? საბანკო ურთიერთობათა განვითარების პარალელურად საბანკო საქმიანობაში მარკეტინგის გამოყენება აუცილებელი ხდება. ბანკები მოქცეული არიან კონკურენციის მძიმე წნეხის ქვეშ, ამიტომ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებისთვის აუცილებელია მთლიანი მარკეტინგული „არსენალის“ გონივრულად და საჭირო დროს ეფექტურად გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: საბანკო მარკეტინგი, კომერციული ბანკები, საბანკო ოპერაციები, სტუდენტური სესხი

ABSTRACT

Bank marketing is a peculiar but very interesting area. Along with the generally accepted methods and tools, bank marketing uses a number of specific methods and tools to study the market. Changes that have occurred over the last decades in the banking system in the countries of a market economy can be explained by the adoption of marketing methods by commercial banks. Does it make sense to separate bank marketing from the marketing of other areas? Are there specific differences between bank marketing and marketing of other areas and if so, in what way it is represented? For the study, we used a particular bank product "student loan". What is the situation in this respect in Georgia, what is the possibility of education: heavy and well-packaged loan or a gap outside higher education? In parallel with the development of banking relations, marketing is necessary for banking activities. Banks are under severe pressure of competition, so it is important to use the marketing "arsenal" wisely and effectively in due time to win a competitive battle.

Key words: bank marketing, commercial banks, bank operations, student loan

INTRODUCTION

To achieve advantages in today's free competition and take a strong position in the market, it is necessary to succeed using modern marketing tools in a competitive battle. The marketing mix has become one of the main tools, and now more than 300 types of services are delivered to customers

by banks in developed countries. In Georgia, in some cases, the social and economic condition of the client is neglected.

Marketing is a system of management and organization of companies and firms, which takes into account all the processes occurring in the market. Changes that have occurred over the past three decades can be explained by the need to adopt marketing methods by commercial banks.

The necessity of a marketing complex in the activities of commercial banks is of great practical importance. Changes that have occurred over the past three decades can be explained by the need to adopt marketing methods by commercial banks.

In parallel with the development of banking relations, marketing is necessary for banking activities. Banks are under severe pressure of competition, so it is important to use the marketing “arsenal” wisely and effectively in due time to win a competitive battle.

The specificity of bank marketing is related to the bank product - the peculiarities of banking services. The term “service” in the economic literature means any event or benefit that one party offers to another, and which is not physically tangible.

Each market and each segment of the market consists of customers who differ in the type of behavior. The bank must offer the client a variety of services that, on the one hand, meet the requirements and expectations of customers, and which will bring income to the bank through commodity policy, quality policy, product policy, bank value policy, etc. Marketing in the banking system takes into account the assessment of the implementation of banking services. Today there is a growing differentiation in the banking market. New requirements for the management of the banking sector were established. Bank marketing includes the production of bank marketing products by banks as well as the specifics of working with corporate clients. {1}

A bank product is a form and a rule for satisfying the needs of customers. It is a complex of interrelated organizational, information, financial and legal events which are integrated into the single technology of customer service.

MARKETING PECULIARITIES IN THE BANK

Abstractness of banking services, their non-conservation and secondary satisfaction of requirements determine the marketing orientation for the creation of visible types of banking services. Indivisibility of the service from the source also requires the effort to create an external attractiveness of the bank, as such. Abstractness of services and the nature of the contract provide that, unlike goods and other services, a high economic culture is required from the customer to determine the quality of bank services and compare with each other. The main source of banking activity is the implementation of economic interests. The full subordination of the bank to the compulsory economy of public expenditure is the supreme principle to which all other motives and goals must be subjected. Bank as an enterprise produces its own products. Since the bank plays the role of an economic enterprise, its production also has a cost. A bank product is money as a certain commodity that is exchanged for another working product. Bank product includes many other services. These include both traditional (both cash and non-cash payments, deposits, lending) and non-traditional (issuance of guarantees, consultation, instructions) forms of services. Bank product, almost all types of services have particular nature and regularity. Unlike products of other enterprises, the bank product is not subject to conservation. A key feature of banking services is that they carry not so much monetary, as self-recoverable function. As we see, the banking institution as an enterprise is obliged to offer customers a variety of services.

Marketing is the management and organization of activities which fully takes into account all the processes occurring in the market. Bank marketing provides not only the realization of products and services, but also a certain philosophy and strategy that cannot be implemented without preliminary preparation, in-depth analysis and intensive work of many departments of the bank. {2}

The realization of bank products and services is the most important stage of any bank. Modern banks operate in tough competitive environment that forces them to create the most favorable

conditions for customers. Basically, these issues are aimed at determining the strategy of banking marketing. The marketing strategy is to choose the best ways to achieve the bank's goals through marketing. Like all other commercial enterprises, banks also determine the direction of development, and at that time they come from the specific final goals that they have set out. Formulation of specific goals is of great importance for commercial banks, as it ensures a clear direction of each activity of the bank in the market and increases the effectiveness of banking activities. Formulation of the bank's goals is also important in order to clearly define the main objective of the bank and its direction for employees, customers and shareholders.

A properly designed and clearly formulated strategy is the basis for actions agreed upon by all branches of the bank. In addition, the banking strategy should be systematically analyzed and correspond to specific situations. An organizational structure of the bank and classification of its staff must correspond the chosen strategy. Almost every bank has its own marketing strategy, but only a small part of them realizes it. The strategy of bank marketing has key elements, such as: a) determination of the market and target segment; b) determination of long-term and short-term goals of the bank; c) ban marketing- elements of mix. Formation of the strategy of bank marketing primarily requires defining the boundaries of the market where the bank provides its services, as well as target markets for all types of services and products and segments oriented to them, if the bank will provide services there in the future. {6}

ANALYSIS BANK PRODUCT

”STUDENT LOAN”

Student loan is a special bank product that does not contribute to financing of education and prospects for future employment, on the contrary, makes the situation even more difficult.

Because of the social and economic situation in Georgia, a student who cannot receive state funding in case of admission to higher education and will have to pay a tuition fee, is forced to terminate the status of a student due to lack of money. In this respect, state higher education institutions

cannot provide any support, but banks operate intensively. In recent years, banks are trying to attract customers by advertising student loans. However, due to high interest rates, many decline their services.

Unlike foreign countries, a student in Georgia cannot afford to pay not only tuition fee, but also rent for an apartment. Therefore, the main financial burden is borne by the parents. Unlike Georgia, student loans are worth noting among the approved methods in Europe, which can be covered after graduation and employment.

The credit market of Georgia does not complain of the absence of banks, but the conditions provided by them also differ. Several studies prove that a “student loan” means ordinary consumer loan. Consequently, the bank does not offer the student any benefits. Thus, the student pays tuition with the usual conditions of consumer credit.

There are 16 banks operating in Georgia. Less than half of them offer loans to students to finance education in more or less different conditions.

Liberty Bank, Bank of Georgia, TBC bank, VTB bank, Basisbank. Student loan is offered to Georgian students by foreign banks operating in Georgia. Ziraat bank.

The so-called “student loans” offered by the above-mentioned banks are very similar to consumer loans. Those specific requirements stipulated in the agreement are undoubtedly ridiculous. A student may not have income; it is also discriminatory that some banks issue loans to students studying at specific universities. The subject of my study was a student loan. I conducted the research via the Internet using questionnaires on Google. I sent the link for filling to the students in different universities on a selective basis. Students of both sexes were interviewed, who were at different level of education. 63,9% among them had no information about such a loan, just 12,9% made use of this offer. In the framework of the study, TBC bank has a majority of students using student loan.

We can say that Georgian commercial banks do not have loyal customers, and most will turn to another bank in case of better conditions. If 81%

were loyal to the serving bank in the course general surveys, this indicator in some cases fell to 5 percent, and 76 percent would apply to another bank in case of a better offer. These data should be taken into account by commercial banks in the future.

CONCLUSION

This study allows us to conclude that, despite the above proposals from 6 different banks, student loans do not have a loyal customer. The problem should be sought in the existing conditions; in addition, neglecting marketing mix and lack of feedback from customers affect the effectiveness of the product. It is necessary that existing banks in Georgia recognize the socio-economic conditions in the country and bear social responsibility in the process of developing such products, since the student in the future becomes employed, who will have temporary free funds for depositing or need to borrow money to expand business activity. Care for clients should begin at an early stage by encouraging education.

Marketing communication begins with understanding what the client wants. Each customer

requires an individual approach; we need to know our customer, their values. As an output, we can say that with the help of customer relations, the bank is trying to increase sales, as well as customer satisfaction.

Based on our research, we can say that the majority of clients are rather dissatisfied with regard to banking services, bank marketing should be used more actively to strengthen relations with customers and improve their satisfaction. .

Here, we found out that in Georgia, as another developing countries, the environment is changing, and the process of marketing development requires caution and professionalism in order to quickly meet the requirements of the Georgian community and continue to develop.

Marketing at all times and countries depend heavily on the economic condition of the country. Thus, marketers in developing countries must constantly monitor the political and economic situation in the country. Banks will become more active in marketing activities, begin to use the marketing communications comprehensively and increase the marketing budget when they are convinced of the stability of the country.

REFERENCES

- [1] **Mosiashvili V., Lomidzee P., Qoqodze P** _ Banking. Tbilisi 2009. 295p.
- [2] <http://magistri.weebly.com/uploads/4/9/3/4/49>
- [3] Armstrong 2007: "marketing ", seventh edition, Gari Armstrong, Philip Kotler , Tbilisi, 2007
- [4] **Gigauri** 2012: "Economics and business", Iza Gigauri, social responsibility of marketing, September-October, 2012.
- [5] Todua 2009: "marketing" Nugzar Todua, Tbilisi, 2009
- [6] Silverman 2013: Silverman, D (2013). Doing Qualitative Research. A Practical Handbook. Fourth Edition. London, GASA, 2013.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა და მისი როლი კომპანიის მენეჯმენტუნარიანობის ამაღლებაში

SYSTEM OF MANAGEMENT REGISTRATION AND ITS ROLE IN ELEVATING THE COMPANY COMPATIBILITY

ბესიკ ბაუჩაძე

აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

BESIK BAUCHADZE

PhD, Associated Professor
at Batumi Shota Rustaveli
State University

ანოტაცია

სტატიაში განიხილება, მმართველობითი აღრიცხვის სისტემის როგორც კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ რესურსის მნიშვნელობის დასაბუთება, მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბების პრაქტიკული საკითხები სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში და საინფორმაციო მოღვაწეობის ბიუჯეტირებისას. კონკურენტულ ბიზნეს - გარემოში კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის თანამედროვე პირობებში კომპანიის მენეჯმენტი უნდა მკაფიოდ ადევნებდეს თვალს ურთიერთკავშირს მმართველობით აღრიცხვას (როგორც მმართველობითი გადანაწევრების მიღების ინფორმაციული და ანალიტიკური ბაზა), სტრატეგიულ დაგეგმვას (როგორც კომპანიის ფუნქციონირების საფუძველი) და ბიუჯეტირებას შორის (როგორც კომპანიის მოღვაწეობის ფინანსური დაგეგმვა)

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, დაგეგმვა, დანახარჯები, ანგარიშგება, დანახარჯების ცენტრი, პასუხისმგებლობის ცენტრი.

ABSTRACT

Articles examines the arguments of one of the strategic resource meaning of the company in reaching the compatibility priority as well as management registration system, practical issues in establishing the management registration system in strategic planning process and investment activities when budgeting in compatible business environment for the purpose of successful operation of the company in modern terms the company

management should clearly trace the management registration of inter-relation (as the information and analytic base of management related decision making), strategic planning (as the ground for company operation) and budgeting (as the financial planning of company activities).

Key words: strategy, planning, expenditure center, responsibility center

თანამედროვე კომპანიები წარმოდგენილია როგორც ღია ეკონომიკური სისტემები, რომლებიც ფუნქციონირებს გაურკვეველ გარე გარემოში. გარე გარემოს გადამწყვეტ ფაქტორს (რომელიც განაპირობებს კომპანიის განვითარებას საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე) წარმოადგენს კონკურენცია. ძლიერი კონკურენტული ბრძოლის პირობებში წარმატებული ფუნქციონირებისთვის საჭიროა ეფექტური სტრატეგია. წარმატებული და შედეგიანი სტრატეგია შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის შიგნით არსებობს ოპტიმალური საინფორმაციო ბაზა. სტრატეგიული მმართველობითი გადანაწევრების მიღების ინფორმაციულ ბაზას, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას მიაღწიოს მყარ კონკურენტულ უპირატესობას და განაგრძოს ღირსეული არსებობა კონკურენტული ბრძოლის პირობებში, წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვისა და ანალიზის სისტემა.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა - კომპანიის მართვის განუყოფელი შემადგენელია, უპირველეს ყოვლისა სტრატეგიული მართვის, ვინაიდან ყველა მმართველობითი გადანწყვეტილებას რომელიც კომპანიაში მიიღება მმართველობითი აღრიცხვისა და ანალიზის ოპერატიული მონაცემების საფუძველზე, აქვს ხანგრძლივი შედეგები და პირდაპირ ან ირიბად მიმართულია კომპანიის სტრატეგიის რეალიზებაზე. უფრო მეტიც, საკითხების წრეში, რომლებზეც ყალიბდება მმართველობითი ინფორმაცია, შედის კომპანიის მოღვაწეობის ისეთი სტრატეგიული ასპექტები, როგორც ბიზნეს გეგმების ჩამოყალიბება (ანუ ბიზნესის წარმართვის სტრატეგიები); დაგეგმვა, კონტროლი, მოღვაწეობის სახეების გაფართოება ან შემცირება; წარმოების გაზრდა და რესურსების გამოყენების ეფექტურობა; კომპანიის ღირებულების ზრდა.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა საშუალებას იძლევა გაერთიანდეს, დამუშავდეს და ჩაუტარდეს ანალიზი ინფორმაციას, რომელიც მოედინება კომპანიის მართვის სისტემის ძირითადი სტრუქტურული ბლოკებიდან (საერთო მმართველობა, ადმინისტრირება, ფინანსური მართვა, კადრების მართვა, წარმოება, მარკეტინგი, ინფორმაციული ტექნოლოგიები). ის წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიულ რესურსს და უზრუნველყოფს კომპანიას კონკურენტული უპირატესობებით შემდეგმექანიზმებით: 1) დანახარჯების მართვა - (დანახარჯების მართვა - კომპანიის ერთერთი საკვანძო სტრატეგიული მიზანია; დანახარჯების მინიმალიზაცია და მათი გამჭვირვალობის დონის გაზრდა მმართველობითი აღრიცხვისა და ანალიზის მონაცემების საფუძველზე - სერიოზული უპირატესობაა კონკურენტების წინაშე და გარე გარემოს მოთხოვნაზე პასუხი); 2) უახლესი ტექნოლოგიების და ინსტრუმენტარის დანერგვა (ინფორმაცია, რომელიც მიიღება მმართველობითი აღრიცხვის საფუძველზე - წარმოადგენს კომპანიის შიდა პროდუქტს, რომელიც ჩამოყალიბებულია კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე. მენეჯმენტის მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების და კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე მიმართულობის შემთხვევაში მმართველობითი აღრიცხვის სისტემა წარმოადგენს უნიკალურ კონკურენტუნარიან უპირატესობას; 3) ინფორ-

მაციის ჩამოყალიბება ძირითადი მმართველობითი ფუნქციების შესასრულებლად (მმართველობითი აღრიცხვის სისტემა მიმართულია ინფორმაციის ჩამოყალიბებაზე იმ ფორმით, რომელიც აუცილებელია ძირითადი მმართველობითი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად, კერძოდ: შიდა ანგარიშგების ჩამოყალიბებასა და მისი ანალიზისთვის; ფინანსების მართვისთვის; ხარჯების მართვისთვის; სტრატეგიული დაგეგმვისთვის; კორპორატიული ინვესტირებისთვის; ბიუჯეტირებისთვის და ანგარიშგების ჩამოყალიბებისთვის გარე მომხმარებლებისთვის) [4]. მმართველობითი აღრიცხვის შედეგნას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და აქვს შემდეგი მიზნები:

პირველი ეს არის საწარმოს ფარგლებში ფუნქციონირებადი სტრუქტურული ქვედანაყოფების მოღვაწეობის ეფექტურობის, ანალიზისა და პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამ დავალების ამოხსნა წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვის ფუნქციას.

მეორე მიზანი - გარე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, საწარმოების მოღვაწეობის, მათი შემოსავლებისა და რისკების ანალიზში დახმარების განევა [2].

ანგარიშგებისა და სეგმენტული აღრიცხვის მესამე მიზანს წარმოადგენს საწარმოებისთვის ბუღალტრული ინფორმაციული დახმარების განევა, მათი მხრიდან სხვადასხვა მმართველობითი გადანწყვეტილების მიღებისას.

მმართველობითი ანგარიშგების მნიშვნელობა დასტურდება შემდეგი პრაქტიკული დაკვირვებებით: რაც უფრო მეტად არის ხელმძღვანელი ორიენტირებული შედეგების მიღწევაზე მით უფრო მეტად აქვს მას უკუკავშირის საჭიროება შიდა ანგარიშგებისა, რომელიც აწვდის მას ინფორმაციას პასუხისმგებლობის ცენტრის მოღვაწეობის ეფექტურობაზე; რაც უფრო მეტად არის ხელმძღვანელი ორიენტირებული შედეგების მიღწევაზე, მით უფრო ნაკლებ დროს ის ხარჯავს ქალაქების რუტინაზე, დაუმუშავებელი ან სუსტად დამუშავებული მონაცემების შესწავლაზე: მას ესაჭიროება სისტემატიზირებული მონაცემების მინიმალური მოცულობა მმართველობითი გადანწყვეტილებების მისაღებად; რაც უფრო მეტად ცდილობს ხელმძღვანელი განახორციელოს თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელთა ქმედებათა კონტრო-

ლი, მით უფრო შეთანხმებული უნდა იყოს მათი მუშაობის შედეგების დაგეგმვა და მიზნები. კონტროლისთვის არასაკმარისია მათი ფაქტიური ქმედებების შესახებ ინფორმაციის უკუკავშირი, შიდა მმართველობითი ანგარიშგება უნდა ასახავდეს მოსალოდნელი შედეგების განგადახრას; კონკურენტულ ბიზნეს - გარემოში კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის თანამედროვე პირობებში კომპანიის მენეჯმენტი უნდა მკაფიოდ ადევნებდეს თვალს ურთიერთკავშირს მმართველობითი აღრიცხვას (როგორც მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ინფორმაციული და ანალიტიკური ბაზა), სტრატეგიულ დაგეგმვას (როგორც კომპანიის ფუნქციონირების საფუძველი) და ბიუჯეტირებას შორის (როგორც კომპანიის მოღვაწეობის ფინანსური დაგეგმვა).

ამჟამად ბევრ სამამულო (სამშობლო) კომპანიის წინაშე დგას ძირითადი ფონდების განახლების პრობლემა. სახსრების ნაწილის მიმართვა ინვესტირებაზე და ბრუნვის კაპიტალიდან მათი გამოყოფა აყენებს ამოცანას მოხდეს მათი გახარჯვის მკაცრი კონტროლი. მმართველობითი აღრიცხვის სისტემა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მათი დაგეგმვა, ოპერატიული აღრიცხვა და საინვესტიციო მოღვაწეობისთვის კომპანიის მიერ განხორციელებული ხარჯების კონტროლი.

რაც უფრო ნაკლებ ინფორმაციას ფლობს ხელმძღვანელი, მით ნაკლებია მისი რწმენა საკუთარი ძალებისა, მით მეტად ღელავს იგი, რათა მიაღწიოს უფრო სრულ კონტროლს დიდი ძალისხმევის ხარჯზე.

მრავალ ორგანიზაციაში მმართველობითი აღრიცხვის დანერგვის გამოცდილება მოწმობს, რომ მოცემული ინფორმაციის მისაღებად საჭიროა სისტემური მიდგომა. უკუკავშირის ინფორმაციაზე ორგანიზების სისტემური მიდგომა ვარაუდობს მინიმუმ სამ სისტემურ ბლოკს: მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშები, ფირმის შიდა ანგარიშგება, დოკუმენტბრუნვის გეგმა. ბუღალტერებმა, რომლებიც ადგენენ შიდა მმართველობით აღრიცხვას, უნდა იცოდნენ ამის შესახებ და უნდა ესმოდეთ მათ მიმართ მმართველობითი პერსონალის მხრიდან არსებული მოთხოვნები [1].

დაგეგმვის პროცესში, ბუღალტერი ანალიტიკოსი მონაწილეობას ღებულობს პერსპექ-

ტიული გეგმების შემუშავებაში, სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით: რა სახის პროდუქცია გაიყიდოს; რომელ ბაზრებზე, რა ფასად, და ასევე კაპიტალდაბანდების წინადადებების შეფასებისათვის. ხარჯთაღრიცხვის შედგენისას, ბუღალტერი ანალიტიკოსი თამაშობს ერთ ერთ მთავარ როლს, მცირევადიანი გეგმების მომზადების მხრივ და პასუხისმგებელია შემდეგი მონაცემების ჩამოყალიბებაზე: გავლილი პერიოდის შედეგები, რომლებიც შესაძლებელია საჭირო იყოს მონაცემების პროგნოზირებისთვის. ის ადგენს ხარჯთაღრიცხვის შედგენის პროცედურას და სამუშაოს გრაფიკს, ახორციელებს ორგანიზაციის ყველა ქვედანაყოფის მიერ მცირევადიანი გეგმების შემუშავების კოორდინირებას და თვალყურს ადევნებს იმას, რომ ეს გეგმები იყოს მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული. შემდგომ, ის ამ გეგმებს აერთიანებს მთელი ორგანიზაციის ერთიან ფინანსურ ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც გადასცემს ზემდგომ ხელმძღვანელობას დასადასტურებლად.

ბუღალტერი ანალიტიკოსი პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის წინაშე მოწოდებული ანგარიშების ხარისხზე და მათ ანალიტიკურ გათვლებზე. მის მიერ მოწოდებული ანგარიშგების ხარისხზე დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მიერ შემდგომში მიღებული გადაწყვეტილებები, ამიტომაც ბუღალტერების შტატში აუცილებელია ისეთი თანამშრომლის ყოლა, რომელიც შესძლებს შეათავსოს თავისი დამოუკიდებლობა და მსჯელობების ობიექტურობა სურვილთან, დაეხმაროს მენეჯერებს მათი მმართველობითი მოღვაწეობის ეფექტურობის ზრდაში.

სამწუხაროდ, საქართველოს სამეურნეო პრაქტიკაში არ არსებობს ბუღალტერ-მენეჯერის, ბუღალტერ-ანალიტიკოსის პროფესია, თუმცა მათი არსებობის საჭიროების გახდა რეალური. მმართველობითი აღრიცხვის შედგენაში დამატებით დახმარებას წარმოადგენს აღრიცხვის პროცესის ავტომატიზაცია. რეალურ მონაცემებთან სამუშაო მოითხოვს სპეციალიზირებული საშუალებების გამოყენებას, ისეთებს როგორც უკვე არის პროგრამული პროდუქტების ბაზარზე.

მმართველობითი აღრიცხვის ჩამოყალიბების ძირითად პრობლემას წარმოადგენს

მისი გამოყენების საჭიროების გაუაზრებლობა ხელმძღვანელების მხრიდან, ამ დროს კი არსებობს პროფესიონალ ბუღალტერ-ანალიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებს (OMA). მის ამოცანებში შედის მმართველობითი აღრიცხვის მეთოდისა და თეორიის განვითარება, ამ პროფესიის ეთიკის კოდექსის შემუშავება. ამ კოდექსს შეუძლია გახდეს კვალიფიციური მოთხოვნების საფუძველი, ახალი პროფესიის ჩამოყალიბებისას და მისი თანამედროვე სპეციალობების ჩამონათვალში შეყვანისას.

თანამედროვე მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზება დღეს შესაძლებელია ინახოს მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მაგალითზე. ასეთი საწარმოებისა და ორგანიზაციების საორგანიზაციო სტრუქტურის დათვალიერებით, ჩანს, რომ აღრიცხვა მათში მიმდინარეობს განცალკევებულად: ფინანსური და საგადასახადო — ცენტრალიზებულ ბუღალტერიაში, მმართველობითი — ფინანსური დირექტორის სამსახურში.

ბოლო ათწლეულებში გაჩნდა ტენდენცია მსხვილი საწარმოების სტრუქტურის წარმოებისა არა ტრადიციული ფუნქციონალური პრინციპით (მარკეტინგი, ფინანსები, მომარაგება, წარმოება, გატვირთვა), არამედ პროდუქციის ხაზების მიხედვით, რომელთაგან თითოეული იკრიბება ჯგუფებში განსაზღვრული ტიპის პროდუქტების წარმოების ან მომსახურების ირგვლივ და მოიცავს აუცილებელ ფუნქციონალურ ჯგუფებს. ამ ტენდენცია მმართველობით აღრიცხვაში შემოიტანა ახალი გაგება „ბიზნესის სეგმენტი“, როგორც საწარმოს ნაწილი, რომელიც მუშაობს გარე მომხმარებელზე ან წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს. საწარმოსგან ასეთ ქვედანაყოფს შეიძლება გამოეყოს აქტივები და ძირითად და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგები.

კონკურენტულ ბიზნეს - გარემოში კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის თანამედროვე პირობებში კომპანიის მენეჯმენტი უნდა მკაფიოდ ადევნებდეს თვალს ურთიერთკავშირს მმართველობით აღრიცხვას (როგორც მმართველობითი გადანაცვლებების მიღების ინფორმაციული და ანალიტიკური ბაზა),

სტრატეგიულ დაგეგმვას (როგორც კომპანიის ფუნქციონირების საფუძველი) და ბიუჯეტირებას შორის (როგორც კომპანიის მოღვაწეობის ფინანსური დაგეგმვა).

მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზების საკადრო უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოებში ტარდება ქვედანაყოფების ეკონომიკური სამსახურების რესტრუქტურისა. ყველა ეკონომისტი ერთიანდება გეგმიურ-ეკონომიურ განყოფილებებში. ასეთმა გაერთიანებამ მიიქცია ხელმძღვანელების ყურადღება მიიღონ მონაწილეობა დაგეგმვისა და კონტროლის პროცესში, როგორც ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრი. ვინაიდან მანამდე მთელი სამუშაო აწვებოდა ეკონომისტების მხრებს, ხშირად ხელმძღვანელი არც კი ჩანვდომილა წარმოქმნილ პრობლემებში. ახლა კი ეკონომისტი აწვდის მას მონაცემებს ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრის ბიუჯეტის შესრულებაზე, ხოლო თვითონ ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას [4].

პასუხისმგებლობის ცენტრების შექმნისთვის აუცილებელი პირობები შეიძლება მოინიშნოს შემდეგ მიმართულებებში:

- 1) ცენტრებისგან, რომლებზეც გადაცემულია საერთო პასუხისმგებლობის ნაწილი დანახარჯების, შემოსავლების ან მოგების მხრივ, ერთობლიობის ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობის ცენტრების იერარქიული სისტემის ჩამოყალიბებისთვის, რომ ყოველი ქვედა დონე (ცენტრი) ანგარიშგებაში იყოს შესაბამის ზედა ცენტრთან;
- 2) პასუხისმგებლობის წრის განსაზღვრა. იგი არ უნდა იმეორებდეს კომპანიის (საწარმოს), მართვის ფუნქციონალურ სტრუქტურას, რომელიც არსებობს სხვა მიზნებისათვის; მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივად, იქ სადაც ეს არის მიზანშეწონილი.

მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზებაში დაგროვებული გამოცდილების გამოყენებით, თანამედროვე საწარმოებსა და ორგანიზაციებს ესაჭიროება: გაამყაროს აღრიცხვის პოლიტიკაში და გამოეყოს ცალკეულ განყოფილებაში «აღრიცხვის პოლიტიკა მმართველობითი აღრიცხვის მიზნებისთვის»; გამოიყენოს ანგარიშე-

ბის განკერძოებული სისტემის ორგანიზების შესაძლებლობა ანგარიშების ერთიანი გეგმის ფარგლებში მმართველობითი არრიცხვის წარმართვისთვის;საწარმოს, ორგანიზაციის შტატში მომუშავე ბუღალტრებს მიენიჭოს ბუღალტერ-ანალიტიკოსის ფუნქციები; ბუღალტრული სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურაში გამოიყოს მმართველობითი აღრიცხვის განყოფილება.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში მმართველობითი აღრიცხვა წარმოადგენს კომპანიის ერთერთ სტრატეგიულ რესურსს. იგი წარმოადგენს სტრატეგიული მართვის საფუძველს, ვინაიდან წარმოადგენს საინფორმაციო და ანალიტიკურ ბაზას სტრატეგიული მმართველობითი გადანყვეტილებების მისაღებად და უზრუნველყოფს კომპანიის ფუნქციონირებას კონკურენტულ ბიზნეს-გარემოში.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] **Вахрушина М.А., Лялькова Е.Е.** Учетная политика в системе управленческого учета: методика формирования, практика применения. монография. - м.: Экономистъ, 2008. - 205 с.

[2] **Непочатая А.Ю.** Операционный менеджмент в системе управления предприятия.актуальные проблемы гуманитарных и естественных наук. 2016.№ 3-7. с. 105-108.

[3] **Сидорова М.И., Гордеева Е.И.** Управленческий учет и менеджмент: вопросы кросс-функционального взаимодействиямеждународный бухгалтерский учет. 2014.№ 35. с. 2-15.

[4] Система Управленческого Учета Как Стратегический Ресурс В Конкурентной Борьбе;Медведко К.АОпубликовано в журнале «Финансовый менеджмент» №4 год - 2005

აუდიტის არსი და მისი განხორციელების ობიექტური აუსილგებობა

THE ESSENCE OF AUDIT AND OBJECTIVE NECESSITY OF ITS IMPLEMENTATION

გიორგი ქვეციშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

GIORGI KEVKHISHVILI

PhD Studies of
Batumi Shota Rustaveli State
University

ანოტაცია

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად წარმოიშვა საწარმოს საქმიანობისათვის ხელშემწყობი და კონტროლის ახალი ფორმის ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა ადრე არსებული სარევიზიო კონტროლის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური, სამართლებრივ-საკანონმდებლო პრინციპებისაგან და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პერიოდის სამართლებრივი ბაზისაგან.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობა და აუდიტორის პროფესია თავის თანამედროვე სახით შედარებით ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში სულ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა.

სტატიაში განისაზღვრულია, თუ რაში გამოიხატება აუდიტის, როგორც საქმიანობის სახის აუცილებლობა, აღნიშნული პრობლემის ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით და ასევე დახასიათებულია აუდიტისა და აუდიტორული საქმიანობის ცალკეული სახეები.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, აუდიტორი, აუდიტორული საქმიანობა, შიგა და გარე აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, სააქციო საზოგადოება.

ANNOTATION

With the development of market relations in Georgia there appeared a necessity of creation a new institute for supporting and controlling enterprise activities which could be totally different from the organizational-methodological, legal-legislative principles and legal base of dictatorial-administrative period.

Auditor's activity and Auditor's profession in Georgia with its modern face has appeared short time ago and

has widely developed in the terms of economic transformations.

In the work it is identified where is the necessity of audit as an activity type, foreseeing historical aspects of the mentioned issue and there are characterized certain types of audit and audit activities as well.

Key words: Audit, Auditor, Audit Activity, Inside and Outside Audit, Accounting Report, Joint Stock Company.

შესავალი

აუდიტი წარმოადგენს მრავალასპექტიან, საკმაოდ მკაცრად რეგლამენტირებულ სამეწარმეო საქმიანობას. მსოფლიო პრაქტიკაში ის უკვე მრავალი წელია გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში. აუდიტის როლი განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანია, ხოლო აუდიტორის მოსაზრება - ავტორიტეტული.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლას მოჰყვა საკუთრების ფორმების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების (ერთობლივი საწარმოების, სააქციო ან შეზღუდული პასუხმგებლობის საზოგადოებების, მცირე საწარმოების, გლეხური მეურნეობების) მრავალფეროვნება. საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის უქონლობის და სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე მთლიანად მოიშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა, ხოლო მასზე კონტროლის ინსტიტუტები გააქტიურების ნაცვლად სრულიად უმოქმედო გახდა [1. გვ. 18].

კონტროლის ფუნქციების უგულვებელყოფას,

მის დაკნინებას ხელი შეუწყობს როგორც მისი მნიშვნელობის სათანადო შეუფასებლობამ სახელმწიფოს ფუნქციონირებაში, ისე დემოკრატიის პრინციპების არასწორად გაგებამ, რის გამოც რეფორმების სანყის ეტაპზე კონტროლი და რევიზია გამოცხადდა გეგმიანი ეკონომიკის ნეგატიურ გადმონაშთად, აღებული იქნა კურსი არა ამ სფეროს საქმიანობის ლიბერალიზაციაზე და საბაზრო ეკონომიკის პირობებით გათვალისწინებულ შესაბამის ჩარჩოებში მოყვანაზე, არამედ მის გაუქმებაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ კონტროლის სისტემა ძირითადად ეფუძნებოდა გეგმიანი ეკონომიკის მოთხოვნებს და საბაზრო ეკონომიკისათვის შეუთავსებელი იყო.

ნიშანდობლივია, რომ საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის სრულიად ახალი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც ახდენენ სანარმოთა (ორგანიზაციების) საქმიანობის სამართლებრივი საკითხების, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, დაბეგვრის, პროდუქციის თვითღირებულების რეგულირებას. ამავდროულად, უამრავი ცვლილებები და დამატებები გამოცემულ ნორმატიულ დოკუმენტებში ხშირ შემთხვევაში ვერ მოიცავდნენ მოქმედი ნორმატიული ინფორმაციის მთელ ბანკს.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოიშვა სანარმოს საქმიანობისათვის ხელშემწყობი და კონტროლის ახალი ფორმის ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა ადრე არსებული სარევიზიო კონტროლის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური, სამართლებრივ-საკანონმდებლო პრინციპებისაგან და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პერიოდის სამართლებრივი ბაზისაგან. ასეთი ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი ამოცანები უნდა განსაზღვრულიყო: კონსულტაციებით, (დირექტივებით) როგორც ორგანიზაციის, ისე საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესების მოწესრიგებით და გაუმჯობესებით, ფინანსური მდგომარეობის და სანარმოს გადახდისუნარიანობის გასაუმჯობესებლად სათანადო რეკომენდაციების შედგენით, გადასახადების გაანგარიშების სისწორის დადგენით, სამართლებრივ საკითხებზე დახმარების გაწევით, თაღლითობის და შეცდომების გამოვლენით,

მათი აღსაკვეთი ღონისძიებების დასახვით და მათი კონკრეტული კომერციული საქმიანობის ამაღლებით. ასეთი ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო საყოველთაოდ აღიარებული არასახელმწიფოებრივი კონტროლის ერთერთი სახეობა და ცხოვრების პრაქტიკით აპრობირებული, ანუ ანალოგი იმისა, რასაც ფართოდ იყენებენ საბაზრო ურთიერთობების პირობებში. გარდა ამისა, ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ხელი უნდა შეეწყოს და ქვეყნის მიერ აღებული კურსის, ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფოს ჩართვის თანდათანობით შემცირებისათვის [4.გვ. 23].

სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ასეთ ინსტიტუტად დამოუკიდებელი აუდიტორული საქმიანობა არის აღებული. ფაქტობრივად, აუდიტის აღმოცენება ეკონომიკური გარდაქმნების ლოგიკიდან გამომდინარეობდა და ეფუძნებოდა მოთხოვნისა და განაცხადის ფუნდამენტურ ურთიერთობას.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობა და აუდიტორის პროფესია თავის თანამედროვე სახით შედარებით ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში სულ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა.

თემის აქტუალობა

საქართველოში ფინანსური ინსტიტუციონალიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა აუდიტორული საქმიანობა და მისი რეგულირების საკითხები; ანუ საჭიროა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ისეთი საფინანსო სისტემა, რომელიც მეტი ეფექტიანობით შეუწყობს ხელს სამეწარმეო სუბიექტებისა და საგადასახადო-ფისკალური პოლიტიკის გამართულ საქმიანობას. აუდიტორული საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია და მართვის დამოუკიდებელ ფუნქციად გვევლინება. კონტროლის მეშვეობით ხორციელდება სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციული და მეთოდური უზრუნველყოფა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის პირობებში არ არსებობდა მოთხოვნა დამოუკიდებელ აუდიტორულ კონტროლზე და კონტროლის ფუნქციას სახელმწიფო ორგანოები ახორციელებდნენ. საბაზრო კონომიკაზე გადასვლის შემდგომ საკმაოდ შეიზღუდა სახელმწიფო

ორგანოების ჩარევა სამეურნეო სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ სახელმწიფოსა და მენარმეთა ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნა კონტროლზე დარჩა და სადღეისოდაც გრძელდება. აქედან გამომდინარე საქართველოს დღევანდელ რეალობაში აუდიტის და აუდიტორული საქმიანობის არსის დაზუსტებისა და მისი რეგულირების საკითხები ერთობ აქტუალურია.

კვლევის მიზანი

საკვლევი თემის მიზანია აუდიტისა და აუდიტორული საქმიანობის არსის თეორიული საფუძვლების განხილვა. აუდიტისა და აუდიტორული საქმიანობის არსი მრავალასპექტიანი მოვლენაა. ის შეიძლება განხილული იქნას სხვადასხვა სრულიად განსხვავებული პოზიციებიდან. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ს განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- განისაზღვროს, რაში გამოიხატება აუდიტის, როგორც საქმიანობის სახის აუცილებლობა, აღნიშნული პრობლემის ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით;
- დახასიათებული იქნას აუდიტისა და აუდიტორული საქმიანობის ცალკეული სახეები.

აუდიტს დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დამოუკიდებელი აუდიტორები გამოჩნდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ევროპის აქციონერულ კომპანიებში.

აუდიტის წარმოშობა დაკავშირებულია იმათ ინტერესებთან, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული საწარმოს მართვასთან (ადმინისტრაცია, მენეჯერები) და მათი, რომლებიც არიან ამ საქმიანობის დამფინანსებლები, (მესაკუთრეები, აქციონერები, ინვესტორები). ეს უკანასკნელნი ვერ ეყრდნობიან იმ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც წარუდგინეს მმართველებმა და საწარმოს ბუღალტერებმა. გარკვეული ნაწილი საწარმოების გაკოტრებისა, რომელიც ადმინისტრაციის მხრიდან მოტყუების მცდელობით იქნა განხორციელებული საწარმოებში არსებითად გაზარდა ფინანსური დაბანდების რისკი. აქციონერებს სურდათ ყოფილიყვნენ დარწმუნებულები იმაში, რომ მათ არ მოატყუებდნენ და აღრიცხვა, რომელსაც ადმინისტრაცია წარმოადგენს სრულიად ასახავს

საწარმოში არსებულ ფინანსურ მდგომარეობას. ფინანსური ინფორმაციის სინამდვილისა და აღრიცხვიანობის დასადგენად სპეციალურად ინვესტირდნენ ხალხს – აუდიტორებს, რომელთა მოსაზრება აქციონერების აზრით შესაძლებელი იყო დაეჯერებინათ. მთავარი მოთხოვნა, რაც აუდიტორს მოეთხოვებოდა, იყო მისი უმნიშვნელო პატიოსნება და დამოუკიდებლობა [3.გვ.38].

აუდიტის ისტორიულ ქვეყნად ითვლება დიდი ბრიტანეთი, სადაც 1844 წელს გამოვიდა კანონთა კრებული კომპანიების შესახებ, რომელთა თანახმადაც, სააქციო კომპანიების მმართველები ვალდებული იყვნენ წელიწადში არა უმცირეს ერთხელ მოეწვიათ სპეციალურად ადამიანი ბუღალტრული აღრიცხვის შესამოწმებლად და აქციონერთათვის ანგარიშის ჩასაბარებლად.

რუსეთში კი აუდიტის წოდება შემოღებულ იქნა პეტრე I. –ის დროს. აუდიტორის თანამდებობა მოიცავდა რამდენიმე საქმისწარმოებას, მდივნობას და პროკურორობას. აუდიტორებს რუსეთში უწოდებდნენ მსაჯულ ბუღალტრებს.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა 1929-1933 წ.წ. გააძლიერა მოთხოვნა ბუღალტერ-აუდიტორის მომსახურებაზე. იმ დროს მკვეთრად გამკაცრდა მოთხოვნა აუდიტორულ შემოწმებაზე, იგი გახდა აუცილებელი და ბაზარზე იზრდებოდა მოთხოვნილება ასეთ მომსახურებაზე. კრიზისის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად ყველა ქვეყანა იწყებს აუცილებელ მოთხოვნას ფინანსური ინფორმაციისა, რომელიც შეიცავს წლიურ საბუღალტრო ანგარიშგებას და მის შემდგომ გამოქვეყნებას საჯაროდ. ყოველივე ეს კი უნდა ყოფილიყო აუდიტორის მიერ დამოწმებული. ასე რომ, აუდიტი გახდა მძლავრი იარაღი ფინანსური მაქინაციების წინააღმდეგ [2.გვ.375].

დიდ ბრიტანეთში აუდიტორებად იწოდებიან ნებისმიერი სპეციალისტები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ფინანსური ინფორმაციის კონტროლთან, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებში მომუშავეებსაც. საფრანგეთში კი დამოუკიდებელი ფინანსური კონტროლით დაკავებულები არის ორი პროფესიონალიზებული ორგანიზაცია – ბუღალტერ-ექსპერტები, რომელთა კომპეტენციაში შედის უშუალოდ ბუღალტრული აღრიცხვა, აღრიცხვიანობის მონესრიგება, კონსულტაციების განევა ამ დარგში. ხოლო მეორე აღრიცხვის კომისრები (სრულყოფილებიანი წევრები), რომელთა კომპეტენციაში

შედის კონტროლის უზრუნველყოფა ფინანსური აღრიცხვიანობის შესაბამისობასთან. აშშ-ში კი ფინანსური აღრიცხვიანობის შესაბამისობასთან კონტროლს ახორციელებს დიპლომირებული საზოგადოებრივი ბუღალტერი და ამერიკის ბუღალტერთა ასოციაცია [6.გვ.79].

აუდიტის ჩატარების აუცილებლობა და აუდიტორულ მომსახურებაზე მოთხოვნა წარმოიშვა იმის გამო, რომ არაობიექტური ინფორმაციის მიწოდებისას მისი შემადგენლების მიერ (ადმინისტრაციის, მენეჯერების), როცა წარმოიშვება უსიამოვნება მათი ინფორმაციის მომხმარებლებთან (მესაკუთრებთან, აქციონერებთან, ინვესტორებთან, კრედიტორებთან).

აუდიტისა და აუდიტორული საქმიანობის მრავალი განსაზღვრება არსებობს ერთ-ერთი მათ შორის გამომდინარეობს ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტებიდან, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კანონმდებლობებიდან, მეორე განსაზღვრებას კი იძლევა აუდიტის სფეროში მომუშავე სპეციალისტები. „აუდიტის ძირითადი კონცეფციების დებულებაში“, რომელიც 1973 წელს გამოაქვეყნა ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის (AAA) აუდიტის ძირითად კონცეფციათა კომიტეტმა, მოცემულია აუდიტის ასეთი განმარტება: „აუდიტი ეწოდება ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ არსებული ცნობების ობიექტური შეკრებისა და შეფასების სისტემატურ პროცესს, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს დადგენილ კრიტერიუმებთან ამ მტკიცებების შესაბამისობის ხარისხი და შემონმების შედეგები გადაეცეს დაინტერესებულ პირებს“.

მაკროეკონომიკურ დონეზე აუდიტი ითვლება საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტად, რომლის ფუნქციონირებას განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები [5.გვ.79]:

1. ბუღალტრული აღრიცხვა გამოიყენება გადანყვევტილების მისაღებად, რომლითაც დაინტერესებული არიან მისი მომხმარებლები, მათ შორის ხელმძღვანელობა ეკონომიკური სუბიექტის მონაწილეები და მფლობელები, რეალური და პოტენციური ინვესტორები, დამკვეთები და მომუშავეები, სახელმწიფო ორგანოები და ზოგადად საზოგადოება;
2. ბუღალტრული აღრიცხვა რიგი ფაქტორების გამო შეიძლება არასწორი იყოს.

კერძოდ, კი შესაფასებელი მაჩვენებლების გამოყენებით და სამეურნეო საქმიანობის აღმრიცხველი ფაქტების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობით.

აუდიტორსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე განასხვავებენ გარე და შიდა აუდიტს.

გარე აუდიტში გაიგება სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი ექსპერტიზა და ანალიზი მისი სანდოობისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე კონსულტაციების განევისათვის სააღრიცხვო, საგადასახადო, საფინანსო, საორგანიზაციო და სხვა კუთხით.

შიდა აუდიტი ხორციელდება თვით სანარმოს თანამშრომლების მიერ (დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვეგანყოფილების ან სამმართველოს მიერ) და მიზნად ისახავს ფინანსური მდგომარეობისა და ხარჯების წყაროების შესწავლას, მართვის სისტემის დიაგნოსტიკას, რეზერვების გამოვლენასა და სანარმოს ეფექტიანობის ამაღლებისათვის ადმინისტრაციისათვის შესაბამისი რეკომენდაციებით უზრუნველყოფას.

ევოლუციური განვითარების კუთხით განასხვავებენ:

- დადასტურებით აუდიტს. აუდიტის აღნიშნული სახის, მიზანია ჩაატაროს შემოწმება და დადასტუროს ანგარიშგების საბუთების სანდოობა;
- სისტემურად ორიენტირებული აუდიტი. აღნიშნული მიდგომის არსი მდგომარეობს შიგა კონტროლის სისტემის შეფასების საფუძველზე განხორციელებულ ექსპერტიზაში. საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თუ შიგა კონტროლის სისტემა ეფექტურად მუშაობს, არ წარმოიშვება დეტალური შემოწმების აუცილებლობა, ვინაიდან აუდიტორს შეუძლია ენდოს (ნდობის ამა თუ იმ ხარისხით) შიგა კონტროლის სისტემას არსებული ნაკლოვანებების აღმოჩენისა და აღმოფხვრის საქმეში.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე განასხვავებენ აუცილებელ (სავალდებულო) და ინიციატურ აუდიტს:

აუცილებელი (სავალდებულო) აუდიტი ტარდება იმ შემთხვევებში, რომლებიც ოფიციალურად არის დადგენილი კანონმდებლობით, ან სახელმწიფო ორგანოების დავალებით. აუცილებელი (სავალდებულო) აუდიტის ჩატარების მოცულობა და წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“.

აუცილებელი (სავალდებულო) აუდიტი ტარდება თუ:

- ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს ღია სააქციო საზოგადოება;
- ორგანიზაცია წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციას, სადაზღვევო ორგანიზაციას, ურთიერთდახმარების საზოგადოებას, სასაქონლო ან საფონდო ბირჟას, საინვესტიციო ფონდს, ფონდს, რომლის თანხების წარმოშობის წყაროს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობები;
- კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

აუცილებელი (სავალდებულო) აუდიტი ტარდება ყოველწლიურად. აქედან გამომდინარე, აუცილებელი (სავალდებულო) აუდიტი წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვისა და საწარმოს ან ინდემწარმის ფინანსური (საბუღალტრო) ანგარიშგების ყოველწლიურ აუცილებელ (სავალდებულო) აუდიტორულ შემოწმებას.

ინიციატური (ნებაყოფლობითი) აუდიტი ხორციელდება ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებების საფუძველზე. ინიციატური (ნებაყოფლობითი) აუდიტი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს და იმ მოცულობით, რაც იქნება დადგენილი ორგანიზაციის მენეჯმენტის ან ინდემწარმის მიერ. აუდიტის აღნიშნულ სახეს შეიძლება მივაკუთვნოთ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ე.წ. საკონტროლო აუდიტორული შემოწმებები, რომლებიც ტარდება უფლებამოსილი ორგანოების ინიციატივითა და ხარჯით. აღნიშნული შემოწმების მიზანს წარმოადგენს მოცემული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების საქმიანობის რეალური ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა [7.გვ.35].

დასკვნა

აუდიტისა და აუდიტორული საქმიანობის არსის განხილვა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

აუდიტის წარმოშობა მიეკუთვნება ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც სპეციალური მეცნიერული დარგის, ჩამოყალიბების პერიოდს. დღეისათვის აუდიტის განხილვისას მას უკავშირებენ სააქციო საზოგადოებების განვითარებას, როდესაც საკუთრება ჩამოცილებული იქნა ხელისუფლებისაგან და კაპიტალის მფლობელებმა მართვისათვის დაიწყეს სპეციალისტების დაქირავება (მენეჯერები, ადმინისტრატორები). ასეთ პირობებში აუდიტმა თავის თავზე აიღო გარკვეული სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციები, რითაც უზრუნველყო ობიექტური მსჯელობა სააქციო საზოგადოებების მიერ მონოდედული ანგარიშგების მონაცემების სანდოობის შესახებ. ასეთი მსჯელობა აუდიტზე საკმაოდ გავრცელებულია და სრულად განსაზღვრავს მის არსს. ეს მტკიცდება თვით აუდიტის ისტორიით, ვინაიდან კანონმდებლობის შესაბამისად აუდიტი დაფიქსირდა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა კორპორატიული სტრუქტურების საქმიანობის მარეგლამენტირებელი კანონები.

აუდიტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს საწარმოს ანგარიშგების მომხმარებლები რწმენით, რომ მოცემული ანგარიშგება განხილულია კვალიფიციური სპეციალისტების მიერ ლფ მისი სიზუსტე ყველანაირად დასტურდება. აღნიშნული იძლევა იმის საშუალებას, რომ ბიზნესის წარმართვის პროცესში სანდოობის დიდი ალბათობით გამოვიყენოთ ანგარიშებში მოყვანილი ინფორმაცია.

აუდიტორული საქმიანობის წარმართვის ძირითად პრინციპებს მიეკუთვნება; ობიექტურობა და დამოუკიდებლობა შემოწმების ჩატარების დროს; კონფიდენციალურობა, პროფესიონალიზმი, აუდიტორის კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება; სტატისტიკის და ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენება; აუდიტორული შემოწმების საფუძველზე რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი; კეთილგანწყობა და ლოიალურობა კლიენტების მიმართ; აუდიტორის პასუხისმგებლობა მის მიერ მოცემულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე; ძალისხმევა აუდიტორის პროფესიის ავტორიტეტის ამაღლებაში.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **ადეიშვილი ჭ.** აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, მეთოდები და ხერხები. ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“. 2001წ. №
- [2] **ალავერდაშვილი ბ.** აუდიტის პრაქტიკული კურსი, თბ. 2001წ. 408 გვ.
- [3] **ბლანკი ი. ა.** ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. ქართული თარგმანი ლ. ქოქიაური. თბ. 2013 წ. 578 .
- [4] **გვარამია ნ. ბ.** საერთაშორისო გამოცდილება და აუდიტის რეგულირება საქარ თველოში . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი- ტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონო- მიკის ინსტიტუტის პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერ- თაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკი და გლობალიზაცია“, შრომების კრებული. თბ. 2012 წ. გვ. 49-51
- [5] ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები - INTOSAI- ს სახელმძღვანელო.
- [6] **ვ. კაციაშვილი.** აუდიტორული საქმიანობის ფორმირებისა და რეგულირების თავისებურებე- ბი საქართველოში გარდამავალ ეტაპზე. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.,2003
- [7] **მესხია ი. გაბელაშვილი კ.** ეფექტიანობის აუდიტი როგორც ფინანსური კონტროლის ახალი ფორ- მა. ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“. № 8 , გვ. 32-36.

ტექნოლოგიური უორსაიტის თეორიული ასპექტები

THEORETICAL ASPECTS OF TECHNOLOGICAL FORESIGHT

ლამარა ჟოქიაური,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. საქართველოს ეკონომიკის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის
ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი

ნინო ჟოქიაური,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი

LAMARA QOQIAURI,

Academician of Georgian Economics
Academy, Professor
Senior Research Scientist-Coworker
at the National Institute of Economic
Research

NINO QOQIAURI,

Master of Sokhumi State University

ანოტაცია

სტატიაში განხილულია თანამედროვე ფორსაიტის არსის, წარმოშობის და განვითარების საკვანძო საკითხები. ახსნილია ფორსაიტის განმარტების სამი ძირითადი პროგრამა: არის თუ არა ფორსაიტი ახალი მოვლენა სამეცნიერო – ტექნიკურ პროგნოზირებაში; რამდენად შესაძლებელია ფორსაიტის პოზიციონირება სტრატეგიულ დავებებში; გამოიყენება თუ არა ფორსაიტის მეთოდოლოგია რეგიონალურ დონეზე; შრომაში მოცემულია აგრეთვე ფორსაიტის ჩამოყალიბების ეტაპები; გავლენილია პარალელური პროგნოზირებისა და ფორსაიტის შორის და დასაბუთებულია, რომ ფორსაიტის მონაწილენი რეალურ შესაძლებლობებს ქმნიან არა მარტო პროგნოზირებისათვის, არამედ იხილავენ მომავლის შესაძლო ალტერნატივებს და შეიმუშავენ სტრატეგიებს უფრო პერსპექტიული პროექტების განსახორციელებლად. აქვე შესწავლილია ფორსაიტის მეთოდოლოგიური საკითხები, კერძოდ ნორმატიული და ექსპლორატორული მიდგომები, ფორსაიტისთვის გამოყენებული მეთოდების ფართო სპექტრი: კრეატიულობა, ექსპერტიზა და პროგნოზირება, ანალიზი, ურთიერთქმედება, დელფი – გამოკითხვისა და ხარისხიან ინფორმაციაზე დაფუძნებული მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ფორსაიტი, დელფის მეთოდი, წინასწარი განჭვრეტა, სტრატეგიული მართვა, ნორმატიული პროგნოზირება, ექსპლორატორული მიდგომა, კრეატიულობა.

ABSTRACT

The article discusses key issues of the origin, development and essence of modern foresight. There is explained three main program of foresight. In scientific-technical programming is the foresight a new event or

not, how is it possible to positioning the foresight in strategic planning, is its methodology used at regional level or not, in the paper there are also given the stages of formation of foresight, the parallelization is given between forecast and foresight and it is justified that the participants of foresight create real possibilities not only for forecast, also they discuss the future possible alternatives and develop strategies to implement more promising projects. Methodological issues of foresight are also studied, in particular, normative and exploratory approaches, a wide range of methods used for foresight: Creativity, Expertise and Forecast, Analysis, Interaction – Delphi – Methods of Survey establishment on quality information.

Key Words: Foresight, Delphi Method, Strategic Management, Normative Forecast, Explanatory Approach, Creative.

1. შესავალი

ეკონომიკის განვითარების მსოფლიო გამოცდილებამ უდაოდ დაადასტურა, რომ ბიზნესის სხვადასხვა სფეროში სამეურნეო საქმიანობის სუბიექტების ეფექტიანი და მდგრადი განვითარება, მიიღწევა ინოვაციების მასშტაბური გამოყენების ხარჯზე. თანამედროვე პირობებში სხვადასხვა დარგის საწარმოები ფუნქციონირებენ მეტად რთულ, განუსაზღვრელ, სოციალურ – ეკონომიკური გარემოს დინამიურად ცვალებად სივრცეში. სწორედ ინოვაციები უზრუნველყოფენ ბაზარზე უპირატესი, სტრატეგიული კონკურენტუნარიანი მდგომარეობის მიღწევას.

დღეს ქვეყნის თანამედროვე სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანაა მისი ინოვაციურ ტრანექტორიაზე გასვლა,

პოსტინდუსტრიული ინფორმაციული ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის პრინციპულად ახალი ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენება. ეს ამოცანა ძალზე მნიშვნელოვანია თანემდროვე საქართველოსათვის. ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს ინოვაციური საქმიანობის მძლავრ აქტივიზაციას, სწორედ ინოვაციური სფეროს წინა პლანზე წამოწევა, მისი ახალი მიმართლებების განვითარების საფუძველზე გახდება შესაძლებელი საქართველოს დიდი და ტრადიციულად მზარდი ჩამორჩენის დაძლევა (მეურნეობრიობის სხვადასხვა სფეროში მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით).

ეფექტიანი ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად საჭიროდ მიგვაჩნია წარმოების და ინოვაციების მართვის, დაგეგმვის და პროგნოზირების ახალი მექანიზმების ფორმირების აუცილებლობა; ქვეყნის სასურველი ინოვაციური სტრატეგიული განვითარების ე.წ. „დაპროექტება“, სივრცობრივი პროგნოზირების საფუძველზე (ტენდენციების შეფასება, დომინანტური ტრენდების გამოვლენა, ტრენდების შეცვლის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა და ა. შ.) ცხადია, აღნიშნული რეგულარული სისტემის შექმნის საფუძველზე მნიშვნელოვანია მომავლიდან შესაძლო განვითარების სცენარების საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ზემოთაღნიშნული პრობლემები საქართველოში ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილია. ჩვენ მიზნად დავისახეთ შრომაში შეგვესწავლა ტექნოლოგიური ფორსაიტის კვლევის მსოფლიო გამოცდილება, მისი არსი, მიზანი და ამოცანები; გარდა ამისა, მოვიძიეთ მასალები ფორსაიტის და მომავლის განჭვრეტის პრინციპული მახასიათებლების და ეტაპების, ფორსაიტის სხვადასხვა მეთოდების კომბინაციის, ფორსაიტის გამოყენების სფეროების შესახებ.

2. შესწავლის დონა

ქვეყნის სამეცნიერო – ტექნიკური სფეროს განვითარების პროგნოზის შედგენა, ტექნოლოგიური ფორსაიტის შესწავლა განსაზღვრულ ლოგიკურ თანმიმდევრობას მოითხოვს. ეკონომიკურ ლიტერატურაში სამეცნიერო – ტექნოლოგიური ფორსაიტის შესახებ ძირითადად გამოვიყენეთ ვენის (ЮНИДО) და ბრიუსელის

- EC ბიუროკრატია მასალები, აგრეთვე ლისაბონის (2000 წ) სტრატეგია.

აგრეთვე გამოვიყენეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების – ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, ფინეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის და ა. შ. ფორსაიტის განვითარების ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ არსებული მასალები.

სტატიაზე მუშაობისას დავეყრდენით აგრეთვე ე. კასტროს., დ. ბარკერის., პ. გარუჩის, ჰ. ლინსტონის, ო. სარიტასის, მ. ონერის., ნაშრომებს ფორსაიტის შესახებ.

3. ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იბრძვიან ტექნოლოგიური ლიდერობისათვის და თავიანთი ინოვაციური სისტემების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამასთან არც ერთი ქვეყანას, აშშ-სა და იაპონიის ჩათვლით. რომლებიც ყოველწლიურად ასობით მილიონ დოლარს ხარჯავენ მეცნიერების განვითარებისათვის, ვერ ახერხებს დღეისათვის განახორციელონ სრულმასშტაბიანი კვლევები მეცნიერების ყველა დარგის მიმართულებით, რამდენადაც ახალის ცოდნის მიმღება მოითხოვს უზარმაზარ ხარჯებს მონეობილობისათვის და სპეციალისტების მომზადებისათვის. ამ პირობებში მათ ისწავლეს ეფექტიანად განსაზღვრონ თავიანთი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების პრიორიტეტები და ამავდროულად შეინარჩუნონ ლიდერის პოზიციები მეცნიერების შედარებით პერსპექტიულ სფეროებში.

სიტყვა, ტერმინი ფორსაიტი - foresight - ინგლისურია და ნიშნავს „ხედვას მომავალში“. ყველაზე ფართო გაგებით ფორსაიტი არის გათვალისწინების, წინასწარგანჭვრეტის სისტემა. ყველაზე მეტად გავრცელებული და ციტირებულია ამერიკელი ექსპერტის ბ. მარტინის მიერ შემოთავაზებული ფორსაიტის განმარტება, რომელიც ყურადღების აქცენტირებას ახდენს ფორსაიტის პროგნოზულ მხარეზე, მის მიზანდასახულობაზე გამოავლინოს განვითარების სტრატეგიულად და სოციალურად მნიშვნელოვანი ზონები. ამავე დროს ეს სრულად არ ასახავს ფორსაიტის ყველა შესაძლებლობასა და მის სოციალურ-ჰუმანურ სახეს (ფორსაიტი — სისტემური მცდელობა შევიხედოთ მეცნიერების, ტექნოლოგიების, ეკონომიკისა და საზოგადოების გრძელვადიან პერსპექტივაში, მომა-

ვალში სტრატეგიული კვლევებისა და მსგავსი ტექნოლოგიების ზონების იდენტიფიკაციის მიზნით, რომლებიც ყველაზე დიდი და მასშტაბური ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღების იმედს იძლევა“ (Unido Technology Foresighting Manual. 2005.). ცხადია, ერთი განმარტება ვერ მოიცავს ფორსაიტის ყველა მხარეს, რამდენადაც წარმოდგენილი სტატიის მიზანია ამ ცნების შინაარსის თეორიული დამუშავება რეგიონალური ფორსაიტის მიზნით. სტატიაში ჩვენი მიზანია შევეხოთ პრობლემის სამ ძირითად მიმართულებას: 1) არის თუ არა ფორსაიტი ახალი მოვლენა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგნოზირებასთან მიმართებაში, რომელსაც ადგილი აქვს ეროვნულ ეკონომიკაში (ამ შემთხვევაში, საქართველოში); 2) როგორ შეიძლება ფორსაიტი პოზიციონირებული იქნას სტრატეგიული დაგეგმვის გარემოში, ანუ უფრო ფართოდ, რეგიონის სტრატეგიულ მართვაში, და მესამე: გამოყენებულია თუ არა ფორსაიტის მეთოდოლოგია რეგიონულ დონეზე.

პირველ საკითხთან მიმართებაში არსებობს ორი თვალსაზრისი, ერთი — ის, რომ ფორსაიტი აღმოცენდა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში კომპანია „რენდ კორპორეიშენში“¹, რომელმაც შეიმუშავა დელფის მეთოდი და გამოიყენა იგი პროგნოზირების მიზნებისათვის (დელფის მეთოდი ითვლება ფორსაიტის ერთ-ერთ ცენტრალურ მეთოდად). ეს არის თვალსაზრისი, რომელიც ფაქტიურად ერთიმეორესთან აიგივებს ტერმინებს — **forecast** — პროგნოზი და **foresight** — წინასწარი განჭვრეტა, რომლებიც გვხვდება უცხოურ წყაროებში და ზოგჯერ რეპროდუცირებულია სამამულო პუბლიკაციებში.² UNIDO Technology Foresight Manual Vienna. 2005. მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ფორსაიტი განიხილება, როგორც წინას-

წარი ხედვის, წინასწარი განჭვრეტის სისტემა. ჩამოყალიბდა 20-ე საუკუნის 80-იან წლებში. აქ საქმე არა დროში განსხვავებაში, არამედ განსხვავების პრინციპშია. ფორსაიტი ეს არის განსაზღვრული მეთოდოლოგია, რომლის არსი მდგომარეობს არა მარტო პროგნოზირებაში (რაც აღინიშნება ტერმინით **Forecasting**) მომავალი, არამედ გადანყვეტილების შეთანხმებულად მიღებაში მომავალთან მიმართებით, ფორსაიტისათვის შერჩეულ სფეროში. ფაქტიურად იგი წყვეტს კონსესუსის მიღწევის პრობლემას მომავალთან მიმართებაში სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესების შეთანხმების გზით, თანაც აქტიური საქმიანობის ფორმით. ასე რომ, იგი ხდება არა მარტო პროგნოზი, არამედ სოციოჰუმანიტარული ტექნოლოგიაც. ასეთი ერთიანი ფორმით, როგორც სოციო ჰუმანიტარული ტექნოლოგია, ფორსაიტი ყალიბდებოდა მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

პირველად ფორსაიტები ტარდებოდა მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, რის გამოც მას ტექნოლოგიურ ფორსაიტსაც უწოდებდნენ. შემდგომში თავდაცვის სფეროდან ფორსაიტის ინსტრუმენტარი გადატანილი იქნა ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, პოლიტიკაში და ტრანსფორმირდა საბაზროდ ორიენტირებულ ფორსაიტად. მასში ფასდებოდა ტექნოლოგიების აღმოცენებისა და დანერგვის სოციალური და კულტურული შედეგები (მაგალითად ინტერნეტის გავლენა საოჯახო და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, შრომის ორგანიზაციაზე. თანამედროვე პირობებში ფორსაიტი კონცენტრირებას ახდენს სხვადასხვა საერთო მნიშვნელობის აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა შიმშილის, სიღარიბის, უსაფრთხოების და ა.შ. პრობლემები. განვითარების მესამე ეტაპზე გადასვლისას ფორსაიტი სულ უფრო მეტად ხდება ელიტათა მოლაპარაკებების ტექნოლოგია, კონსესუსის მიღწევა საზოგადოებაში მომავალზე შეხედულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დღეისათვის ფორსაიტი გამოიყენება როგორც მომავლის ჩამოყალიბებაზე შეხედულებების სისტემური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა (შესაძლებელს ხდის) გათვალისწინებული იქნას შესაძლო ცვლილებები საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში:

¹ დელფის მეთოდი ითვლება ფორსაიტის ერთ-ერთ ცენტრალურ მეთოდად.

² Technology forecasting first came to prominence in the late 1950 s in the United States defence sector and in work by consultats such an the RAND Cotporation. The latter were responsible for developing some of the principal fools of technology forecasting, such us the Delphi questionnarie surveg and scenario analysis. Large forecasting exercises ware corricd out during the 1960 s by the united states Navy and the United States Air Force

მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ეკონომიკაში, სოციალურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, კულტურაში. სწორედ ამიტომ, დღეს საერთო გამოყენებადი გახდა ტერმინი „ფორსაიტი“, ზედსართავის „ტექნოლოგიური“ გარეშე.

ფორსაიტის ჩამოყალიბების ეტაპები სპეციალისტების მიერ გაგებულია სხვადასხვანაირად. არის მაგალითად შეხედულება იმის შესახებ, რომ უკვე იყო „სრულფასოვანი ფორსაიტები“, რომელიც ზუსტად ათი წლის წინათ ხორციელდებოდა, და რომ პირველი სრულფასოვანი ფორსაიტი წარმოადგენდა კრიტიკული ტექნოლოგიების მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასება, რომლებიც განხორციელდა 1997-1998 წლებში“. მასში გამოყენებული იყო დელფი გამოკითხვები. შემდგომში ფორსაიტად შეფასდა „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სცენარული პროგნოზი 2010 წლამდე პერიოდისათვის“ (იხ.: „ფორსაიტს არა აქვს ოფსაიდები“. ელექტრონული რესურსი. <http://new.hse.ru/dkp>). არსებითად ამ პოზიციის ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს შეხედულება, იმის შესახებ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში 1950-იან წლებში ჩატარებული საპროგნოზო სამუშაოები ფაქტიურად წარმოადგენდნენ ფორსაიტს (ჯერ კიდევ 1947 წელს, ომის შემდგომი ნგრევის პერიოდში, ლეგენდარულმა მეცნიერ-ეკონომისტებმა, კრუიჟანოვსკიმ, ბარდინმა, ფერსმანმა და სხვა სწავლულებმა შეიმუშავეს ისტორიული კონცეფცია ციმბირის საწარმოო ძალების განვითარების შესახებ. მაშინ დამუშავებული იქნა ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები რეგიონის ეტაპობრივი, კომპლექსური, თვითკმარობაზე ორიენტირებული განვითარებისათვის ყველა სახის მინერალურ-სანედლეულო, ადამიანური, სამეცნიერო, საწარმოო რესურსების გამოყენებით. დღეისათვის, სწორედ ასეთი პროგნოზირება და დაგეგმვა, როგორც ჩანს, იწოდება ფორსაიტად.

ცხადია, ფორსაიტის წარმოშობის ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კი გაიგივებული იქნება ტერმინები ფორსაიტი და პროგნოზირება. ავტორის აზრით, ეს პროცესები ერთიმეორის მსგავსი, მაგრამ არა იდენტურებია და განსხვავებები შეიძლება დემონსტრირებული იქნას, თუ კი ცალ-ცალკე გავანალიზებთ

ფორსაიტისა და პროგნოზირების პრინციპებს (იხ.: ცხრილი 1) (ანალიზის სახით შეიძლება მოვიტანოთ ცნებები - კლასტერები და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, რომლებიც, ასევე, რიგ მეცნიერ-ეკონომისტთა შრომებში გაიგივებულია. უნდა აღვნიშნოთ, საწარმოთა ურთიერთზემოქმედების ამ ორგანიზაციული ფორმების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური გარემო - საბაზრო, კლასტერებისათვის და საგეგმო-ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისათვის განსაზღვრავს მათი წარმოქმნის და ფუნქციონირების სხვადასხვა პრინციპებს).

უფრო დანვრილებით შევჩერდეთ მითითებულ მხარეებზე.

განვიხილოთ სისტემატურობა — რომელიც ფორსაიტის განუყოფელი მახასიათებელია. (ფორსაიტი — სისტემატურად განმეორებადი ციკლური პროცესი, ფორსაიტის ერთი ციკლი, ჩვეულებრივ მიმდინარეობს 3-5 წელს), ამისათვის მივმართოთ სხვადასხვა პროგნოზების ისტორიას. როგორც ცნობილია, პროგნოზირება აღმოცენდა დიდი ხნის წინ და რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს, მეცნიერთა პროგნოზები, გაცილებით ნაკლებად ზუსტია მწერალ-ფანტაზიორების, პროგნოზებთან შედარებით, რაც ამყარებს აზრს მეცნიერული პროგნოზების ცალმხრივობის შესახებ. განუხორციელებელი ტექნოლოგიური პროგნოზების მაგალითები ძალზე ბევრია. ზოგიერთი უარყოფდა დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრებული ტექნიკური მიღწევების პერსპექტივებს, ზოგიც კი პირიქით ზედმეტად აფასებდა მათ ტექნიკურ პერსპექტივებს (1932 წელს ეინშტეინი ამტკიცებდა, რომ ბირთვული ენერჯია არ შეიძლება მიღებული იქნას, 1943 წელს კომპანია IBM-ის დამფუძნებელი ტომას ვატსონი ირწმუნებოდა, რომ მომხმარებელთა მოთხოვნა კომპიუტერებზე იქნება მინიმალური, — 3ა და 3ა, შეიძლება გაიყიდოს არა უმეტეს ხუთი მანქანისა).

პროგნოზების შეცდომების მაგალითები³. მართალია, რიგი ტექნიკური პროგნოზი შეიძლება ჩაითვალოს მცდარად მხოლოდ განხორციელების თარიღის მიხედვით (**მაგ.: წინას-**

³ პროგნოზების შეცდომების მაგალითები ზოგიერთ ავტორს ხაზგასმით მოჰყავს

პროგნოზირებისა და წინასწარ ხედვის (განჭვრეტის) განსხვავებანი

პარამეტრი	პროგნოზირება (FORECAST)	წინასწარ ხედვა (FORESIGHT)
1. შინაარსი	მეცნიერულად დასაბუთებული ხედვის ფორმულირება ზოგიერთი ობიექტის მომავალში შესაძლო მდგომარეობის შესახებ დღეისათვის ჩამოყალიბებული ტენდენციების საფუძველზე მოთამაშეთა პარტიკულიარული ინტერესების გათვალისწინების გარეშე.	მომავლის ხედვის შემუშავება კვლევების ზონების განსაზღვრა და ტექნოლოგიების შექმნა, რომელთაც შეიძლება მოიტანონ უდიდესი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი სასურველი მომავლიდან გამომდინარე.
2. მონაწილეები და ექსპერტები	სწავლულები (მეცნიერები) პოლიტიკოსები	განვითარების ყველა ძირითადი მონაწილის, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს, ბიზნესის, ხელისუფლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.
3. დანიშნულება	მომავლის ვარიანტების წინასწარმეტყველება	მომავლის ნიმუშის შემუშავება, რესურსების მობილიზება მისი მიღწევის მიმართულებების საჭიროებებისათვის.
4. რეალიზაციის ხერხი (საშუალება)	შესრულების იძულება ადმინისტრაციული მიწერების ანდა დარწმუნებით	რეალიზაციისათვის საჭირო გზების ძიება ინტერესების გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე
5. პროცესებზე ზემოქმედება	ახდენს არსებული ტენდენციების კონსტანტირებას	გვიჩვენებს არსებული ტენდენციების კორექტირების შესაძლო გზებს.
6. შედეგი	ანგარიშები. ანგარიშები შეიძლება შეუდარდეს რეალურ შედეგებს.	ანგარიშები. ექსპერტების ქსელები ურთიერთქმედების პროცედურები. შეფასების პროცედურები. წინასწარხედვის კულტურა საზოგადოებაში

წყარო: `У фортайта нет офсайдов`. ელექტრონული რესურსი. <http://news.hse.ru/dkp>

წარმეტყველება ვიდეოტელეფონების მავნებლური გამოყენების შესახებ 1985 წელი. ვიდეოტელეფონის გადაქცევის შესახებ კავშირს უნივერსალურ საშუალებად 1995 წელს, ადამიანისა და ცხოველთა ორგანოების გადანერგვის ფართო მასშტაბების შესახებ 1985 წელს. დიაგნოზების დასმა მარტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით 1990 წელს. იმის შესახებ პროგნოზი, რომ СПАМА-ს პრობლემა გადაიჭრება და მოიხსნება დღის წესრიგიდან 2006 წლისათვის ⁴) ამის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, ერთჯერადი ტექნოლოგიური პროგნოზები სისტემატურად უნდა დაზუსტდეს.

4 (მაგ.: წინასწარმეტყველება ვიდეოტელეფონების მავნებლური გამოყენების შესახებ 1985 წელი. ვიდეოტელეფონის გადაქცევის შესახებ კავშირს უნივერსალურ საშუალებად 1995 წელს, ადამიანისა და ცხოველთა ორგანოების გადანერგვის ფართო მასშტაბების შესახებ 1985 წელს. დიაგნოზების დასმა მარტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით 1990 წელს. იმის შესახებ პროგნოზი, რომ СПАМА-ს პრობლემა გადაიჭრება და მოიხსნება დღის წესრიგიდან 2006 წლისათვის

მით უფრო მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება, რაც ვერ ხერხდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზირების ჩარჩოებში. ზოგიერთი მკვლევარი ფორსაიტის გავრცელების პრობლემის განხილვისას აღნიშნავდა, რომ არც ერთი რეალური ისტორიული მოვლენა, არ იყო წინასწარ განსაზღვრული და განჭვრეტილი, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის პრიორიტეტები ძალზე ხშირად დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და მნიშვნელოვანია, პოლიტიკური ხელისუფლება როგორ წარმოადგენს პრიორიტეტებს პოლიტიკის და არა ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

ფორსაიტის, როგორც განაზღვრული მეთოდოლოგიის განვითარების ისტორია სწორედაც რომ დემონსტრირებას უკეთებს თანმიმდევრულ ბიძგს განვითარებული პროგნოზებიდან წინასწარხედვის სისტემატიზებულ პროცესისაკენ; ბიძგს მხოლოდ მეცნიერების აზრის გათვალისწინებიდან საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენისა და წარმომადგენელთა აზრის, შეხედულებების გათვალისწინებისაკენ; ტექნოლოგიური პროცესების პროგნოზირებიდან ტექნიკური პროგრესის სოციალური შედეგებისა და — წინასწარ ხედვისაკენ და შედეგად — გარკვეული ხარისხით სოციალური პროცესების წინასწარგანჭვრეტისაკენ.

ასე, რომ თუ კი პროგნოზი - ეს არის დასრულებული დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გადახედილი იქნას გარკვეული პერიოდის გასვლის, გარკვეული ვადის ამონურვის შემდეგ და ზოგჯერ შეიძლება უარი ვთქვათ ამ აუცილებლობაზე, ფორსაიტი წარმოადგენს პროგნოზირების მუდმივად კორექტირებად პროცესს და ფორსაიტის შედეგად შემუშავებული დოკუმენტების გადახედვა ხდება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე დამოკიდებულებით.

შემდეგი განსხვავება ეხება მონაწილეებს. პროგნოზირება ხორციელდება უშუალოდ, უპირატესად მეცნიერთა კორპორაციის მიერ. ფორსაიტის ფორმირებაში მონაწილეობენ ექსპერტების სახით საზოგადოების სხვადასხვა ფენები. საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად ფორსაიტების შემუშავებაში ექსპერტების სახით გამოდიან არა მარტო მეცნიერების წარმომადგენლები, არამედ

საქმიანი წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, და ხელისუფლების სტრუქტურების, მუნიციპალური წარმონაქმნების, საზოგადოებრივი მოძრაობის, მოქალაქეთა გაერთიანების, მეცნიერთა და ექსპერტთა საზოგადოების წარმომადგენლები. მათი აზრი, გამოცდილება, ინტერესები ასახვას პოულობენ მომავლის შესაძლო მდგომარეობის შესახებ გამართულ მსჯელობებში. „ექსპერტი - ეს არის ფორსაიტის უმნიშვნელოვანესი მონაწილე, რომელიც განსაზღვრავს შედარებით პესრპექტიულ ტექნოლოგიებს და აკეთებს კვალიფიციურ დასკვნებს თავისი კომპენტენციის სფეროს შესაბამისად. როგორც წესი, ეს არის თავისი კომპენტენციის სფეროში აღიარებული სპეციალისტი, რომელსაც საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება. ფორსაიტში ჩართული გადაწყვეტილებების ვარიანტების შერჩევა ხდება ექსპერტთა გადაწყვეტილებების საფუძველზე” (Калюжнова Н.Я., Войлин С.И.2006).

გარდა ამისა, მაღალკვალიფიციური და მათი ქმედებებით დაინტერესებული მონაწილეების ქსელების (Network)-ის შექმნა არანაკლებ მნიშვნელობის ამოცანა თვით ფორსაიტის შედეგების განჭვრეტასთან შედარებით. სწორედ ამ ქსელს, რომელიც შედგება საზოგადოების სხვადასხვა ფენის აქტიური მოქალაქეებისაგან, უნარი შესწევს ღირსეულად უპასუხოვს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა გამოწვევებს, რამდენადაც ისინი, როგორც პროცესის მონაწილენი, ფლობენ უნარსა და საშუალებებს წინასწარ ზუსტად განჭვრიტონ სადამფუძნებლო ზემოქმედება და მზად არიან გააზრებულად გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული რესურსები.

პროგნოზირება (Forecast) — ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობების ფორმულირება ზოგიერთი ობიექტის მომავალში შესაძლო მდგომარეობის შესახებ მისი განვითარების ჩამოყალიბებული ტენდენციების საფუძველზე. წინასწარ ხედვა (Foresight) შეიცავს მომავალზე აქტიური გავლენის ელემენტებს, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების პარტიკულიარული ინტერესების შეთანხმების სახით, მათი, როგორც ამ პროცესების მონაწილეთა იმედებს და მოთხოვნებს — ფორსაიტი უფრო მგრძობ-

ბიარეა ამ ინტერესების მიმართ, და შეუძლია კონცენტრირება მოახდინოს საზოგადოებაში ცვლილებების კულტურულ წინასწარხედვაზე. ფორსაიტი გამოყოფს პერსპექტიული კვლევების ზონებს, აღნიშნავს საკვანძო და ძირითადი ტექნოლოგიების აღმოცენებას, რომელთაც დიდი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მოტანა შეუძლია და აყალიბებს ორიენტირებს სამოქალაქო საზოგადოების ყველა აქტიური მონაწილისათვის.

თუ კი პროგნოზი მნიშვნელოვანწილად ახდენს ობიექტური პროცესების კონსტანტირებას და აჩვენებს მომავლის ვარიანტს ანდა ვარიანტებს, ფორსაიტი ითვალისწინებს მოქმედების ვარიანტის არჩევის შესაძლებლობას მომავლის ხედვასთან დამოკიდებულებით, ანუ ფაქტობრივად მიმართულია მომავლის პროექტირებაზე და მისი მიღწევის გზების ძიებაზე, ასევე გვიჩვენებს მათი კორექტირების შესაძლო გზებს. შესაბამისად, ფორსაიტი უკვე აღარ არის მხოლოდ პროგნოზირების ინსტრუმენტების ნაკრები, ერთობლიობა, იგი ქმნის მომავლის ჩამოყალიბების — რეალურ შესაძლებლობას. „ფორსაიტის მონაწილენი რეალურ შესაძლებლობებს ქმნიან მომავლის არა მარტო პროგნოზირებისათვის, არამედ ჩამოყალიბებისათვის, იხილავენ მომავლის შესაძლო ალტერნატივებს და შეიმუშავენ სტრატეგიებს მათგან უფრო პერსპექტიულების განსაზოგადოებისად“ (Popper. R., 2007.) ანუ განსაზოგადოების საზოგადოებრივი ცვლილებების საპროექტო პერსპექტივას. დღეისათვის აუცილებელი მხედველობაში იქნას მიღებული ის გარემოება, რომ პირველობა აქვს არა იმას, ვინც პირველი წამოაყენებს იდეას ან შექმნის ახალ პროდუქტს, „როგორც გაირკვა, გაცილებით ადვილი და ეფექტიანია ჩამოაყალიბო ახალი ცხოვრების წესი მოთხოვნათა ახალი ნაკრებით, ვიდრე ვიკვლიოთ მოთხოვნების არსებული სისტემები. გაირკვა რომ, გაცილებით ეფექტურია ჯერ ჩამოყალიბდეს მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი სიახლეების მოხმარების სტრუქტურები და შემდეგ ძნელად მოხდეს კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება, ვიდრე ჯერ შეიქმნას პროდუქტი და შემდეგ მოხდეს მისი დანერგვა და თანამედროვე საზოგადოების წამყვანი პროცესი ხდება სოციოკულტურული ინჟინერია: დღე-

სათვის იგებენ ის საზოგადოებრივი ერთეულები (სახელმწიფო, კორპორაციები, გაერთიანებები და ა.შ.) რომლებიც სწრაფად და ეფექტიანად ახორციელებენ საზოგადოებრივ ცვლილებებს — სოციალურს, კულტურულს, ინსტიტუციონალურს და ანთროპოლოგურსაც კი“ (kopilov G., 2002.) ფორსაიტის შემდეგი დანიშნულება სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრები გავართიანოთ“ სხვადასხვა მონაწილეს შეხედულება. იმისათვის, რომ შეიმუშავდეს შეთანხმებული წარმოდგენა მომავალზე იმ სფეროში, რომელიც ექვემდებარება ფორსაიტინგს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფორსაიტი თავისი არსით და დანიშნულებით ემსახურება ბიზნესის, სახელმწიფოსა და მეცნიერთა გამოცდილების, გაზიარებას, ურთიერთხემოქმედებას, თანამშრომლობასა და კოოპერაციას.

ფორსაიტის მნიშვნელოვან თანამდევ პროდუქტს უწოდებენ ასევე ტექნოლოგიების, პროგრამათა პროექტების, პოლიტიკის ინსტიტუტების შეფასების მექანიზმს (Gokhberg L., 2007.)

რა ადგილს იჭერს ფორსაიტი რეგიონის სტრატეგიული მართვის სისტემაში? უნდა აღინიშნოს, რომ თვით საკითხის დასმა რეგიონის სტრატეგიული მართვის შესახებ თავისთავად საკმაოდ ახალია. იგი დაკავშირებულია თეორიულ დაშვებასთან იმის შესახებ, რომ რეგიონი არის მეურნეობრიობის დამოუკიდებელი სუბიექტი. მიუხედავად იმისა, რომ არის მთელი რიგი თეორიული მოსაზრებები ამ მიმართულებით, არსებობს არგუმენტები იმის დასადასტურებლად, რომ რეგიონი არ არის მეურნეობრიობის სუბიექტი, იგი არის მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი, ქვეყნის შიგნით, რომელიც ატარებს ფედერალურ რეგიონალურ პოლიტიკას. ავტორმა არაერთგზის დაასაბუთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზრო ეკონომიკური სისტემა ეფუძნება სახელმწიფო მონყობის ფედერალისტურ წყობას, რომელშიც საბაზრო შემანარჩუნებელი საფუძველი არსი სტრატეგიული სამეურნეო სუბიექტების, რეგიონების კონკურენცია. ეს განპირობებულია გლობალური კონკურენტული პროცესების განვითარებით და გლობალური რეგიონალიზაციის პროცესებით. სადაც რეგიონები ხდებიან არა მარტო შიდა, არამედ საერთაშორისო კონკურენციის სუბიექტები.

თანაც საუბარია კონფიგურაციის სხვადასხვა დონის მქონე რეგიონებზე.

ამასთან დაკავშირებით ფორსაიტი არის რეგიონის მომავლის წინასწარხედვის შემუშავება საერთოეროვნული და მსოფლიო პრიორიტეტების გათვალისწინებით, ერთის მხრივ და რეგიონალური მეურნეობრიობის მონაწილევა რესურსული, ეროვნულ-კულტურული, სოციალური და მენტალური თავისებურებების მხედველობაში მიღებით, მეორეს მხრივ.

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუციონალურად რეგიონების სტრატეგიული მართვის სისტემის ჩამოყალიბება არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. რეგიონალური მართვის სახელმწიფო ინსტიტუტი რეგიონული განვითარების სამინისტროს სახით შეიქმნა 2004 წელს. დღეისათვის შემუშავებულია მეთოდური რეკომენდაციები ფედერაციის სუბიექტთა განვითარების სტრატეგიების შემუშავებისათვის. სტრატეგიები თავის მხრივ განიხილება და ექვემდებარება შეთანხმებას სამინისტროს მუშა ორგანიზაციებთან, შეთანხმების ამოცანასა ფედერაციის სუბიექტების განვითარების სტრატეგიების შესაბამისობა დარგობრივ სტრატეგიებთან. ამავე დროს ჯერჯერობით რეგიონალური სტრატეგიების შემუშავება არ არის სავალდებულო მექანიზმი. მით უმეტეს, არ არის განსაზღვრული რეგიონალური ფორსაიტის ინსტიტუციონალური სტატუსი.

ისმის კითხვა სტრატეგიისა და ფორსაიტის შესაბამისობის შესახებ. ფორსაიტის „ნიშა“ არის იმ სფეროების ხედვის დეტალური შემუშავება, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია რეგიონისათვის და შერჩეულია რეგიონული ფორსაიტისათვის მისი გატარების პირველ სტადიაზე. ფორსაიტის შედეგები არის საფუძველი სტრატეგიის შესამუშავებლად. მეორეს მხრივ, ფორსაიტს შეუძლია უფრო დეტალურად გადანყვიტოს ცალკეული სფეროს განვითარების საკითხები, რომელიც გათვალისწინებული არ არის სტრატეგიაში. გარდა ამისა, ფორსაიტი წყვეტს სტეიკჰოლდერების წრის გაფართოვების საკითხს. რომლებიც მოზიდულნი არიან სტრატეგიის შესამუშავებლად, ახდენენ სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის, და ტექნოლოგიის სრულყოფას, სტრატეგიის შემუშავების მეთოდების სისტემაში იმ მეთოდების ჩართვით, რომლებიც

სპეციფიკურია და დამახასიათებელია ფორსაიტის მეთოდებისათვის (მაგ.: საექსპერტო პანელების შექმნა მენტალური რუქების შედგენა და ა.შ.) და დოკუმენტები (მაგ.: ტექნოლოგიური საგზაო რუქები და ა.შ.).

შევრჩერდებით ფორსაიტის მეთოდოლოგიურ მხარეზე. ფორსაიტი გულისხმობს განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რაც შესაძლებელს ხდის მისი პრინციპების რეალიზაციას და ძიებული შედეგების მიღწევას, რომელიც მართალია არ არის სრულად წრფივი, მკაცრად კონსტრუირებული ფორმალიზებული.

ფორსაიტის მეთოდოლოგია ემყარება ორ მიდგომას: ნორმატიულს და ექსპლორაციულს, (საძიებოს). ნორმატიული მეთოდი პროგნოზირებაში აღნიშნავს ორიენტაციას სუბიექტის (ორგანიზაციის) მისიაზე, იმ მოთხოვნებსა და მიზნებზე, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის სუბიექტი. ნორმატიული მეთოდი იწყება სასურველი მომავლის ვარიანტების განსაზღვრით და პასუხობს კითხვაზე: როგორი ტენდენციები და მოვლენები უნდა მოხდეს ასეთ მომავალში. ნორმატიული პროგნოზირებას შეესაბამება გადაადგილება ტექნოლოგიების სივრცეში უფრო მაღალი დონის ტექნოლოგიებიდან უფრო დაბალი დონის ტექნოლოგიებზე ანუ მოთხოვნიდან და მიზნებიდან გადასვლა მათი რეალიზაციის საშუალებებზე.

ნორმატიული პროგნოზირების მაგალითად გამოდგება პროგნოზირება კოსმოსის სფეროში, როცა პროგნოზირებადი პროცესი წარმოგვიდგება ტექნოლოგიების თანმიმდევრული გადაადგილებით ტექნოლოგიიდან, რომელიც კოსმოსს აღიქვამს როგორც სფეროს, რომელიც უნდა ემსახუროდეს ადამიანის კეთილდღეობას, მისი გადაჭრის კონკრეტული საშუალებების ტექნოლოგიაზე,

ექსპლორაციული მიდგომა (სამეცნიერო ლიტერატურაში მას ხშირად უწოდებენ საძიებოს, კვლევითს ანდა შემსწავლელს) იწყება აწყობიდან და პასუხობს კითხვაზე: რა იქნება, მომავალში, თუ კი გაგრძელდება არსებული ტრენდები.

საძიებო ფორსაიტის საფუძველად ედება ორიენტაცია არსებულ შესაძლებლობებზე, სიტუაციის განვითარების ტენდენციების დადგენა ინფორმაციის პროგნოზის დამუშავებაზე დაყრდნობით.

საძიებო ფორსაიტს მაგალითად გამოდგება პროგნოზირება ელექტრონიკის სფეროში, როცა საპროგნოზო პროცესი წარმოდგენილია ტექნოლოგიების თანმიმდევრული გადაადგილებით, გადანაცვლებით დაწყებული კვანტური ელექტრონიკითა და დამთავრებული მყისიერად განხორციელებული მსოფლიო კავშირით.

ფორსაიტისათვის გამოყენებული მეთოდები საკმაოდ ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. მათი სისტემატიზაცია შეიძლება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, ფორსაიტის ტიპის, მიხედვით: ნორმატიული (სასურველი მომავლის აგება) ანდა საძიებო (მომავლის სურათის ჩამოყალიბება გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე); მიზნის მიხედვით (იდეის შემუშავება ანდა ანალიზი); ინსტრუმენტარის მიხედვით (რაოდენობრივი ანდა ხარისხობრივი); ექსპერტებთან მუშაობის მეთოდების მიხედვით (დასწრებული და დაუსწრებელი, გამოკითხვები ანდა უშუალო პირადი ურთიერთზემოქმედება); ტრადიციონალურობისა და სიახლის ხარისხის მიხედვით.

ფორსაიტის მეთოდური ინსტრუმენტარი დღეისათვის თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მეცნიერებისა და გამოყენებით სფეროში არსებული ცოდნის გამომუშავების მეთოდების მრავალსახეობას; როგორც პროგნოზირების, ანალიზისა და იდეის შემუშავების ტრადიციულ მეთოდებს, ასევე ფორსაიტური სამუშაოების დროს შემუშავებულ ახალ, კრეატიულ მეთოდებს.

დღეისათვის, ფორსაიტის ჩატარების დროს გამოყენებული ძირითადი მეთოდები ასახავენ მის სხვადასხვა ფუნქციას — პროგნოზულს — (ტენდენციების პროგნოზირება), ანალიზურს (არსებული სიტუაციის ანალიზი), კრეატიულს (ახალი იდეების შემუშავებამ მომავალთან მიმართებაში). რიგი მეთოდები, აღნიშნულ ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფენ დამმუშავებელთა ურთიერთზემოქმედებას.

შესაბამისად, მეთოდების მთელი ერთობლიობა პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს. იუნიდოს მასალებში ყველა მეთოდი წარმოდგენილია რომლის სახით. რომლის წვეროებში თავმოყრილია ისეთი მახასიებლები, როგორცაა, კრეატიულობა (შემოქმედებითი პოტენციალი), ექსპერტიზა და პროგნოზირება, ანალიზი, ურთ-

იერთქმედება. ზოგიერთი მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მიზნებისათვის — პროგნოზირებისათვის, გარემოსა და ტენდენციების ანალიზის შესასწავლად, იდეების შესამუშავებლად მომავალთან მიმართებაში, ასევე იდეების მისაღებად ფორსაიტის მიმდინარე ამოცანების გათვალისწინებით (და შესაბამისად განმეორდებიან სხვადასხვა ჯგუფებში).

ფორსაიტის მეთოდების კრისტალი ანდა „ბრილიანტი“ წარმოდგენილია ნახ. 1-ზე. კრეატიული მეთოდები.

ფორსაიტის მეთოდოლოგიური ბრილიანტი მოცემულია ფიგურაში 1


შესაბამისად ამ ერთობლიობაში გამოიყოფა 17 ხარისხობრივი მეთოდი, 10 ნახევრად რაოდენობრივი და 6 რაოდენობრივი მეთოდი.

პროგნოზირების (ექსპერტიზის) მეთოდებია:

- დელფის მეთოდი (Delphi)
- სცენარების შემუშავება (Scenarios)
- კრიტიკული ტექნოლოგიების განსაზღვრა
- ტენდენციის ექსტრაპოლაცია (Trend Extrapolation)
- იმიტაციური მოდელირება (Simulation Modelling)
- კრიტიკული / საკვანძო ტექნოლოგიების მეთოდი (Critical/Key Technologies).
- ისტორიული ანალოგიის მეთოდი.
- სხვა მეთოდები; ზუსტ ემპირიულ მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული მეთოდები.

ანალიზის მეთოდები:

- SWOT (strength, Weaknesses, Opportunities, Threats-analysis).
- STEEPV.
- ურთიერთზემოქმედების ანალიზი (Cross-impact-analysis)
- გარე გარემოს სკანირება (Environmental Scanning)
- საექსპერტო პანელი (ქვაფენილი) (Expert Panels)
- ესეების მომზადება.
- ურთიერთზემოქმედების ანალიზი (Cross Impact Analysis)
- რელევანტურობის ხის მეთოდი (Relevance Trees)
- Balance score card.



ნახ. 1. ფორსაიტის მეთოდების ბრილიანტი (Popper. R., 2007)

იდვის შემუშავების მეთოდები (კრეატიული მეთოდები)

- საექსპერტო მომსახურება
- ფოკუს - ჯგუფებს
- გონებრივი იეროში (ბრანინსტორმინგ)
- კონფერენციები.
- ესეების მომზადება.
- მორფოლოგიური ანალიზი (Morphological Analysis).
- საექსპერტო პანელი (Expert Panels).
- მორფოლოგიური ანალიზი. (ორპპოლოგიცალ ნალყსის).

ახალი კრეატიული მეთოდები

- ველური კარტი (რუქები) (wild card).
- ტექნოლოგიების განვითარების გზის რუქების მეთოდი (Technology Roadmapping TRM).
- რელევანტურობის ხის მეთოდი (დელევანცე თრეეს).

რასაკვირველია, ზოგიერთი მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ანალიზისათვის, ისე იდეების შემუშავებისათვის.

ნორმატიული მეთოდოლოგია უფრო მეტად იყენებს დელფი-გამოკითხვისა და ხარისხიან

ინფორმაციაზე დაფუძნებულ მეთოდებს. კერძოდ, ფართო გავრცელება ჰპოვა საექსპერტო პანელების მეთოდმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია უშუალოდ ექსპერტებისაგან მიღებულ როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ინფორმაციაზე. ხარისხიანი ინფორმაცია, როგორც წესი, წარმოდგენილია ვერბალური (სიტყვიერი) აღწერის სახით, როცა შეფასებები მიღებულია ვერბალური ანდა ვერბალურ რიცხვითი შკალების მეშვეობით. მაშინ, როცა არსებობს ინფორმაცია მხოლოდ ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი შეფასებების შესახებ. გამოიყენება ე.წ. „წარმატების სცენარები“ და „კოლექტიური საქმიანობის სასურველი სცენარის“ შედგენა, სადაც მონაწილეები ცდილობენ შექმნან მომავლის საერთოდ დასაშვები ხედვა, რომელიც არის სასურველიც და სავარაუდოც. ისინი ასევე ცდილობენ მოახდინონ იმ გზების იდენტიფიცირება, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება იგი მიღებული იქნას.

საძიებო ფორსაიტისათვის უფრო მისადაგებულია სხვა მეთოდები, რომლებიც ემყარებიან ზუსტი ემპირიული მონაცემების ანალიზს, და

რომელშიც უპირატესობა ენიჭება რაოდენობრივ ინფორმაციას. ხარისხობრივი (არარაოდენობრივი) ინფორმაციის გამოყენება საძიებო ფორსაიტში ასევეა შესაძლებელი. ამის მაგალითად გამოდგება ინტუიციური მეთოდების, იგივე სცენარების ანდა საექსპერტო მრუდების გამოყენება, რომლებიც საშუალებას იძლევიან განსაზღვრონ სიტუაციის ცვლილების შესამჩნევი ტენდენციები და დაემყარონ არა მარტო ემპირიულ მონაცემებს, არამედ მაღალკვალიფიციური ექსპერტ-სპეციალისტების გამოცდილებას.

ხორციელდება ტენდენციების ანალიზი, ზემოქმედებები, ტარდება კვლევები, პერსპექტიული ზემოქმედებების განსაზღვრავად, ასევე გამოიყენება ჩვეულებრივი დელფის მეთოდი და მოდულების ზოგიერთი დანართები.

მეთოდების შერჩევა ფორსაიტის კონკრეტული პროგრამისათვის, როგორც წესი, ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მიზნებზე და ფინანსურ პირობებზე. მეთოდების შერჩევის კრიტერიუმებია:

- ხელმისაწვდომი რესურსები (დრო, ფული, გამოცდილება).
- სასურველი მონაწილეობის ხასიათი.
- სხვა მეთოდებთან კომბინაციისათვის ვარგისიანობა.
- ფორსაიტის განხორციელების სასურველი შედეგები (მაგ.: დოკუმენტი ანდა პროცესი).
- მონაცემებისადმი მეთოდების მიერ წაყენებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნები.
- მეთოდოლოგიური კომპენტიანობა.

ცხადია, რომ მეთოდოლოგიური კომპენტიანობა იქნება ძირითადი ფაქტორი მეთოდების შერჩევისას. ასე მაგალითად, ბაიკალის ფორუმზე ნ. ფუნინგის მოხსენებაში ახსნილი იყო, რომ მათ ჩაატარეს ფორსაიტი თავიანთ მიწაზე (მიწა გფრ-ში არის რაიონის, ფედერალური წარმონაქმნის დასახელება), განსაზღვრეს პრობლემები და სასურველი ხედვები დისნეის მეთოდის მიხედვით. ეს მეთოდი არ არის ჩართული ფორსაიტის მეთოდების რომში, მაგრამ შეიძლება მიკუთვნებულ მეთოდებს. რეგიონისათვის შესაფერისი მეთოდების განსაზღვრა მოითხოვს სპეციალურ კვლევას.

4. დასკვნა

ამრიგად ფორსაიტი ეს არის სოციალურ-ეკონომიკური და ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ექსპერტული შეფასების მეთოდების სისტემა, იმ ტექნოლოგიური გარღვევების გამოვლენა, რომელთაც უნარი შესწევთ ზემოქმედება მოახდინონ ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

მომავლის ვარიანტების შეფასების საფუძველია ექსპერტული შეფასებები. ფორსაიტის მეთოდოლოგიას შერჩეული აქვს ათობით ტრადიციული და საკმაოდ ახალი საექსპერტო მეთოდი. ამასთან, ხდება მათი მუდმივი სრულყოფა, ხერხებისა და პროცედურების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების ხედვის დასაბუთებულობის ამაღლებას. მეთოდოლოგიის განვითარების ძირითადი სექტორი მიმართულია პროექტში მონაწილე ექსპერტების ცოდნის უფრო აქტიურ და მიზანმიმართულ გამოყენებაზე. ჩვეულებრივ ყოველ ფოსაიტ - პროექტში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდების კომბინაცია, რომელთა შორისაა საექსპერტო პანელები, დელფი (ექსპერტთა გამოკითხვა ორ ეტაპად). SWOT-ანალიზი, გონებრივი შტურმი, სცენარების აგება, ტექნოლოგიური საგზაო რუკები, რელევანტურობის ხეები, ურთიერთგავლენის ანალიზი და სხვა. იმისათვის, რომ გათვალისწინებული იქნას ყველა შესაძლო ვარიანტი და მიღებული იქნას სრული სურათი, როგორც წესი, ინვევენ დიდი ოდენობით ექსპერტებს. ასე მაგალითად, იაპონიაში სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავებაში, რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება, მონაწილეობს ორი ათასზე მეტი ექსპერტი, ისინი წარმოადგენენ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას. ხოლო ბოლო კორეულ ფორსაიტ-პროექტში მონაწილეობდა 10 ათასზე მეტი ექსპერტი.

ფორსაიტი ორიენტირებულია არა მარტო ალტერნატივების განსაზღვრაზე, არამედ მათგან ყველაზე უპირატესის შერჩევაზე. შერჩევის დროს გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმები შედარებით უპირატესი ვარიანტების შერჩევისთვის. ასე მაგალითად, კრიტიკული ტექნოლოგიების შერჩე-

Discussing the economic peculiarities of the region primarily focuses on the business interests provided by local potential. Business as a national, as well as international, has the sectoral effect on its own rules and laws, it has its investment programs, significantly changes the country's social-economic map. This necessitates the necessity of dialogue and conceptual issues of the government and business structures, as a result of which regional strategy will take place for one of the major national projects.

The Autonomous Republic of Adjara, one of the strategic territories of Georgia, plays an important role in the development of the country's economy. In recent times, the attention of the region is given more attention to the development of the current economic potential, stimulating private entrepreneurship and small business development, employment of the population and creation of a favourable business and investment environment.[4] Also, attention is paid to the transnational capital of the region, as the importance of regional development is the need for concentration of capital and resources caused by the transnationalization of economies, as well as economic ties with many countries. All this increases the number of export and geography in the region [3]. Transferable transactions are being generated, which generate transfers prices that generate profit and at the same time provide the basis for internationalization of the economy.

In the economic development of the country and the region, in particular, forming and creating jobs, it is of great importance to the private sector as foreign and local origin investments and stable/attractive investment environment. In the year 2016, private sector invested 427.9 million USD in the territory of the Autonomous Republic of Adjara, which accounted for 71% of an important change of investment activity is also considered in the volume of investments in respect of the total value added to the region and calculation of the population per capita.[3] The volume of investments in the last year's total value is about 15-38%, and the private sector investments made by one sector

of the region amounted to USD 270 in 2016 and increased almost 4 times in 2012.

DYNAMICS OF FOREIGN INVESTMENTS IN ADJARA 2010-2016

	2012	2013	2014	2015	2016
Investment change rate	2.0	28.3	41.8	32.6	17.0
Investments in respect of the total added value (%)	15.0	18.0	23.9	37.9	-
Investment per person per person (USD)	386	495	697	1 087	1 270

Source: National Statistics Office of Georgia, Adjara A. Ministry of Finance and Economy

Investments implemented in 2016 are as follows: Economics - 45.5%, tourism - 31.6%, construction - 20.8%, agriculture - 0.2%, Industry - 1.4%, other sectors - 0.5%. As for the sectoral distribution of gross foreign investments, the largest investment flows in this regard come from energy (64.5%) and tourism (33.0%) sectors.

By 2016, the largest volume of investments in the region comes from Norway / India (48.7%) and Turkey (44.9%). While the local self-governing city of Batumi (53.3%), Khulo municipality (17.4%) and Shuakhevi municipality (17.2%) are taking the lead in the territorial entities.

It is important to highlight sectors of high investment activity not only statistically but also in terms of dynamic assessment, which allows the rapid growth of emerging investment sectors. In the current stage of development, the following three sectors of the region's economy are energy, industry and tourism.[5]

Nowadays, the potential of production in the country is not yet fully utilized, market principles are not fully operational in all areas. Economic reforms are going on slowly and cannot take into consideration the specificity of the region. The ownership rights of state and local governments are still compromised.

The above mentioned and other circumstances put forward the regional economic policy of Georgia in the agenda along with other directions at the stage of development of mainstream development and main orientation of opportunities. Of course, the development of food industry, which is char-

acterized by significant specificity in the Autonomous Republic of Adjara. Particular importance is the rational use of existing natural resources in the region, introduction of new technologies and techniques, availability of food supply for farmers and entrepreneurs, seeking optimal sales markets, state, donor organizations and various international organizations. And the use of the possibilities available at their disposal.

In the region where 25% of agricultural land is natural and less than 40% of natural fertility, almost none of the main cultures-tea areas are used, the main part of perennials is not deteriorated by decades of massive cattle breeds. Update. We agree with the fact that international organizations are paying more attention to the specificity of the country and have their interests in the development of a particular field, in this case, more massive and targeted by state programs, private investments, preferential loans and more.

We believe that it is necessary to develop a regional development program for rural development. Studies have shown that partitioning, disposable and unreasonable program-financing does not give a proper outcome to public effect. At present, the region's economic policy, especially under the circumstances when the production resources to finance the transformation of complex and very long-term process, a part of the modern economic theory and practice is one of the most difficult and pressing issues, difficulties, primarily due to the fact that the total of statehood. Vi economic objectives as stated above, in some cases may be different from the regional and territorial objectives.[5]

The less important factor is the creation of a comprehensive and real information system for potential investments and commercial subjects. Also, strengthen the role of transnational capital.

Discussion on the economic development priorities of the region primarily focuses on business interests. Business as a national, as well as international, sectoral effect on financing its rules and laws, has its investment programs, seriously changes the country's socio-economic map. That is precisely the necessity for dialogue and conceptual issues of the government and business structures, which will lead to a regional strategy

for the implementation of one of the major national projects.

Georgia needs a sharply balanced regional strategy, which will be given the status of a national (national) project. This primarily involves state support for stronger regions and the implementation of equal measurement measures in economically and politically weaker regions. Our country has enough resources to develop, realize, monitor intellectual potential, and the country's resources are important, it is important to join the foreign economic policy and adequate involvement in the world economy, so as not to be the only exporter of raw materials. Basic legal acts adopted in the country are regulating human rights and promoting market reforms.[1] It is of particular importance that the laws related to the market economy-oriented tax, privatization of state ownership, private property and foreign investment. The legislation created on the basis of market reforms enabled the state to develop and successfully develop trade-economic cooperation with many countries. Successful integration of Georgia into the world economy has contributed to its World Trade Organization and Association of Councilors. In addition, the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement with the European Union (DCFTA) is an important part of the Association Agreement (IV door - trade and trade issues), as it includes the economic integration mechanism with the EU and the EU internal market. In case of a democratic principle oriented on democratic principles, Georgia provides comprehensive consultation and legal assistance to many international organizations and relevant state structures of developed countries.

Georgia has a multi-profile economy. It is rich in various minerals (coal, peat, iron, manganese, copper, mercury, etc.). The main field is agriculture, employing 50 percent of the population. Also, food industry and international cargo turnover. Cultural plants have an industrial purpose for citrus, tea, fruit, vegetables, grapes and nuts. Now the main direction of the country is to obtain minerals (manganese and copper). Also, small food products produced by small businesses, alcoholic and non-alcoholic beverages, several types of machinery and products. There is a special place for tourism and leisure industry. [2]The mild climate

and favourable ecological conditions, as well as the Black Sea coastal coastline, allow the Adjara region to be one of the most important tourist hubs in the post-Soviet space. Mechanisms supporting clusters of regions have been created in many European countries. As well as in other developed countries, who have been short-lived.

Today, many models of clustering and formation of the economy are tested. Of them, we are one of the most optimal models of our state in the formation of mechanisms in the formation of mechanisms, when the decisive role of foreign investments is given in terms of financial, technological and marketing (Chinese, Indian method). Also, it is worth considering a model that creates a combination of small firms. [5] Associations, cooperatives are created; a specific environment (Italian model) is created.

Georgia has clustering potential, environmental and geographical characteristics, and experience can be said. Cluster's natural formation processes are underway in construction, tourism industry, marine and land transportation, industry.

There are great opportunities in subtropical farming, winemaking and gardening.

CONCLUSION

The analysis shows that production potential in Georgia and in each of its regions is unused. In the industrial regions, most of the working population is unemployed, still weak farms, local production products cannot compete with the food market in relation to imported products. Like other regions in Adjara, high levels of the workforce are high, so consistently employing job seekers significantly hindering small and medium-sized businesses, developing farming and improving the living standards of the population.

In this regard, we consider it appropriate to develop a national program of regional development based on scientifically substantiated, resource potential and basic principles of economic development of the country. The program should outline the priority, striving for the development of each region, the basis of economic and ecological farming, high competitiveness, healthy demography, fields and market optimal placement.

REFERENCES:

- [1] Globalization and Georgia's economic development: Provokes and Possibilities, Tbilisi, 2008.
- [2] **Manvelidze I.**, Transnational companies in the transcaucasian economy and politics, Tbilisi 2009
- [3] **Shengelia T.**, The Global business, " New Georgia", Tbilisi, 2010
- [4] **Baratashvili E.**, Diagnostic of the Regional Delevopment, Tbilisi, 2012
- [5] **Meskhia.I., Gvelesiani E.**, Regional Economic Policy, Tbilisi,2010
- [6] **Meskhidze A., Abuladze J.**, Agriculture in The Autonomous Republic of Adjara in 2013-2016, Tbilisi, 2016
- [7] **Jolly A.G.**, International Economic Relations, Tbilisi, 2008
- [8] **Richard L.** Daft. Management, 2006
- [9] **Daniel J.** International Business , 2005

ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა და ადგილი მსოფლიო ბაზარზე

THE COMPETITIVENESS OF GEORGIAN HAZELNUT AND ITS PLACE

ედუარდ მიქელაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ტბელ აბუსერიძის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

EDUARD MIKELADZE

Doctor of Economy, St. Tbel Abuserisdze
Teaching University, Professor

ანოტაცია

თხილის კულტურა თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც ყურადღების ცენტრშია, რასაც უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მისი ნაყოფის მრავალმხრივი გამოყენება. მეცნიერების უმეტესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო შესაბამისი ადგილია თხილის გაშენებისათვის და რომ აქედან იღებს დასაბამს მისი მსოფლიოში გავრცელება. თავად თურქული დასახელება „ინდიკ“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვა „ჩორყლოს“-დან, რაც ნიშნავს „შავ ზღვას“. ქართული კულტურის თხილი ოდითგანვე იყო ცნობილი. ისტორიული მტკიცებულება მიუთითებს, რომ ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ ეზოებში ზრდიდა ველური ჯიშის თხილს. მომავალში რამოდენიმე საუკუნის მანძილზე ხალხური სელექციის გზით მიღებული იქნა უკეთესი ხარისხის თხილი, რომელიც შესანიშნავად იყო შეგუებული ადგილობრივ პირობებს.

საკვანძო სიტყვები: მაღალი ეკონომიკური ღირებულება; ევროკავშირის ბაზარი; კონკურენტუნარიანი; ექსპორტი; ევროსტანდარტები.

ANNOTATION

Hazelnut culture has always been causing a great interest with its economical significance and it is still attracts attention. That, first of all, is conditioned by its multilateral use.

Most scientists agree that the Eastern coast of the Black Sea is the appropriate location for growing hazelnut, and this is the very place, from which the culture of hazelnut spread all over the world. The Turkish name

“FINDIK” comes from the Greek word “CORYLUS”, that means “BLACK SEA”.

Georgian hazelnut has been known since the ancient times. A number of historical evidence denotes that in the 6th century BC the native population of Georgia grew the wild species of hazelnuts. Later, as the centuries passed, the folk method of selection made possible to get high quality hazelnut species, which were well adopted with the local conditions.

Key words: *providing abundance; oil; proteins; bio-active substances; high economical value; naked-hearted; Greek; deer-eared; Queen fingers; flat; horse nipple; needled; Anaklian; EU market; competitive; export; European standards.*

თხილს (Korilys Pontica) კაკლოვან კულტურებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ძველ ბერძნებს თხილის რტო ოჯახური ბედნიერებისა და ბარაქის სიმბოლოდ მიაჩნდათ, რომაელები კი მას ეკონომიკური მნიშვნელობის გამო თხილის კულტურა დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც მსოფლიო ბაზრის ყურადღების ცენტრშია.

ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ თხილის საკვებ და სამკურნალო თვისებებსაც. მას წარმატებით იყენებდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა კერძების საკაზმავად, არამედ შექმნეს უნიკალური ტრადიციული პროდუქტი - „ჩურჩხელა“, რომელიც გამორჩეულია თავისი კალორიულობითა და საუკეთესო გემოვნური თვისებებით. ამ ღირსებების გამო „ჩურჩხელა“

ისტორიულად მეომართა ყოველდღიური კვების რაციონში შედიოდა და დღესაც იგი საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული ტკბილეულია.

თხილის კულტურა თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც ყურადღების ცენტრშია, რასაც უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მისი ნაყოფის მრავალმხრივი გამოყენება. თხილის ნაყოფი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები ფართოდაა ცნობილი. მათ კვებით ღირებულებას განსაზღვრავს ნედლეულში ცხიმის, ცილის, ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობა, ეს ღირებულება კი იცვლება მცენარის ჯიშის, ადგილმდებარეობისა, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გავლენით. (თხილი მდიდარია საკვები ნივთიერებებით და კალორიულობით 2-3-ჯერ აჭარბებს პურს, 8-ჯერ რძესა და შოკოლადს. იგი შეიცავს აგრეთვე ვიტამინებს: B1, B2, B6, C, E ვიტამინებს.

დასავლეთ საქართველოში თხილის ბაღში მიღებული მცენარეთა განლაგება შემდგომი გაშენება იწყება აგვისტოს ბოლოს შემდეგი სქემით: 5X3, 5X4, 5X5, 4X4, და 4X3. თხილის ბაღის გაშენებისას რეკომენდირებული აგროვადაა 15 ნოემბრიდან 15 იანვრამდე. თხილისთვის ბუჩქის ფორმის მიცემა იწყება დარგვისთანავე. დარგული ნერგი იჭრება 20-25 სანტიმეტრ სიმაღლეზე. თხილის სამრეწველო ბაღის გაშენება რეკომენდირებულია იმ ადგილებში, სადაც ჰაერის მინიმალური ტემპერატურა არ ეცემა მინუს 23-25 გრადუს ცელსიუსამდე. თხილის კულტურა ეგუება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს, გარდა მძიმე თიხნარი და დაჭაობებული ადგილებისა.

მეცნიერების უმეტესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო შესაბამისი ადგილია თხილის გაშენებისათვის და რომ აქედან იღებს დასაბამს მისი მსოფლიოში გავრცელება. „თავად თურქული დასახელება „Findik“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვა „Corylus“-დან, რაც ნიშნავს, „შავ ზღვას“.

ქართული კულტურის თხილი ოდითგანვე იყო ცნობილი. ისტორიული მტკიცებულება მიუთითებს, რომ ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ ეზოებში ზრდიდა ველური ჯიშის თხილს. მომავალში რამოდენიმე საუკუნის მანძილზე ხალხური სელე-

ქციის გზით მიღებული იქნა უკეთესი ხარისხის თხილი, რომელიც შესანიშნავად იყო შეგუებული ადგილობრივ პირობებს.

საქართველოსათვის თხილს ჰქონდა მაღალი ეკონომიკური ღირებულება და დიდი შემოსავალი მოჰქონდა მოსახლეობისათვის 1917 წლამდე. საქართველოს ამ პერიოდისათვის დიდი რაოდენობით თხილის მოსავალი გაჰქონდა ევროპის ქვეყნებში. სხვათაშორის მშობლიური თხილის ჯიშებს გარკვეული უპირატესობები გააჩნია, კერძოდ: ადგილობრივი ჯიშის თხილებს მძლავრი ფესვთა სისტემის წყალობით საკმარისი რაოდენობით იღებს ყველა საჭირო სასარგებლო კომპონენტებს ნიადაგიდან და შესაბამისად საქართველოში თითქმის არ გამოიყენება ქიმიური სასუქები.

ამჟამად საქართველოში გავრცელებულია ზოგიერთი ადგილობრივი ჯიშები. მათ შორის უმთავრესია: შველისყურა, ბერძნულა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და სხვა.

შველისყურა - ნაყოფს იძლევა დარგვიდან 3 წლის შემდეგ. გავრცელებულია გურიასა და სამეგრელოში, ხოლო ერთი ძირიდან კი მაქსიმალურ მსხმოიარობას 7 წლის შემდეგ აღწევს და მისი მოსავალი 10 კილოგრამს აღწევს;

გულშიშველა - ეს ჯიში თავისი გემოვნებითა და ორგანოლექტიკური მონაცემებით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. მოსავლის მიღება დარგვიდან 3 წლის შემდეგ იძლევა მოსავალს. ერთი ძირიდან 5-7 კილოგრამ თხილს იძლევა;

ბერძნულა - გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, მაღალპროდუქტიული და სწრაფად მზარდი ჯიშია, მოსავალს დარგვიდან 3 წლის შემდეგ იძლევა, მაქსიმალურ მსხმოიარობას 7 წლის შემდეგ აღწევს და მისი მოსავალი 10 კილოგრამს აღწევს;

შველისყურა - გავრცელებულია გურიასა და სამეგრელოში, მოსავალს დარგვიდან 3 წლის შემდეგ იძლევა, მაქსიმალურ მსხმოიარობას 7 წლის შემდეგ აღწევს და მისი მოსავალი 10 კილოგრამს აღწევს;

დედოფლის თითი - ამ ჯიშის სამშობლოდ ითვლება უძველესი კოლხეთი. 1 ძირიდან 4-4,5 კილოგრამ იძლევა, გავრცელებული გურიაში და დარგვიდან 3 წლის შემდეგ იძლევა მოსავალს;

ხაჭაპურა - გავრცელებულია გურიაში, აჭარაში, სამეგრელოსა და ლაგოდეხში. ერთ ძირი-

დან იძლევა 6 კილოგრამ თხილის ნაყოფს და დარგვიდან 3 წლის შემდეგ იძლევა მოსავალს;

ცხენის ძუძუ - გავრცელებულია სამეგრელოსა და გურიაში. მოსავალს 4 წლის შემდეგ იძლევა და ერთ ძირზე 6 კილოგრამი თხილის მოკრეფაა შესაძლებელი;

ნემსა - გავრცელებულია გურიაში, სამეგრელოსა და ლაგოდეხში. მოსავალს 4 წლის შემდეგ იძლევა და ერთ ძირზე 5 კილოგრამი თხილის მოკრეფაა შესაძლებელი;

ანაკლიური - ჯიში გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში. ერთ ძირიდან იძლევა 5 კილოგრამ თხილის ნაყოფს და დარგვიდან 3 წლის შემდეგ იძლევა მოსავალს;

2014 წლის 12 ივნისს სასტუმრო თბილისი მერიოტში რიგით მეორე ეკონომიკური ფორუმი „ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე - გათვლებები და პროგნოზები 2015 – 2020“ გაიმართა.

ბა 289 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები და 391 მილიონ აშშ დოლარზე მეტი. მეორე პროგნოზმა აჩვენა, რომ 2020 წლისათვის შემოსავალი იქნება 424 მილიონი აშშ დოლარიდან 308 მილიონამდე.

სწორედ აღნიშნულ ფორუმზე გაირკვა, რომ 2012 წელს ევროპაში რეალიზებული თხილის პროდუქციიდან 22 ათასი კილოგრამი თხილი უკან დაგვიბრუნეს. სწორედ აქ წარმოჩნდა მთავარი პრობლემა - ფერმერებისთვის და გლეხებისთვის მიწოდებული მწირი ინფორმაციები, თხილის - შენახვის, გაშრობისა და რეალიზაციის პირობების შესახებ.

რატემა უნდა კარგია აღნიშნული პროგნოზები, მაგრამ მოდი განვიხილოთ და გავაანალიზოთ რა მდგომარეობა გვაქვს დღეს, რას ვაკეთებთ, რა რეალური შედეგები და პრობლემები გვაქვს.

სურსათის აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის 2016 წლის მოსავალი და მოსავლიანობა

	თხილის კულტურის მწარმოებელი ქვეყნები	თხილის კულტურის საერთო ფართობი (ათასი ჰა)	თხილის კულტურის მოსავლის რაოდენობა (ათას ტონაში)
1	თურქეთი	345	600
2	იტალია	69	115
3	აზერბაიჯანი	19,5	18,6
4	ესპანეთი	12,1	18,3
5	აშშ	11,8	28,5
6	ირანი	11,0	12
7	საქართველო	10	60
8	ჩინეთი	8	12

წყარო. საქსტატი - საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის 2015-2016 წლის მონაცემთა ბაზა.

თა. ფორუმი ახალგაზრდა ანალიტიკოსთა და მეცნიერთა დარბაზის „დოქტრინას“ და კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის კვლევის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო ქართული თხილის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო შემოსავლების საპროგნოზო ანალიზი 2015 – 2020 წლებისათვის.

კვლევის ავტორებმა პროგნოზირება აპრობირებული, PERT მოდელირებით მოახდინეს, შედეგები 95%-იანი სანდოობით სარგებლობს და გვიჩვენებს, რომ 2019 წლისათვის თხილის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი არ იქნე-

სურსათის და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, თხილის კულტურის ფართობები ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: თურქეთი - 345 ათასი ჰა; იტალია - 69 ათასი ჰა; აზერბაიჯანი - 19,5 ათასი ჰა; ესპანეთი - 12,1 ათასი ჰა; აშშ - 11,8 ათასი ჰა; ირანი - 11 ათასი ჰა; საქართველო - 10 ათასი ჰა და ჩინეთი - 8 ათასი ჰა. მიღებული მოსავლის მიხედვით ასევე თურქეთი ლიდერობს: თურქეთი - 600 ათას ტონამდე; იტალია 115 ათასი ტონა; აშშ - 28,5 ; ესპანეთი - 18,3; აზერბაიჯანი - 18,3; ირანი - 12; საქართველო - 60 ათას ტონამდე.

ქართული თხილის ექსპორტ-იმპორტის წილი საერთაშორისო ბაზარზე 2011-2016 წლებში

წლები	თხილის ფართობი (ჰა)	თხილის მოსავალი (ტონა)	ერთი კილოგრამი თხილის ფასი ევროვაში (დოლარში)	ერთი კილოგრამი თხილის ფასი რუსეთში (დოლარში)	თხილის ექსპორტის მოცულობა (ტონა)	თხილის ექსპორტიდან მიღებული ში-მოსავალი (მილიონ დოლარში)
2016	10000	55700	7,0	7,0	25285	179400
2015	8200	51800	7,0	7,0	25214	176500
2014	6400	45400	7,0	7,0	25428	183400
2013	5755	38900	6,5	6,5	24769	166632
2012	4430	24700	6,5	6,5	12153	57732
2011	4423	31100	6,0	6,0	4742	28887

წყარო. საქსტატი - საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის 2011-2016 წლის მონაცემთა ბაზა.

საქართველოდან გატანილი თხილის იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, ჰოლანდია, ჩეხეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, თურქმენეთი, ყაზახეთი, ერაყი, არაბული ქვეყნები.

ევროპის ქვეყნებში 1 კილოგრამი თხილის ექსპორტის ხარჯი დაახლოებით 20-25 ცენტია.

1 კგ-1000 გრამი ნედლიდან გაუტეხავი თხილიდან ამოდის 390 გრამი გამომშრალი თხილის გული.

საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტთა გამგეობის თავჯდომარის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ვლინდება ის, რომ ევროკავშირი ქართული თხილისათვის პერსპექტიული ბაზარია: „ევროკავშირი ამ შემთხვევაში ჩვენი მოკავშირეა“. ევროპას აღარ უნდა, რომ თურქულ მონოპოლიაზე იყოს დამოკიდებული. ქართულ თხილს აქვს შესაძლებლობა, რომ თურქული თხილი ჩაანაცვლოს“. ევროპის ბაზარზე ქართული თხილის პერსპექტივაზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე ხუალ ერანორეცი ამბობს, რომ „საქართველოს აქვს შანსი, რომ ე.წ. სპეციფიკური ნიშნები აითვისოს“.

ჩვენ არ უნდა ვიოცნებოთ იმაზე, რომ ერთ დღეს საქართველო ევროკავშირში არსებულ ყველა დახლს თავისი პროდუქტით შეავსებს. თუ თქვენ თხილი საექსპორტო მოცულობას მნიშვნელოვნად გაზრდით, საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების დიდი შესაძლებლობა ექნება. ამ მიმართულებით უდევს

პოტენციალი გაქვთ“. ხუან ერანორეცე გამოსავალს ფერმერული გაერთიანებების შემთხვევაში ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობაც გაიზრდება და მოსავლის მოცულობაც და ხარისხიც.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უკეთესი იქნება თუ დონორები კოორდინირებულად იმოქმედებენ და თანხებს უსარგებლოდ არ დახარჯავენ: „ბევრი დონორია ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაში, მაგრამ ეს პროცესები არ არის კოორდინირებული. აუცილებლად უნდა გავარკვეოთ ხომ არ ხდება დუბლირება. კარგი იქმნება თუ თუ მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად თვეში ერთხელ შევიკრიბებით და ათასი გაუგებარი გზავნილის ნაცვლად გექნება ერთიო მკაფიო გზავნილი. შეთანხმებულიად მოქმედება დაგვეხმარება იმაში, რომ დონორებმა ფული ფუჭად აღარ დახარჯონ“. ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობასა და თემთა განვითარების ატაშეს (ხუან ერანორეცე) განცხადებით, ფერმერების პრობლემების გადაჭრაში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

2016 წელი თხილის ექსპორტიორებისთვის საახალწლო საჩუქრით დაიწყო, კერძოდ ასოციაციის ძალისხმევით სახელმწიფომ, მნიშვნელოვანი გადანაცვლებები მიიღო და თხილის ექსპორტიორები დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ) გათავისუფლდა. საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის გამგეობის თავჯდომარე ალექსანდრე მონერილია „გაზეთ „ვერსიასთან“ ექსკლუ-

ზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ ექსპორტის ზრდის მიუხედავად, თხილის ბიზნესში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა.

თურქეთისა და იტალიის კონკურენციის პირობებში ქართულმა თხილმა ევროკავშირის ბაზარზე როგორ უნდა დამკვიდრდეს? ქართული თხილის ექსპორტის სწრაფი დინამიკისა და განვითარებასთან ერთად უნდა დაინყო დარგის განვითარებაც.

რა პირობებით უნდა გავიდეს ქართული თხილი რუსეთის ბაზარზე? 2014 წლის 22 მაისს რუსეთის ფედერაციის ვეტერინარულმა და ფოტოსანიტარულმა ინსპექციამ გამოაქვეყნა დადგენილება იმის შესახებ, რომ 2014 წლის 26 მაისიდან საქართველოდან და რუსეთის მიმართულებით აღდგება მაღალი ფოტოსანიტარული რისკის შემცველი პროდუქციის ექსპორტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2013 წლიდან აწარმოებდა მოლაპარაკებებს რუსეთის ფედერაციის ფოტოსანიტარული ინსპექციის თანამშრომლებთან. სურსათის ეროვნული სააგენტოს ფოტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსის თქმით მიმდინარეობს მზადება რუსეთის მხარის მომავალი ვიზიტისათვის, რომლის ფარგლებშიც ისინი ათვალიერებენ და მონიტორინგს უწევენ მიმღებ პუნქტებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ფოტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსი ბაზრის ათვისების სტრატეგიაზეც საუბრობს. მისი თქმით იმავე ნიშნის დაჭერა რაც 2006 წლამდე ქართულ პროდუქციას ჰქონდა რთული იქნება, რადგან რუსეთის ბაზარზე წარმოდგენილია პროდუქცია მსოფლიოს ყველა კუთხიდან, თუმცა ერთი კონკურენტული უპირატესობა, რაც ქართულ საექსპორტო პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს ეროვნული მეხსიერება - ახსოვს ქართული პროდუქციის გემო.

ეროვნული მეხსიერება საკმარისი პირობა არ იქნება წარმატებული საექსპორტო ბიზნესის ასაწყობად. 2006 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ორივე ქვეყნის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობაში, აღნიშნავე უვნებლობის ეროვნულ სააგენტოში. შესაბამისად, პროდუქცია ხელბარგით ვეღარ გავა. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინფექციის ვებგერდზეც არის გამოქვეყნებული ოფიციალური დადგენა. ექსპორტისათვის საჭირო იქნება

ევროსტანდარტების შესაბამის პროდუქციის წარმოება. შეფუთვა, დასაწყობება, შემდეგ რუსეთში დისტრიბუტორი კომპანიის მონახვა, რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსული მხარე ქართულ პროდუქციას მიიღებს და ქსელში გაუშვებს.

როგორი იქნება ქართული თხილის ექსპორტის მომავალი? ამის პროგნოზირება რთულია, თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული დარგი ყოველწლიურად მონინავე პოზიციებს იკავებს მსოფლიო ბაზარზე და ვითარდება სახელმწიფო სუბსიდირება გარეშე, მაგრამ ის კვლავაც რჩება რიგი გამონწვევების წინაშე.

რუსეთში 1 კილოგრამი თხილის ექსპორტის ხარჯი დაახლოებით 12-15 ცენტი ღირს.

თხილის ფასის დარეგულირებაში აუცილებლად უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და უნდა დაწესდეს ფიქსირებული თანხა მაგ: 1კგ თხილის ფასი 5-6- ლარზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს. ამასთანავე სახელმწიფომ ექსპორტიორებს გადაჭრით უნდა გადაუწყვიტონ, რომ თხილის პროდუქციის მისაღებად ბაზარში (ჩამბარებელ პუნქტებში) კი არ უნდა ჩაუსაფრდნენ არამედ ისინი უნდა გავიდნენ და მოსახლეობიდან ჩაიბარონ თხილის მოსავალი. გლესა და ფერმერს რატემა უნდა უღირს თხილის მოსავლის ჩაბარება აღნიშნულ ფასშიც და პირობებშიც.

ქართული თხილის ექსპორტიორებს წინ კიდევ ახალი გამონწვევა ელოდებათ - ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების თანახმად, გასული სამი წლის განმავლობაში თხილის გულზე მოთხოვნა შემცირდა: იმის გამო, რომ ევროპაში წარმოების ხარჯები სულ უფრო იზრდება, ევროპულ კომპანიებს ურჩევნიათ, რომ თხილის გულის ყიდვის და შემდგომი გადამუშავება დიდ ხარჯებს მოითხოვს და ამიტომ ურჩევნიათ მიიღონ: მოხალული, კანგაცლილი თხილი, დაქუცმაცებული თხილი, ნედლი და მოხალული თხილის ფქვილი და თხილის პასტა.

თურქეთი ამარაგებს მსოფლიო ბაზრის დაახლოებით 80%-ს, ხოლო საქართველო - 6-დან 10%-ის ჩათვლით.

დაბალი ხარისხის, არასტაბილური მინოდების და ნაკლები მინოდების გამო ქართული გაუტეხავი თხილი და თხილის გულიც ევროკავშირში ნაკლებად ფასობს. საქართველოში თხილის წარმოება ბევრი ოჯახისთვის შემოსავლის წყაროა. მსოფლიო ბაზარზე თხი-

ლის ფასს მისი რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს. თურქეთი წელიწადში საშუალოდ 600 ათას ტონა თხილს აწარმოებს, საქართველო კი - 60 ათას ტონას. თურქეთი მსოფლიო ბაზრისთვის თხილის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია და ცხადია ფასსაც ის განსაზღვრავს, ასევე მნიშვნელოვანი გარემოებაა პროდუქციის მიწოდების პირობებიც. თურქული თხილი ევროპას სამი თვის კონსიგნაციით მიეწოდება, რისის შესაძლებლობაც ჩვენ არ გვაქვს. გარდა ამისა, ქართულ თხილს დაბალი ცნობადობა აქვს. თურქეთი ამ ბიზნესში 1980 წლიდან არის ჩაბმული. იქ უკვე კარგად არის განვითარებული ფერმერული მეურნეობებიც და შესანახი-გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურაც. თურქეთსპორტიორებს მსხვილ ევროპულ საკონდიტრო კომპანიებთან და იმპორტიორებთან უკვე კარგად ჩამოყალიბებული ურთიერთობა აქვთ. თხილის ბიზნესი ჩვენს ქვეყანაში სულ რამდენიმე წელია რაც განვითარდა. შეიძლება ითქვას, რომ ის დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული ახალი ბიზნესია. თურქეთის თხილის ბაზარი სტაბილიურია. ქართული ბაზარი კი ჯერ კიდევ სპონტანურია. თურქეთში ბევრია მსხვილია ფერმერული პლანტაციები. იქ თხილის ნარგავებს კარგად უვლიან. საქართველოში მსხვილი ფერმერული მეურნეობა ძალიან ცოტაა. გლეხებს კი არ აქვთ იმის ფინანსური საშუალება და ცოდნა, რომ თხილის ნარგავებს კარგად მოურონ. გლეხებს კი არ აქვთ იმის ფინანსური საშუალება და ცოდნა, რომ ნარგავებს კარგად ნოუარონ. გლეხი კარგად არ აშრობს თხილს. ჰგონია, რომ გამოუმშრალ „მძიმე“ თხილს მეტი წონის უფრო ძვირად გაყიდის. ასეთი თხილისგან შემდეგ უკვე კარგი პროდუქტის მიღება შეუძლებელია.

საქართველოს სოფლის მეურნეონის სამინისტრო კი თხილის ტექნიკური რეგლამენტის პროექტზე მუშაობს. ტექნიკური რეგლამენტის მიღების მიზანია, დადგინდეს მოთხოვნები თხილის მიმართ და თხილის წარმოების, გადამუსავების, დისტრიბუციის ეტაპზე განსაზღვროს რეგულირების ერთიანი პრინციპები, ამასთან დაცული იყოს მომხმარებელთა. უნდა მოხდეს თხილის გამოშრობა, დაკალიბრება და დატეხვა. შემდეგ კი პროდუქტი სახმელეთო გადაზიდვების მეშვეობით ექსპორტზე გადის.

თხილის ბიზნესში არსებულ სხვა პრობლე-

მებთან ერთად გამოჩნდა კიდე ერთი უდიდესი პრობლემა - აზიური ფაროსნები, რომლებიც გახლავთ შხამიანი მწერები ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა თხილისა და სიმინდის მოსავლისთვის, ასევე ხეხილისა და ბალჩეულის კულტურებისთვის. სწორედ აზიურმა ფაროსნებმა უკვე ბოლო 3-4 წლის განმავლობაში უდიდესი ზარალი მიაყენა სამეგრელოსა და გურუის, ასევე აჭარის ფერმერებსა და გლეხებს, მათ მიერ დასნებოვნებული ნაყოფი სწრაფად იწყებს ლპობას. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ბევრი პრეპარატი უძღური აღმოჩნდა მაგრამ წელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თურქეთიდან შემოიტანა აღნიშნული პრეპარატი, მაგრამ შედეგი არა ჩანს - გარკვეული ეჭვიც დაიბადა იმისა, რომ უხარისხო და უშედეგო აღმოჩნდა, რადგან მას არ სჭირდება მსოფლიოსა და ევროპის ბაზარზე პერსპექტიული კონკურენტი რომელმაც ძალიან მოკლე დროში ბაზრის 10%-იანი წილი აითვისა თავიდან ჩამოშორება და თავისი პროდუქციით ჩანაცვლება უნდა მოახდინოს.. ამასთან ერთად აღნიშნული პრეპარატის შემოტანაც დაგვიანებით მოხდა, რადგან მოსავალი აღებულია და შედეგიც სავალალოა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ამოქმედების ფონზე - ეკონომიკის სამინისტროში განაცხადეს და გაატარეს მთელი რიგი რეფორმები, იმისათვის, რომ ევროკავშირის ბაზარი ქართული პროდუქციისათვის სრულად გაიხსნას. ზოგადად არასახარბიელო ტენდენცია გვაქვს, განსაკუთრებით თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ეს შეთანხმება (DCFTA) გათვლილია გრძელვადიან სარგებელზე. იმისათვის, რომ სრულად ისარგებლოს საქართველომ ამ შეთანხმებით გამონეული ბენეფიტებით, მან უნდა შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები, იმისათვის რომ ევროკავშირის ბაზარის სრულად გაიხსნას ქართული პროდუქციისათვის.

დასკვნა ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ თხილის საკვებ და სამკურნალო თვისებებსაც. მას წარმატებით იყენებდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა კერძების საკაზმავად, არამედ შექმნეს უნიკალური ტრადიციული პროდუქტი - „ჩურჩხელა“, რომელიც გამორჩეულია თავისი კალორიულობითა და საუკეთესო გემოვნური თვისებებით. ამ ღირსებების გამო „ჩურჩხელა“

ისტორიულად მეომართა ყოველდღიური კვების რაციონში შედიოდა და დღესაც იგი საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული ტკბილეულია.

საქართველოსათვის თხილს ჰქონდა მაღალი ეკონომიკური ღირებულება და დიდი შემოსავალი მოჰქონდა მოსახლეობისათვის 1917 წლამდე. საქართველოს ამ პერიოდისათვის დიდი რაოდენობით თხილის მოსავალი გაჰქონდა ევროპის ქვეყნებში. სხვათაშორის მშობლიური თხილის ჯიშებს გარკვეული უპირატესობები გააჩნია, კერძოდ: ადგილობრივი ჯიშის თხილებს მძლავრი ფესვთა სისტემის წყალობით საკმარისი რაოდენობით იღებს ყველა საჭირო სასარგებლო კომპონენტებს ნიადაგიდან და შესაბამისად საქართველოში თითქმის არ გამოიყენება

ქიმიური სასუქები. ამჟამად საქართველოში გავრცელებულია ზოგიერთი ადგილობრივი ჯიშები. მათ შორის უმთავრესია: შველისყურა, ბერძნულა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და სხვა.

თხილის ბიზნესში არსებულ სხვა პრობლემებთან ერთად გამოჩნდა კიდე ერთი უდიდესი პრობლემა - აზიური ფაროსნები, რომლებიც გახლავთ შხამიანი მწერები ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა თხილისა და სიმინდის მოსავლისთვის, ასევე ხეხილისა და ბაღჩეულის კულტურებისთვის. სწორედ აზიურმა ფაროსნებმა უკვე ბოლო 3-4 წლის განმავლობაში უდიდესი ზარალი მიაყენა სამეგრელოსა და გურიის, ასევე აჭარის ფერმერებსა და გლეხებს.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] www.Google.Ge სტატია - „როგორ დგინდება თხილის ფასი და რა მოგებაზე მუშაობენ თხილის გადამამუშავებელი საწარმოები“, [26. 10. 2015] წელი;

[2] www.Google.ge სტატია - ნელს თხილის ფასი შემცირდა, [09. 11. 2015] წელი;

[3] www.Google.ge სტატია - „თხილის გაძვირება მცირე მოსავლის ბრალია“, [09. 11. 2015] წელი;

[4] www.Google.ge სტატია - „ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე - 2015-2020 წლების პროგნოზი“, [12. 06. 2014] წელი;

[5] დამოუკიდებელი გაზეთი „ასავალ-დასავლი“, [2017 წლის 18-24 სექტემბერი, 18];

[6] www.Google.ge სტატია „ქართული თხილი ევროპაში კარგად რომ გაიყიდოს, ექსპორტი უნდა გაიზარდოს“, [26. 10. 2015] წელი;

[7] www.Google.ge სტატია - საახალწლო საჩუქარი ექსპორტიორებისთვის - თხილის გული დღესგან გათავისუფლდა, [20. 01. 2016] წელი.

[8] **ერქომაიშვილი გ.**, კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია საქართველოში. თსუ-ს გამომცემლობა

[9] **ხარაიშვილი ე.** „მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ტენდენციები და დივერსიფიკაციის შესაძლებლობები საქართველოში“. თბ., 2017

[10] www.google.ge –the article: “How is the hazelnut price stated and what’s the profit of hazelnut processing plants” [26.10.2015]

[12] www.google.ge – the article: “Hazelnut prices reduced” [09.11.2015]

[13] www.google.ge – the article: “Hazelnut price rising is caused by the law harvest” [09.11.2015]

[14] www.google.ge – The article: “Georgian hazelnut in the world market” [12.06.2014]

[15] Independent Newspaper “Asaval-dasavali” [16-24 September, 2017]

[16] www.google.ge – The article: “Georgian hazelnut export is due to increase for profitable selling”. [26.10.2015]

[17] www.google.ge – The article: “New Year gift for exporters: hazelnut heart is free from VAT” [20.01.2016]

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ელექტრონული სანავიგაციო სისტემების მდგომარეობა და სიზუსტე

CONDITION AND ACCURACY OF ELECTRONIC NAVIGATION SYSTEMS IN THE TERRITORIAL SEA OF GEORGIA

ვალერიან იმნაიშვილი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

VALERIAN IMNAISHVILI

Associate Professor, Batumi Navigation Theaching University

ანოტაცია

სტატია ეძღვნება საქართველოს სანავიგაციო აღჭურვილობის ელექტრონული საშუალებების მდგომარეობის, განვითარების პერსპექტივების მოკლე ანალიზს. მოკლედ აღწერს სანავიგაციო აღჭურვილობის ელექტრონული საშუალებების დანერგვის ეტაპებს, მოქმედების პრინციპებს, მათი სიზუსტისა და ნდობის ხარისხს ჩვენს პირობებში.

საკვანძო სიტყვები: რადიოლოკაციური სადგური; ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა; გემების მოძრაობის სამსახური; თანამედროვე გლობალური (თანამგზავრი) სანავიგაციო სისტემა; დიფერენციალური თანამედროვე გლობალური (თანამგზავრი) სანავიგაციო სისტემა; დახურული სატელევიზიო სისტემა; ავტომატური რადიოლოკაციური სისტემები; საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაცია; ელექტრონული კარტოგრაფიული მონეობილობებისა და ინფორმაციული სისტემები.

ABSTRACT

The article is devoted to a brief analysis of the condition and the development prospects of navigation electronic means in Georgia. It briefly describes the stages of implementation, operation principles of navigation electronic means, their accuracy degree and confidence in our conditions.

Keywords: Radar, AIS, VTS, GPS, DGPS, CCTV, ARPA, IMO, IALA, ECDIS

შესავალი

საქართველოში გემების მოძრაობის მართვის სისტემის შექმნის პირველი მცდელობა განხორ-

ციელდა 90-ანი წლების დასაწყისში. სადგურები შეკვეთილი იყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მიერ გერმანიაში, მაგრამ ობიექტურ გარემოებათა გამო პროექტის დასრულება ვერ მოხერხდა და შემდგომში პირველი სადგური გადაეცა საზღვაო აკადემიას სასწავლო მიზნებისათვის. გემების მოძრაობის მართვის სისტემის დანერგვის პირველი პრაქტიკული მცდელობა განხორციელდა ყულევის ნავსადგურის მშენებლობისას 2005-2006 წლებში. საფუძვლად აღებული იქნა საერთაშორისო სტანდარტები და თავდაპირველად გათვალისწინებული იყო გემების მოძრაობის მართვის რეგიონალური სისტემა, თუმცა შემდგომში, ტერმინალის მფლობელების ცვლილების გამო, პროექტი გადაიხედა გემების მოძრაობის მართვის სანავსადგურო სისტემის მიმართულებით. სრულყოფილი სისტემის შექმნისათვის სახელმწიფო დაფინანსების არარსებობის გამო, გადაწყდა, რომ დაფინანსება დაკისრებოდა ნავსადგურებს, საზღვაო კოდექსში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები იმ მოთხოვნებით, რომ ნავსადგურებმა იქონიონ ასეთი სისტემა. სხვადასხვა ობიექტურმა ფაქტორებმა იმ პერიოდში არ მოგვცა ნაციონალური ნორმატიული ბაზის შექმნის შესაძლებლობა და, სამწუხაროდ, ის არ შექმნილა არც დღეისათვის, რაც მოწმობს იმას, რომ იგივე ობიექტური ფაქტორები ისევ ძალაშია.

ძირითადი ტექსტი

აღნიშნული სისტემების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

რადიოლოკაციური სადგური (რადარი),
(Radio detection and ranging — მანძილის რადი-

ოიდენტიფიკაცია და გაზომვა) - საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ობიექტების იდენტიფიკაციის, ასევე მათი მანძილის, სიჩქარის და გეომეტრიული პარამეტრების განსაზღვრის სისტემა.

ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა (AIS Automatic Identification System) - სისტემა, რომელიც ემსახურება გემების, მათი გაბარიტების, კურსისა და სხვა მონაცემების იდენტიფიკაციას ულტრა მოკლე ტალღებიანი სადგურის დიაპაზონის რადიოტალღების დახმარებით. SOLAS-ის 74/88 კონვენციის შესაბამისად ეს სისტემა არის სავალდებულო გემებისათვის საერთო ტევადობით 300 ტონაზე მეტი, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო რეისებს, გემებისათვის საერთო ტევადობით 500 ტონა და მეტი, რომლებიც არ ახორციელებენ საერთაშორისო რეისებს და ყველა სამგზავრო გემებისათვის. გემები და იახტები ნაკლები წყალწვეთ შესაძლებელია აღიჭურვონ „ბ“ კლასის მონიშნებით. AIS-ის მოქმედება დაფუძნებულია შეტყობინებების მიღება-გადაცემაზე ულტრა მოკლე ტალღების დიაპაზონში. AIS-ის გადამცემი მუშაობს უფრო გრძელ ტალღებზე, ვიდრე რადარები, რაც იძლევა ინფორმაციის გაცვლის საშუალებას არა მხოლოდ პირდაპირ მანძილებზე, არამედ ადგილმდებარეობაზე, რომელსაც გააჩნია დაბრკოლებები არც ისე დიდი ობიექტების სახით, ასევე ცუდი ამინდის პირობებში. AIS-ი გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემიდან იღებს ინფორმაციას გეოგრაფიული და დროებითი კოორდინატების შესახებ, რომლებსაც აქვთ იგივე სისტემური ინსტრუმენტალური შეცდომა მაკორექტირებელი სანაპირო სადგურის არარსებობის გამო. AIS-ის უნიფიცირებისა და სტანდარტიზირების უზრუნველყოფის მიზნით რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტში განმტკიცებულია გამოყენებისათვის AIS-ის მიზნებისათვის ორი არხი: AIS-1 (87B - 161,975mhc) და AIS-2 (88B - 162,025mhc). AIS-ის ყოველი სადგურის (მობილური თუ საბაზო) მუშაობა მკაცრად არის სინქრონიზებული დროში UTC-სთან ცდომილებით არაუმეტეს 10 მკნ DGPS-ის ჩამონტაჟებული მიმღებიდან. ინფორმაციის გადაცემისათვის გამოიყენება უწყვეტად განმეორებადი კადრები 1 წუთის ხანგრძლივობით, რომლებიც ნაწილდება 2250 სლოტზე (დროის ინტერვალი) 26,67მკნ-ის ხანგრძლივობით.


გემების მოძრაობის სამსახური (VTS) ნარმოადგენს ტრაფიკის მონიტორინგის საზღვაო სისტემას, ყენდება ნავსადგურებში საზღვაო ხელისუფლებისათვის, საჰაერო ხომალდების მოძრაობის მართვის ანალოგიურად. VTS-ის ტიპური სისტემები იყენებენ რადიოლოკაციურ, დახურულ სატელევიზიო სისტემას (CCTV), რადიოტელეფონის ულტრა მოკლე ტალღებს და იდენტიფიცირების ავტომატურ სისტემას გემების მოძრაობის თვალყურის დევნებისთვის და უზრუნველყოფენ ნაოსნობის უსაფრთხოებას შეზღუდულ გეოგრაფიულ რაიონში.

თანამედროვე გლობალური (თანამგზავრული) სანავიგაციო სისტემა GPS (aSS), ГЛОНАСС (რუსეთი), Galileo (ევროკავშირი) ეფუძნება შორი მანძილის გაზომვის პრინციპის გამოყენებას სანავიგაციო თანამგზავრებსა და მომხმარებელს შორის. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს სანავიგაციო სიგნალის შემადგენლობაში გადაეცემა ინფორმაცია თანამგზავრების კოორდინატების შესახებ. ამავდროულად (სინქრონულად) ხორციელდება მანძილის გაზომვა სანავიგაციო თანამგზავრებამდე. მანძილის გაზომვის ხერხი ეფუძნება თანამგზავრიდან მიღებული სიგნალის დროებითი შეყოვნების გამოთვლას იმ სიგნალთან შედარებით, რომელიც გენერირდება მომხმარებლის აპარატურით, იძლევა საშუალებას სანავიგაციო მონიშნობილობების დახმარებით განისაზღვროს მიმდინარე ადგილმდებარეობა (კოორდინატები), თარიღი, დრო, ტრაექტორია და ობიექტების მოძრაობის სიჩქარე ხმელეთსა და ზღვაზე, ასევე დედამიწის მახლობლად სივრცეში. ჭეშმარიტი მანძილი განსხვავდება ფსევდომანძილიდან სხვაობით, რომელიც უდრის სინათლის სიჩქარის გამრავლებას ხ საათების სვლაზე, ე.ი. მომხმარებლის საათების გადანაცვლების სიდიდე სისტემურ დროსთან მიმართებაში. **სისტემური ცდომილების აღმოფხვრისათვის რეგიონში უნდა არსებობდეს სადგური, რომელიც გადასცემს დიფერენცირებულ შესწორებებს**, რომლებიც ავტომატურად იქნება მიღებული თანამგზავრული სისტემის მონიშნობილობების მიერ, და ახდენს ობიექტის კოორდინატების კორექტირებას. ყველა აღნიშნული მონიშნობილობისა და სისტემის მიმართ ტექნიკური მოთხოვნები მკაცრად არის რეგლამენტირებული.

ბული საერთაშორისო დონეზე და უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში ეროვნულ დონეზე.



ყველა ჩამოთვლილი სისტემებისა და მოწყობილობების ღირებულება შედარებით ძვირია. ეს არახელსაყრელი ფაქტორი ახდენს თავის ნეგატიურ გავლენას არც ისე მდიდარ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება, მათი არსებობის აუცილებლობის გაცნობიერებით, იყენებს იაფ მოწყობილობებს, რომლებიც არ შეესაბამება სანაპირო სისტემებისადმი მოთხოვნებს და ეს საკმაოდ მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ საიმედოობასა და სიზუსტეზე, რითაც უქმნის სერიოზულ საფრთხეს ნაოსნობის უსაფრთხოებას. რიგითი არმცოდნე მომხმარებელი იყენებს მათ და არც კი ეჭვობს საერთაშორისო მოთხოვნებთან მათი არასრული შესაბამისობის შესახებ.

მაგალითისთვის გამოგვადგება რადარები, რომლებიც დაყენებულია სანაპირო დაცვის პოსტებზე, ისინი არის ჩვეულებრივი ავტომატიზირებული რადიოლოკაციური მარშრუტის დამდგენი (ARPA) გემის რადარები, ამ რადარებს არ გააჩნიათ საკუთარი ელექტრონული კარტოგრაფიული სისტემა, ისინი არ შეესაბამებიან IMO-სა და შუქურის სამსახურის საერთაშორისო ასოციაციის (IALA) მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინება სანაპირო რადარებს გემების მოძრაობის მართვის სისტემის მიზნებისათვის. გამყოფი ხაზები და რაიონების დაყოფის სქემა დატანილია ხელოვნურად ოპერატორის მიერ, შესაბამისად, უცნობია რამდენად ზუსტად იყო დატანილი ყველა ზონის ხაზები (სურ.1),



რადარები არ არის იუსტირებული, რადგანაც საქართველოში არ არსებობს ფიქსირებული წერტილები (რეპერული წერტილები) იუსტირე-

ბისათვის და რადარების ჩვენებების კორექტირებისათვის. ეს რადარები ვერ იქნება აღიარებული როგორც ზუსტი ინსტრუმენტი ობიექტის ადგილის მაღალი ხარისხით სიზუსტის განსაზღვრისათვის და მათი ჩვენებების მიმართ არსებობს რისკისა და კრიტიკის მაღალი დონე.




სურ.2,3.

გარდა ამისა წარმოგვადგენთ იმის მტკიცებულებას, რომ რადარების ჩვენებები შეიძლება განსაზღვრული დონით შეიცვალოს ოპერატორის სურვილისამებრ. როგორც ჩანს სურათებიდან (სურ.2, 3), რადარის ერთსა და იმავე სურათზე რადიოლოკაციური სადგურის ოპერატორი ცვლიდა გემის სახელწოდებას მისთვის საჭირო კონტექსტში, რაც ცალსახად უნდა იწვევდეს ეჭვს სანაპირო დაცვის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიმართ.

ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემის სადგურების ჩვენებები ჩვენს პირობებში არ შეიძლება იყოს გემის პოზიციის სიზუსტის მაღალი ხარისხით განსაზღვრის ინსტრუმენტი, რადგანაც საქართველოს სანაპიროს რაიონში სატელიტური სისტემის ჩვენებებს აქვთ ინსტრუმენტალური შესწორება, რომელიც მითითებულია ნაოსნობის შეტყობინებებზე მე-


ღვაურებისათვის, თუ ყურადღებას მივაქცევთ მეზღვაურებისათვის ნაოსნობის შეტყობინებას № 3317 რუკიდან, თანამგზავრული პოზიციონირების ყველა ჩვენებას აქვს ინსტრუმენტალური შესწორება და უნდა დაკორექტირდეს ხელოვნურად, განედზე + 0.01. და გრძედზე + 0.007 . სურ. 4. რუკა № 3317 BA




ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემებით, განვახორციელეთ საზღვაო რუკებზე საკონტროლო გაზომვები, რომლებიც ნამდვილად აჩვენებს სხვაობას ექსპერტის ფაქტობრივ აღმდებარეობასა და GPS-ი ჩვენებებს შორის.



სურ.5 სანაპიროზე GPS-ის პოზიციების სიზუსტის ინსტრუმენტალური გაზომვა. სურათზე ნაჩვენებია პოზიციის სიზუსტის განსაზღვრა **65 მეტრის** ცდომილებით. ასევე განვახორციელეთ საკონტროლო გაზომვები საზღვაო ელექტრონულ რუკებზე (სურ. 6) და, როგორც ჩანს სურათზე გემის ადგილი მითითებულია ნავმისადგომის კუთხიდან მანძილზე, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიმყოფებოდით ნავმისადგომის კუთხეში და ჩვენი პოზიცია მონიშნულია №7 სურათზე.



სურ. 6. დამკვირვებლის პოზიცია ნაჩვენებია ზღვაში (გემის აღნიშვნის სახით)



სურ.7 დამკვირვებლის ფაქტობრივი პოზიცია აღნიშნულია 11-ით ნავმისადგომის კუთხეში. ორი სურათის ურთიერთშედარებით (6 და 7) ჩანს სხვაობა დამკვირვებლის პოზიციის სიზუსტეში.

„რადიოლოკაციური პელენგისა და მანძილის გაზომვისას ცდომილებების შედეგად, (1% სკალა) ARPA, გემისა და მიზნის მოძრაობის ელემენტების 3 წუთიანი მდგრადი თანხლებისა და უცვლელობის შემდეგაც კი, ახდენს გამოთვლას CPA ცდომილებით $\pm 7-8$ კმ (1300 – 1500 მ).“

AIS-ის ინფორმაცია გარე მონაცემებს (ARPA, ECDIS) აძლევს საშუალებას უმცირეს მიახლოებამდე 18-24 წუთით ადრე განსაზღვროს CPA $\pm 100 - 150$ მ სიზუსტით GPS-ის მუშაობის ავტონომიურ რეჟიმში და $\pm 50 - 60$ მ დიფერენციალურ GNSS რეჟიმში. ამასთან, ცდომილების დისტანცია განისაზღვრება გემების GNSS-ის ანტენებს შორის, რომელთა პოზიციებიც ორივე გემზე ცნობილია და CPA შეიძლება შესწორებულ იქნას უახლოესი გემების ბოლო ნაწილების

ცდომილების დისტანციის განსაზღვრისათვის¹.

GPS-ის მიერ წარმოდგენილია ნავიგაციური სიზუსტის ორი დონე: ადგილმდებარეობის ზუსტი დადგენის სამსახური (PPS) და ადგილმდებარეობის დადგენის სტანდარტული სამსახური (SPS). GPS-ის სისტემა თავდაპირველად შექმნილი იყო აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო მიზნებისთვის. სისტემას შეუძლია ზუსტად დაადგინოს ობიექტის ადგილმდებარეობა, მაგრამ სამხედრო მოქმედებების დროს შესაძლებელია საჭირო გახდეს სისტემით სარგებლობის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი გამოყენება მტერის მიერ. ამიტომ PPS ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი მომხმარებლებისათვის, ძირითადად სამხედროებისათვის და აშშ-ს უფლებამოსილი მოკავშირეებისათვის. მეორე მხრივ, SPS ხელმისაწვდომია მთელ მსოფლიოში ნებისმიერი GPS მიმღების მფლობელისათვის. ამიტომ PPS წარმოადგენს ციფრს 1104ს. GPS-ის სიგნალი ვრცელდება და გადაეცემა თანამგზავრიდან მიმღებზე.

1108. მომხმარებლების შეცდომები დიაპაზონთან მიმართებაში და სიზუსტის გეომეტრიული შემცირება.

არსებობს ორი ფორმალური მოთხოვნა GPS-ისთვის პოზიციონირების სიზუსტის მიმართ:

- 1) სისტემის პოზიციონირების სფერული სიზუსტე უნდა იყოს 16 მეტრი SEP (სტატისტიკური სფერული შეცდომა) „ან უკეთესი“.
- 2) SPS სისტემის მომხმარებლის სივრცობრივი პოზიციონირების სიზუსტე უნდა იყოს 100 მეტრი 2 drms „ან უკეთესი“.

1113. შ-ის დიფერენციალური კონცეფცია

2. მნიშვნელოვანია, იმ ტიპის აქტივობების მაღალი ქულით შეფასება (მაგ: მაგისტრებთან და დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება), რომელზეც წლების მანძილზე დიდი ძალისხმევა ეხარჯება პროფესორს და ზემოაღნიშნულ კვლევაშიც მაღალი პრიორიტეტით დაფიქსირდა.
3. კვლევით დადასტურდა, რომ ლექციის ხარისხს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, იგი ყველა სხვა კრიტერიუმებს ჯამში აღემატება საკმაოდ მაღალი პროცენტით უსწრებს. ამიტომ არ შეიძლება

საბოლოო შეფასების ფორმულაში 30%-ზე მრავლდებოდა. მიგვაჩნია და იგივე დაადასტურა კვლევამაც, რომ ლექციის ხარისხი არის პრიორიტეტთა შორის პრიორიტეტული და იგი უნდა გამრავლდეს მინიმუმ 50%-ზე.

4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

დადგენილი კრიტერიუმები უნდა იყოს გამოყენებული უკვე არსებული პერსონალის ატესტაციისათვის, ხოლო კონკურსის წესი შენარჩუნდეს ატესტაციის შედეგად გამონათვისუფლებულ სამუშაო ადგილზე წარმოდგენილი პრეტენდენტებისათვის.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] „კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები (სამუშაო ვარიანტი)“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 9 გვერდი; 2017წ.
- [2] **Armstrong, M.** (2012). *Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice*, 12th edition. London: Kogan Page.
- [3] **Armstrong, M.** (2000). *Human Resource Management*, 7th edition. London: Kogan Page.
- [4] **Gulua, E.** (2017). *Modern Challenges of Higher Education*, Business and Economics Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal of the Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University , 112-132.
- [5] **Gulua, E., & Kharadze, N.** (2014). *Knowledge-Based Organizational Culture Development Challenges in Small and Medium Sized Enterprises of Post-Soviet Georgia*. Business Systems Laboratory 3rd International Symposium: Advances in Business Management Towards Systemic Approach, (pp. 90-93). Perugia.
- [6] **Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia;** (2017). *Impact of Time Management on Personal Development of Master's Degree Students*. European Journal of Social Sciences Education and Research, (pp. 110-118). Vienna.
- [7] **Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia;** (2018). *Organization Culture Management Challenges*. European Journal of Interdisciplinary Studies , 67-79.
- [8] **Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine; Dugladze, Davit;** (2017). *Free-Time Management among Master's Degree Students of Georgia*. European Journal of Social Sciences Education and Research, (pp. 24-33). Vienna.
- [9] **Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine;** (2018). *Organization Conflict Management Challenges*. European Journal of Economics and Business Studies , 30-41.
- [10] **გულუა, ე.** (2017). *უმალესი განათლების თანამედროვე გამოწვევები*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი: „ეკონომიკა და ბიზნესი“ , 112-132 .
- [11] **გურგენიძე, ვ., & სხვ.** (2008წ). *როგორ ვმართოთ თაამშრომლები, მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო*. თბილისი: CMS consulting.

LEARNING AND TEACHING STYLES IN ENGINEERING EDUCATION WITH COMPUTER ASSISTED LANGUAGE LEARNING (CALL)

სწავლა-სწავლების მეთოდები საზღვაო საინჟინრო განათლებაში კომპიუტერის თანხლებით

EKATERINE KALANDADZE
Teacher of Batumi Navigation
Teaching University

ეკატერინე კალანდაძე
ბათუმის ნავიგაციის
სასწავლო უნივერსიტეტის
მასწავლებელი

ABSTRACT

Basic knowledge teachers' of English in marine engineering material is based on engineering textbooks and resources. Teaching and learning are methods to accomplish teachers' task in teaching engineering. There have been some persons involved, with their professional guidance, facilitation and patience. Many challenges which I have met during the period of my working could not be eliminated without the supports from my advisor. He has provided many academic advices by conversations and discussions in engineering. My experience in engineering education would be helpful to my fellow engineering students.

Today we live in a fast and growing competitive world and In this early part of the 21st century the range of technologies available for use in language learning and teaching has become very different and the ways that they are being used in classrooms all over the world, have become central to language practice, It plays a basic role in the process of teaching and learning. We are now in a time when digital technologies are used in daily life in many parts of the world. With the improvement in technology and innovative methods should be employed to make learning more enjoyable and effective. Computer Assisted Language Learning (CALL) has reduced the burden of the teacher. It is described as one of the interactive methods that can help a learner according to their own ability to learn, which enriches their language skills. CALL enables the learner to look beyond the conventional mode of learning and encourages self-learning.

Key words: *engineering education, maritime English, interactive learning and teaching, computer Assisted language learning (CALL).*

აბსტრაქტი

საზღვაო ინგლისურის პედაგოგთა ძირითადი ცოდნა საზღვაო მექანიკაში დაფუძნებულია ტექნიკურ სახელმძღვანელოებსა და რესურსებზე, სწავლა-სწავლების მეთოდები კი სრულყოფს პედაგოგის მისიას მექანიკის სწავლებაში. ცხადია, ამ პროცესში, რამდენიმე ადამიანი ჩართული თავისი პროფესიული და აკადემიური უნარებითა და შესაბამისი რჩევებით. დარგობრივი ინგლისური ენის სწავლებასთან, როგორც გამოწვევასთან, გამკვლავება შეუძლებელი იქნებოდა უშუალოდ საზღვაო დარგის სპეციალისტთა მხარდაჭერის გარეშე, რაც მუდმივად თან ახლავს ჩემს საქმიანობას.

დღესდღეობით ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად მზარდ კონკურენტუნარიან გარემოში, ადრეული XXI საუკუნის ერაში ტექნოლოგიური მიღწევები გამოიყენება ყველა სფეროში, მათ შორის - ენის სწავლა-სწავლების პროცესშიც. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ფართოდ გამოიყენება როგორც აუდიტორიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების აქტიური იმპლემენტაცია სასწავლო პროცესში უფრო სასიამოვნოს და ეფექტურს ხდის მას. ქვევით, ჩვენ ვისაუბრებთ თანამედროვე მეთოდთაგან ერთ-ერთზე, რომლის სახელწოდებაცაა CALL (Computer Assisted Language Learning - ენის შესწავლა კომპიუტერის დახმარებით) და რომელიც მნიშვნელოვნად უმსუბუქებს მასწავლებელს დატვირთვას სწავლების პროცესში. მეთოდი CALL არის ერთ-ერთი იმ ინტერაქტიული მეთოდებს შორის, რომელიც სტუდენტებს უვითარებს სწავლის შესაძლებლობებს და ამდიდრებს მათ ენობრივ უნარებს; ამასთან, ის სტიმულს აძლევს სტუდენტს აიმაღლოს თვითგანათლება.

საკვანძო სიტყვები: საინჟინრო განათლება, საზღვაო ინგლისური, ინტერაქტიული სწავლა და სწავლება, ენის შესწავლა კომპიუტერის დახმარებით (CALL).

INTRODUCTION

This paper deals with the importance of teaching maritime English to fulfill the ever-growing demands of English. The methods and approaches adopted or followed by teachers are very important to teach English language, while it is the second language for both teacher and students. Challenges before teachers in present day English language teaching, are taken up in this paper. The way in which students can put their learning into practice in day-to-day use to fulfill their practical demands through effective communication skills apart from gaining command over English language is highlighted. Teaching must include two major components sending and receiving information. The ever-growing need for good communication skills in English has created a huge demand for English teaching around the world. Moreover, opportunities to learn English are provided in many different ways.

By using multimedia technology, that is the combination of various digital media types such as text, images, audio and video, into an integrated multi-sensory interactive application or presentation to convey information to an audience. It is developed to respond to students different learning styles. Engaging students through interactive learning activities promotes independent thinking skills. To maximize the learning experience, teachers need to stimulate students to be active learners through questioning, enquiring, responding and critically analyzing a variety of questions and situations. It will help the teacher to represent in a more meaningful way, using different media elements.

The basic purpose of this is to focus on sound, text images, videos, animation and interesting context that can be created and accessed from electronic devices such as computer, cell-mobile (<https://www.marineinsight.com/life-at-sea/10-important-mobile-apps-seafarers/>). This app helps mariners to search for vessel information, offers valuable information such as nearest seafarers'

centers, reliable transport options etc. without the need of internet. This app is a useful tool for seafarers to understand an approximate environmental impact from their ships and etc. Moreover, by using multimedia in the classroom, the students can better understand the lessons by cultivating self-thinking ability with integration of four skills. There are, in general, four language skills, each based upon the modality of emphasis. These are the Listening, Speaking, Reading, and Writing skills. Logically, the four skills are related in complementary ways. Both listening and reading are receptive skills — modes of understanding. Speaking and writing are productive skills. Language teaching involves many methods. All the available methods may be appropriate to different contexts. There is no one single method strongly recommended in the teaching of English since the level of the learners differs from one another. So, it becomes inevitable for a teacher to know the different methods of teaching and learning awareness of variety of methods help him to apply the relevant method in his classroom successfully.

COMPUTER ASSISTED LANGUAGE LEARNING (CALL)

Computer Assisted Language Learning (CALL) is the general term for the range of processes and activities that employ computers in the teaching and learning of a new language. The benefits of CALL were examined in many studies. According to these studies, the advantages of the CALL-based environment included motivating students to learn more and gain real world experience. More importantly, the classroom under the CALL-based learning environment is learner-centered. One more benefit that CALL offers is the flexibility of learning. It has been admitted that using CALL tools in teaching practice has brought more benefits than disadvantages. The remarkable advantage of computers is not only in helping to promote users' literacy of the English language but also in developing their computer literacy, which is considered life-preparation skills and knowledge for the future.

CALL has become very good at assessing competency with subsets of a language to determine whether a student has actually become

fluent with the language, for example, it can easily determine if a student has mastered specific topics, like terminology, grammar and vocabulary. But beyond simple testing really, CALL has been able to integrate both teaching and testing in a single stroke of a mouse. With programs like easy Quizzy has several question types such as: polar question (yes-or-no question), multiplication question, ordering question, short answers. in my opinion this is very useful way to prepare future seafarers for professional qualification exam CES, MARLIN These tests are designed to test the knowledge of the seafarers as in the specific knowledge as in English language and familiarity and skill to maintain it by marine engineers is very important.

We can use CALL even when students are on vacations and in the teacher's absence. Language learning technology in its present form is student-initiated and student-centered, giving all

the time and all the room in the world for students to practice.

CONCLUSION

The students are exposed to new teaching methods every day in maritime education as in general education. Some of them are particularly successful, while other methods do not have the same effect in a learning perspective. The choice of method depends on miscellaneous factors related to; curriculum, size of the group, equipment, learning objectives, teachers and student's qualifications

Therefore, it can be say that Computers have made language learning easy and made the language learning process interesting and enjoyable for both teacher and student throughout the world. Computers cannot replace good teachers but they can get a high standard of education where they are needed.

REFERENCES

- [1] **S. Skydanchuk**, Special Subjects Teaching Methods in Marine Engineers' Vocational Education System, Kyiv State Maritime Academy, Kiev, Ukraine, The International Journal on Marine Navigation and Safety of Sea Transportation "TransNav", 3 September, 2013;
- [2] Bessie Mitsikopoulou, "English and Digital Literacies. Introduction to Computer Assisted Language Learning " Copyright National and Kapodistrian University of Athens , 2014;
- [3] **Carol A. Chapelle**, Computer applications in second language acquisition Foundations for teaching, testing and research, Cambridge University Press, 2001;
- [4] **J. Jayachandran**, Computer Assisted Language Learning (Call) As a Method to Develop Study Skills in Students of Engineering and Technology at the Tertiary Level, 2007;
- [5] **Nhon Thanh Dang**, Exploring CALL Options for Teaching EFL in Vietnam, A Collection of Scholarly and Creative Works for Minnesota State University, Mankato, 2011;
- [6] Modern approach of English language teaching and learning, Pune research scholar, An international multidisciplinary journal (issue 3), 2016;
- [7] **Jurn Otto Nilsen**, Teaching methods and exam methods in maritime education, Vestfold University College, Faculty of Technology and Maritime Sciences, 2013;
- [8] **Richard M. Felder**, Learning and teaching styles in engineering education, June, 2002;
- [9] **Gary Motteram**, Innovations in learning technologies for English language teaching, British Council, 2013;
- [10] <http://www.languages.dk/archive/pools-2/manuals/CourseBook.doc>

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ლურჯი მოცვის ტექნოლოგიის თავისებურებანი

THE PECULIARITIES OF BLUE BLUEBERRY TECHNOLOGY SPREAD IN WESTERN GEORGIA

რეზო ჯაბნიძე,

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ინგა გაფრინდაშვილი,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის
ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ
პროფესორი

REZO JABNIDZE,

Academician of the Academy of
Agricultural Sciences of Georgia,
Professor of Batumi Shota Rustaveli
State University

INGA GAPRINDASHVILI,

Doctor of Technical Sciences, Batumi
Shota Rustaveli University
Assistant Professor of Technological
Faculty

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია, საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში კენკროვანთა და კერძოდ, მოცვის, შრობის და გაყინვის პრობლემატური საკითხის გადაჭრას. ექსპერიმენტალური კვლევების და შრობის არსებული მეთოდების განხილვა-შესწავლის შედეგად, ტენიან სუბტროპიკულ ზონაში უპირატესობა ენიჭება მოცვის შრობას ZEFIRO-MAX-ის საშრობში და შენახვას, სწრაფი გაყინვის მეთოდით. ცდები მიმდინარეობდა გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის ექსპერიმენტალურ სანერგე მეურნეობაში. თანამედროვე საშრობი აგრეგატის ZEFIRO-MAX-ის, შოკური მაცივრის და HACCP მეთოდების გამოყენებით. პირველად საქართველოში, მიღებული იქნა შრობის ისეთი პარამეტრები, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებს გამშრალი და შოკურად გაყინული მოცვის სტანდარტულ მახასიათლებს.

საკვანძო სიტყვები: ლურჯი მოცივი, შრობა, ბლანშირება, ZEFIRO-MAX, შოკური მაცივარი, HACCP

STRACT

In The paper have been discusses of solving the problem of bilberry and especially blueberry, wet and frozen in the humid subtropical region of Georgia. Examination of experimental studies and current methods of study - As a result of study, the advantages of mois-

ture subtropical zones are given in the drying and storage of ZEFIRO-MAX, rapid-freezing. The experiments were carried out in the experimental nursery farm of the Graaf-Khutsubani vines and fruit trees. Using the modern drying aggregate ZEFIRO-MAX, shocking refrigerator and HACCP methods. For the first time in Georgia, the conditions of pregnancy have been adopted, which satisfy the standard characteristics of dry and shaky frozen blueberries.

Keywords: bilberry, Dying, Blanching, ZEFIRO-MAX, Shock fridge, HACCP.

შესავალი

ხილ-კენკროვანთა შრობა-გაყინვა დაკონსერვების ერთერთი ძირითადი პროცესია. იგი აკონსერვებს მალფუჭებად კვების პროდუქტებს და მნიშვნელოვნად ამცირებს მის წონას. გამშრალი და გაყინული კენკრა კარგად ინახება, მისი ტრანსპორტირება ადვილდება და დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი წლის განმავლობაში მოსახლეობის მაღალი კვებითი ღირებულების და საუკეთესო გემოვნებითი თვისებების ხილ-კენკროვანებით მომარაგების საქმეში [1].

შრობა- გაყინვის რაციონალური მეთოდები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მედეგი,

სრულფასოვანი, ადვილად მოსამზადებელი კვების პროდუქტები. გამშრალ და გაყინულ პროდუქტებს, ამზადებენ სხვადასხვა მიზნით; წონის შესამცირებლად, საკვები ნივთიერების კონცენტრირებისათვის, თბოუნარიანობის ამალღებისათვის და შენახვის უნარიანობის გადიდებისათვის [2,3].

პროდუქტის შრობით დაკონსერვების შემთხვევაში, მისი შემცველი ფერმენტები და მიკროორგანიზმები, რომლებიც ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური გარდაქმნების საფუძველია, განიცდიან ინაქტივაციას, რითაც წყდება ან მინიმუმამდე ეცემა ხსენებული პროცესები და იზრდება შენახვის უნარი [4,5].

შრობა-გაყინვით დაკონსერვებული პროდუქტების დასაშვები ტენიანობა დამოკიდებულია მის ქიმიურ შედგენილობაზე; რაც მეტია პროდუქტის მჟავიანობა და მასში ეთერზეთებისა და დამაკონსერვებელი პროდუქტების შემცველობა, მით უფრო მაღალია დასაშვები ტენიანობა.

კენკრის შრობა-გაყინვა მიზნად ისახავს მაქსიმალურად შეუნარჩუნოს ნედლეულს ბუნებრივი თვისებები; გემო, არომატი, ფერი, ვიტამინები და სხვა. წყლის დამატების შემდეგ პროდუქტის აღდგენა სწრაფად და სრულად უნდა მიმდინარეობდეს. ჩირი კარგად უნდა გაჯირჯვდეს წყლით და გაღობის დროს მოცვის ნაყოფებს უნდა ჰქონდეთ პირვანდელი სახე [6]. კენკრის შრობა-გაყინვისათვის იქმნება შრობის ოპტიმალური პირობები; შრობის მეთოდი, რეჟიმი, სითბოს წყარო, საშრობი დანადგარის კონსტრუქცია. სამაცივრო საკანი, შოკური მაცივარი. შესაძლებლობის შემთხვევაში კენკრის შრობა-გაყინვისათვის პროცესი განხორციელებული უნდა იქნას უწყვეტი ქმედების დანადგარებში. პროცესის ავტომატური მართვისა და კონტროლის გამოყენებით [7].

კვლევის მასალაში და მეთოდები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტში (გვარა, ცეცხლაური), გავრცელებული ლურჯი მოცვის ნაყოფის გადამუშავების ოპტიმალური რეჟიმების შერჩევა (შრობა, გაყინვა) კვლევისთვის გამოყენებული იქნა კვლევის ფიზიკო-ქიმიური რეფრაქ-

ტომეტრული, და ტიტრულიმეთოდები. განისაზღვრა: რედუქციურული შაქრები, საქაროზა, ტენი, და მშრალი ნივთიერება .

მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისათვის საჭიროა მოცვის გადამამუშავებელი საწარმოებში შრობის პროცესის წარმოება HACCP მეთოდების შესაბამისად. საკვლევი ობიექტზე შეიქმნა 4 კაციანი ჯგუფი, რომელმაც მოახდინა პროდუქტის აღწერა, წარმოებაში დანერგვა, კენკრის გადამამუშავების მონოტორინგის მაღალეფექტური HACCP-ის მეთოდი და შეიმუშავა კენკრის გადამამუშავების მიმდინარეობის შემდეგი ბლოკ-სქემა

- ბუნკერის საშუალებით კენკრის ჩამოტვირთვა;
- კენკრის დახარისხება ზომების მიხედვით;
- კენკრის რეცხვა;
- კენკრის დეჰიდრატაცია (კენკრის შრობა);
- კენკრის ბლანშირება;
- კენკრის გაცივება;
- სატრანსპორტო სიტემა კენკრისათვის;
- კენკრის გაყინვა;
- კენკრის შესაფუთი ხაზი და კენკრის შენახვა;

გამოცდილი და ჩატარებული იქნა ბლოკ-სქემა ადგილზე, ყველა შესაძლო საფრთხის ანალიზი, დადგინდა მაკონტროლებელი ღონისძიებები, გამოვლენილი იქნა კრიტიკული საკონტროლო წერტილები და შეიქმნა მონიტორინგი თვითოეული საკონტროლო წერტილებისათვის, დასახელდა მაკორექტირებელი ღონისძიებები, ჩამოყალიბდა გადამონმების პროცედურები.

ლურჯი მოცვის, როგორც მალფუჭებადი პროდუქტი მაღალ კონცენტრირებული და ადვილად მოსამზადებელი კვების პროდუქტების მიღების საშუალებას იძლევა [8].

კენკროვნებიდან წყლის სხვადასხვა მეთოდით აორთქლება განაპირობებს მშრალი ნივთიერების შემცველობის გადიდებას, მიიღება მაღალკონცენტრირებული პროდუქტი, რომლის კვებითი ღირებულება, კალორიულობაც იზრდება 5-10-ჯერ. იზღუდება მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის პირობები, რის გამოც მშრალი პროდუქტი იძენს ჩვეულებრივ პირობებში ხანგრძლივი შენახვის უნარს. შრობით დაკონსერვებული პროდუქტის დასაშვები ტენია-

ნობა დამოკიდებულია მის ქიმიურ შედგენილობაზე. რაც მეტია პროდუქტების მჟავიანობა, ეთერზეთებისა და სხვა დამაკონსერვებელი ფაქტორების შემცველობა, მით მაღალია დასაშვები ტენიანობა [12,13,14].

გაეროს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის დაფინანსებით გვარაში დამონტაჟებული იქნა იტალიური წარმოების საშრობი დანადგარი „ZEFIRO-MAX“, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, ვანარმოთ მოცვის და სხვა ხილის პროდუქტების მაღალხარისხოვანი ჩირები. იგი წარმოადგენს მზის საშრობს, სადაც ძირითადი ენერგია მოდის მზიდან და მისი მართვისათვის გამოიყენება მცირე ენერგია ვენტორაციის საშუალებით. მზის ენერგიის მშთანთქმელი ბადე განლაგებულია საშრობის ზედა ნაწილში ივექტურია მზის მცირე გამოსხივების დროსაც [8,9,11]. ჰაერის 25°C-ისა შეიძლება დანადგარში უზრუნველყოთ 35-40°C ტემპერატურა. საშრობში მოცვი თავსდება უჟანგავი ფოლადის ბადეებზე. შრობა ტარდება 45-55°C -ზე.

გამშრალ ჩირს აფასობენ პოლიეთილენის პარკებში. 7კგ-მოცვიდან მიიღება 1 კილოგრამი ჩირი. ნარჩენი ტენიანობა 16-18 %-შრობის პროცესი დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე საშრობის გამართული მუშაობისათვის საჭიროა გარე ჰაერის ტემპერატურა იყოს არანაკლებ 22°C საშრობის შიდა ტემპერატურა 41-55°C, შრობის ხანგრძლივობა 6-7 დღე. შრობა ხორციელდება ჰელიოსისტემის ტიპის საშრობში ZEFIRO-MAX-ით.

შრობის ტექნოლოგიური პროცესი

გვარასა და ცეცხლაურში არსებული ფართობებიდან მოვახდინეთ აღებული ნაყოფების გადამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმების შერჩევა. ვაშრობდით მოცვის ნაყოფებს, რომლთა ქსოვილში შედარებით მეტი რაოდენობით შედის, ისეთი ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრავენ გემოვნებით და კვებით თვისებებს. მიღებული ნედლეული ხარისხდება, ირეცხება, ყოვნდება და თავსდება ჰელიო სისტემის დანადგარ „ZEFIRO-MAX“-ში. ალტერნატიული ენერგო წყაროს გარეშე. ლიტერატურული წყაროების გათვალისწინებით მზა პროდუქტის საბოლოო ტენიანობამ უნდა შეადგინოს 18-19%-ს..

გვარასა და ცეცხლაურში არსებული ფართობებში ნიადაგის მჟავიანობა არის 4,0-5,0, რაც სრულიად საკმარისია მცენარის ნორმალური ზრდა- განვითარებისა და მაღალი მოსავლის მისაღებად. ნაკვეთი კარგად დრენაჟირებულია. პლანტაციის გაშებებამდე ნიადაგი მოიხვნა 40-50 სმ-ის სიღრმეზე. გაფხვიერებული, განათებული და ტენით უზრუნველყოფილი ნიადაგი ჯვარედინად გადაიხვნა და მოცვის გაშენებისათვის მოენყო ბაზოკვლები (სფერული) სისტემით. მიწის ზედა ფენაში შეტანილი იქნა წინასწარ მომზადებული ორგანული სუბსტრატი ნახერხის, გადამწვარი ნაკელისა და ტორფკომპოსტის ნარევით. მოენყო წვეთოვანი მორწყვის სისტემა, ბაზოკვლები და ფარული იქნა მულჩი ფირებით და აგრონესების გათვალისწინებით დაირგო მოცვის ნერგები. ნერგების დარგვისას მცენარის ფესვთა სისტემა მთლიანად მოთავსდა ნიადაგში მოიტკეპნა და მოიწყა. რიგთაშორისებში დაშორების მანძილი 3-3,2 მ, ხოლო რიგებში მცენარეთა შორის დაშორება 0,9-1,2მ. ასეთი კვების არის გათვალისწინებით ერთ ჰექტარზე დაირგო 3200 ძირი ნერგი. მოსავლის აღება დაიწყო დარგვიდან 4 წლის შემდეგ ივნისის შუა რიცხვებიდან და გრძელდებოდა ივლის-აგვისტოში. მოსავალს ვიღებდით ხელის მაკრატლის გამოყენებით. სრულ მსხმოიარობაში შესული ერთი ბუჩქი ლურჯი მოცვისაგან ვღებულობდით 5-6 კგ ნაყოფს. მოკრეფილ ნაყოფს ვათავსებდით სპეციალურ პლასტმასის კონტეინერებში და ვინახავდით 2-4°C -ზე და შემდგომ ვახდენით მის შრობას.

შრობის ჩატარების შემდეგ მიღებულმა პროდუქტმა მაქსიმალურად შეინარჩუნა თავისი ბუნებრივი თვისებები: გემო, არომატი, ფერი, ვიტამინები. წყლის დამატების შემდეგ მშრალი პროდუქტის აღდგენა სწრაფად და სრულად წარიმართა რაც სავსებით შეესაბამება მოცვი-მულ სტანდარტს [3,12].

შრობის საწყის სტადიაზე ნედლეულისაგან პირველ რიგში აორთქლდა თავისუფალი ტენი, ხოლო შემდგომ დაიწყო ბმული ტენის აორთქლება, რომელიც მასალასთან კავშირის სიმტკიცის მიხედვით არის ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიკურ-მექანიკური. ცხელი ჰაერის ტემპერატურის გადიდებით გაიზრდა ტენის აორთქლების სიჩქარე, მაგრამ მაღალი ტემპერატურის გამოყენება შეიზღუდა კენკროვნების


ხარისხზე მისი უარყოფითი მოქმედების გამო. რაც მეტია ჰაერის მოძრაობის სიჩქარე მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს შრობის პროცესი. ცხელმა ჰაერმა შრობის დროს ერთდროულად შეასრულა ტენიან მასალაზე სითბოს გადაცემის, ტენის მშთანქმელისა და ტენის გამცლელის ფუნქცია. მოცემული ინსტრუქციის თანახმად [6,13 14 16] გადასამუშავებელი ნედლეულის საერთო პარტიის დახარისხება მოხდა ინსპექციისა და დაკალიბრების გზით.

მოცვის შრომა მიმდინარეობდა შემდეგი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით:

ანონვა → გადარჩევა → ყუნწის გაცლა → რეცხვა → ბლანშირება → დაყოვნება → შრომა ჰელიოსისტემის დანადგარში

შემდეგ მოხდა ნედლეულის გარეცხვა. ნედლეულისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის გასარეცხად გამოყენებული იქნა წყალი, რომელიც პასუხობდა სასმელი წყლისადმი ნაყენებულ ყველა მოთხოვნებს. ნედლეული გარეცხვა ჭავლიან წყლიან ავზში 2-3-ჯერ ჩაძირვით, დაინრიტა და დაყოვნდა 5-10 წთ წყლის ჩამონრეტის მიზნით. მზის ენერჯის შთანთქმისათვის პანელები განლაგებული იქნა საშრობის ზედა ნაწილში; საშრობში საშუალო ჩაიტვირთა 500 კგ კენკრა. შრომა ჩატარდა 45-55°C-ზე ჰელიოსისტემის ტიპის საშრობში.

შრობის დროს ჰაერის დამახასიათებელი პარამეტრები შეიძლება გამოითვალოს სხვადასხვა მეთოდით [13 14 1516]. ჩვენს შემთხვევაში გამოყენებული იქნა ლ. რამზინის I-დ დიაგრამა, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 1-ზე.



ზედაპირიდან ტენის აორთქლების პროცესში, ზედაპირული ფენების ტემპერატურა არ აღემატება აორთქლების ტემპერატურას. ამ შემთხვევაში აორთქლების სიჩქარე გავზარდეთ მხოლოდ გარემომცველი ჰაერის ტემპერატურის გადიდებით. იგი არ ახდენს უარყოფით გავლენას ნედლეულის ხარისხზე. შრობის პროცესის დახასიათებისთვის I-d დიაგრამაზე ავლნიშნეთ A წერტილი, რომელიც შეესაბამება პანელებიდან საშრობის ზედა ნაწილში შემოსულ თბილი ჰაერის მდგომარეობას. გაცხელების პროცესი დიაგრამაზე გამოისახება AB ხაზით. B წერტილი შეესაბამება ჰაერის პარამეტრებს მისი საშრობში შესვლის მომენტში. თუ სითბოს მიწოდება იზრდება, მაშინ პროცესი მიდის BC₁ ხაზით, ხოლო თუ მცირდება BC₂ ხაზით. შრობის პროცესის ხაზის ასაგებად, BC ხაზზე იღებენ ნებისმიერ წერტილს, მასზე ტარდება ვერტიკალი (AB) და გადატანა ხდება მასშტაბში წერტილის ზემოთ დამატებით შემოსულ სითბოს სიდიდე. B-ზე ვატარებთ წრფეს, რომელიც ასახავს საშრობის რეალურ პროცესს. აირჩევა რა ამ წრფეზე ჰაერის რომელიმე ერთი პარამეტრი, C₁ წერტილში ღებულობენ საშრობიდან გამავალი ჰაერის დანარჩენი პარამეტრების სიდიდეს. დიაგრამაზე შეიძლება განსაზღვრული იქნას ჰაერის ნამისა და სველი თერმომეტრის ტემპერატურები, შრობის პოტენციალი და სხვა. დიაგრამის საშუალებით ადვილდება საშრობი დანადგარის სტატისტიკური ანგარიში.

ნედლეულისა და გამშრალი პროდუქტის მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილში ნათლად ჩანს, რომ ანტოციანების შემცველობა უცვლელია.

ხილ-კენკროვნების დაკონსერვების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია გაყინვა. იგი პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნების საიმედო საშუალებაა, დაბალი ტემპერატურით (არაუმეტეს -18°C)-ზე, რომელიც უზრუნველყოფს მისი კვებითი, ორგანოლექტიკური თვისებებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად შენარჩუნებას. გაყინვის დროს ხილ-კენკროვნები შეშრობის შედეგად კარგავს საწყისი მასის 1-2%. გაყინული პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობა იცვლება ნედლეულის სახის, პროდუქტისა და ტარის მიხედვით და განისაზღვრე-

ცხრილი 1

ნელი და გამშრალი მოცვის ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა %-ში

ჩვეულებრივი და მოცვის	ქმნი	მცენარის პოტენციური გავრცელების მუდმივი	ნაყარი	საქონლობა (N ₂)	ქვეყნიურად ნივთიერებები			ანტიბიოტიკები
					მთლიანი	მათ შორის		
						ხსნადი	აქტიური	
ნელი	83,3	1,3	0,234	0,560	0,29	0,20	0,09	0,040
მომცვენი მარცხ	18,4	1,2	0,211	0,551	0,21	0,19	0,08	0,043

საფუძველს წარმოადგენს მეთოდი პროდუქტიდან სითბოს გაცემის დაბალი ტემპერატურის გზით $-30 \pm 35^{\circ}\text{C}$ - გარემომცველი არით. სიცვივის მატარებლად კამერაში არის ჰაერი, რომელიც ინტენსიურად უბერავს პროდუქტს. უნდა აღინიშნოს, რომ ტემპერატურის შემდგომ დაცემას აზრი არაქვს, რადგან ეს


ბა 7-12 თვით. [10,11,15] გაყინვით დაკონსერვებული კენკრის ხილის საწყისი სახით შენახვის შესაძლებლობას იძლევა შოკური გაყინვა, რაც ნაყოფების ერთმანეთზე მიკვრის თავიდან აცილების და მაღალხარისხოვანი მზა ნაწარმის მიღების გარანტიას [16 17].

მოცვის შოკური გაყინვის პროცესი შედგებოდა სამი ეტაპისაგან. გაყინვას ვახდენდით $+20^{\circ}\text{C}$ -დან 0°C -მდე, შემდეგ 0°C -დან -5°C -მდე და შემდეგ -5°C -დან -18°C -მდე. ტემპერატურის კონტროლი ტარდებოდა (DIGITAL THERMOMETER)-ის საშუალებით. $+20^{\circ}\text{C}$ -დან 0°C -მდე, მოცვის ნელეული ცივდებოდა, ტემპერატურა თანდათან ეცემოდა. კენკრის ნაყოფის ტემპერატურის დაცემიდან 0°C -დან -5°C -მდე გაცივებული პროდუქტი გადადის თხევადი ფაზიდან მყარ ფაზაში. სითბოს გაცემა მიმდინარეობს ძლიერად, მაგრამ ტემპერატურა ეცემა უმნიშვნელოდ და პროდუქტის ფრაქციის 70%-ის კრისტალიზაცია მიმდინარეობს. ეს არის გაყინვის საწყისი სტადია. ბოლო ეტაპზე პროდუქტი ცივდება -5°C -დან -18°C -მდე რაც გულისხმობს საბოლოო გაყინვას [11;12;13;14].

გვარას ტერიტორიაზე ENPARD-ის დაფინანსებით დამონტაჟებული იქნა შოკური მაცივარი. გაყინვის პერიოდი იწყება 2,5-საათიდან. ყველაზე მთავარ ფაქტორად ითვლება დრო, რადგან არსებობს ორგანული კავშირი პროდუქციის ხარისხსა და გაყინვის პერიოდს შორის. დროზეა დამოკიდებული ყინულის კრისტალების ზომები, ფერმენტული და სტრუქტურული ცვლილებები პროდუქტში. შოკური გაყინვის

გამოიწვევს პროდუქტის დეფორმაციას მოცულობის დანაკარგს. ხილ-კენკროვნების დაკონსერვების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი გაყინვა. იგი პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნების საიმედო საშუალებაა დაბალი ტემპერატურით (-18°C)-ზე, რომელიც უზრუნველყოფს მისი კვებითი, ორგანოლექტიკური თვისებებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად შენარჩუნებას. ჩვეულებრივი გაყინვისაგან განსხვავებით შოკურ გაყინვას ახასიათებს შემდეგი უპირატესობა: გაყინვის პერიოდის შემცირება 3-10-ჯერ. პროდუქციის დანაკარგის შემცირება 2-3-ჯერ, მწარმოებლობის შემცირება 1,5-2-ჯერ, პერსონალის შემცირება 25-30% [13;14;15]. შოკური გაყინვისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ჯიშები: პატრიოტი, დიუკი, ელიზაბეტი, ლეგასი, ჩანდლერი, შანტეკლერი.

შოკურად გაყინვის ტექნოლოგიური სქემა შემდეგია:



გადასამუშავებელი ნელეულის პარტია არ უნდა შეიცავდეს დაჟეჟილ, მავნებლებით დასენიანებულ და სხვა სახის დეფექტურ ნაყოფებს. ღრმად გაყინული მოცვის ჯიშები ბიოქიმიური მონაცემების მხრივ თითქმის უახლოვდება საწყის მაჩვენებლებს, რადგან წყლის გაყინვის შედეგად ქიმიური რეაქციები თითქმის შეჩერებულია [16 17].

ახალმოკრეფილ ნაყოფებს ცლიან ყუთებიდან და ათავსებენ საინსპექციო მაგიდაზე, ამორებენ უვარგის ნაყოფებს. უვარგისი კენკრა თავსდება მისთვის განკუთვნილ ყუთებში და ექვემდებარება უტილიზაციას. დანარჩენი ნედლეული ნაზად იყრება სარეცხ აბაზანაში, სადაც ხდება კენკრას განმენდა გამდინარე წყლით. მეორე აბაზანაში ხდება მისი ბლანშირება ცხელი


ცხრილი 2

ნიმუშების ბიოქიმიური ანალიზი

ნიმუშის №	რედუქციონული შაქრები მკ	საკარობა მკ	ტენი %	მშრალი ნაეთიერება%	მეთოდის დასახელება
I	6,1	1,11	83,8	16,3	არსებული სტანდარტებისა და გოსტ 8756.13
II	6,1	1,0	83,8	16,2	გოსტ 8756.13
III	6,2	1,1	83,8	16,5	გოსტ 8756.13
IV	6,8	0,9	83,8	16,9	გოსტ 8756.13

ნახ. 2

წყლით. ფერმენტული სისტემების დეზაქტივაციისათვის და პროდუქტის ხარისხის შენარჩუნებისათვის. კენკრა ნაზად გადადის უჟანგავი ფოლადის ფირფიტაზე საიდანაც იყრება პლასმასის ყუთებში. შოკურად გაყინული კენკრა არ კარგავს კვებით ღირებულებას და გარეგნულ სახეს. იგი იცვლის მდგომარეობას, ელასტიურიდან მკვრივ მსხვრევად მდგომარეობაში გადადის. შოკურად გაყინული კენკრა არის როგორც უშუალო მოხმარების პროდუქტი ანუ მზა ნაწარმი და კენკრა როგორც გადასამუშავებელი ნედლეული ნახევარფაბრიკატი.



მოცვის შენახვა გაყინვით ნედლეულს ხდის უფრო მეტად შენახვისუნარიანს და რაც მთავარია ზრდის ნედლი ნედლეულის სეზონურობას.

ოთხ ნიმუშად დაფასოებული მოცვის გაყინვა მიმდინარეობდა შოკურ მაგივარში 0-დან - 35°C-მდე. ნიმუშები აღებულია გაყინვამდე. ნიმუში №1 დაფასოების გარეშე მოთავსებულია ყუთებში. ნიმუში №2 - დაფასოებული პოლიეთილენის პაკეტებში. ნიმუში № 3 კი ღია პოლიეთილენის პაკეტებში და ყუთებში. ნიმუში № 4 მოთავსებულია ყუთში ღია პოლიეთილენის გარსაცმით.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ანტიციანების ცვალებადობის დინამიკა მოცვის ნაყოფის გამშრალი და გაყინული სახით შენახვისას.

აღნიშნულ ნიმუშებში შესწავლილი ქიმიური მაჩვენებლები დადასტურებდა იმისა, რომ მიუხედავად დაფასოების სხვადასხვაგვარობისა და მოკილ ნედლეულში რედუქციონული შაქრე-

ნიმუშები გაიყინა -35°C-ზე. შოკური მაცივრიდან გამოღების შემდეგ ჩატარდა მზა პროდუქციის კონტროლი და შესწავლილი იქნა მზა პროდუქციის ბიოქიმიური შემადგენლობა. გაყინვამდე ნიმუშების ბიოქიმიური შემადგენლობა მოცემულია ცხრილი 2-ში;

ცხრილი 3

მზა პროდუქციის ბიოქიმიური ანალიზი

ნიმუშის დასახელება	რედუქციონული და შაქრები მკ	საკარობა მკ	ტენი %	მშრალი ნაეთიერება %	მეთოდის დასახელება
I	6,1	0,9	84,0	16,0	არსებული სტანდარტებისა და გოსტ 8756.13
II	6,8	1,0	84,0	16,0	გოსტ 8756.13
III	6,7	0,9	84,1	16,0	გოსტ 8756.13

ბის რაოდენობა და საქაროზა 0,1 ერთეულით შემცირდა, ასევე უმნიშვნელოდ შემცირდა ტენი და მშრალი ნივთიერება, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ შოკური გაყინვა უნიკალურია. იგი უზრუნველყოფს პროდუქტის კვებითი ღირებულების შენარჩუნებას, რადგან წყლის გაყინვის შედეგად ქიმიური რეაქციები ძირითადად შეჩერებულია ღრმად გაყინული მოცვი ბიოქიმიური მონაცემების მხრივ უახლოვდება საწყის მაჩვენებელს და ინარჩუნებს არომატულ ღირებულებებს. ეს დანადგარი დამონტაჟებულია გვარა-ხუცუბნის ტერიტორიაზე, სადაც საყინულე - შოკში მიმდინარეობს ხილის შოკური გაყინვა.

დასკვნა

1. მოცვის ნიმუშების აღების ოპტიმალური პერიოდი განისაზღვრა ტექნიკური სიმნიფით,

რომელიც სრულიდ ემთხვევა სამომხმარებლო სიმნიფის პერიოდს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის - გვარასა და ცეცხლაურის ტერიტორიაზე, აღებული ნიმუშების შრობა მოხდა დანადგარ ზეფირა-მახ-ში. და მიღებული იქნა შრობის ოპტიმალური რეჟიმი.

2. შოკურად გაყინული მოცვის ნაყოფის გაყინვიდან რვა თვის მანძილზე, ყოველთვიური კონტროლის საფუძველზე, დადგენილი იქნა, რომ არ იცვლება როგორც ორგანოლექტიკური მაჩვენებლები, ფერი, გემო და არომატი, ასევე თვისობრივი შემადგენლობა.

3. მიღებული კვლევების საფუძველზე შეიძლება მივეთ რეკომენდაცია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში დაიწყო მოცვის ნაყოფიდ სამრეწველო გადამუშავება.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] **ა. ჩავლეიშვილი.** სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვის და გადამუშავების ტექნოლოგია. თბილისი. 1988;

[2] **ლ. ჯიქია, ქ. კინწურაშვილი.** ხილისა და ბოსტნეულის შენახვა-გადამუშავების სამრეწველო ტექნოლოგიის ზოგადი საფუძველები. თბილისი 2009;

[3] **ა. ფან-იუნგი, გ. ფლაუმენბაუმი ა. იზოტოვი.** ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია. თბილისი 1978 ;

[4] **ა. ჩავლეიშვილი.** ხილისა და ბოსტნეულის შრობის ტექნოლოგია, თბილისი 1985;

[5] **ზ. შაფათავა ვ. ნაცვლიშვილი.** ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგია. თბილისი 2009;

[6] **მ. მიქაბერიძე.** კვების საწარმოების მანქანა-აპარატული სისტემები. ქუთაისი 2001;

[7] **გ. მესხიშვილი ს. ბუაჩიძე.** კვების პროდუქტების შრობა. თბილისი 1963;

[8] **ნ. გოგიშვილი.** საწარმოების მადლოზირებელი და შესაფუთი მონყობილობები. ქუთაისი, 2015;

[9] **შ. კობახიძე,** სუბტროპიკული მცენარეული ნედლეულის შენახვა და გადამუშავება. გამომცემლობა „განათლება“, 1986;

[10] **შ.ხატიაშვილი.** ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების ზოგადი საფუძველები. თბილისი 1962;

[11] **ა. თარხნიშვილი.** კვების პროდუქტების დაკონსერვების ზოგადი ტექნილოგია. თბილისი 1986;

[12] **ი. გაფრინდაშვილი, ნ ასანიძე.** ყინვა, კენკრა, ხილი და მოსავლის აღების სტრატეგია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე № 33 თბილისი 2014 გვ 186-188;

[13] **ი. გაფრინდაშვილი, ნ ასანიძე,** შრობით დაკონსერვებული ხილი და წარმოების ტექნო-ქიმიკონტროლი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №34 თბილისი 2015. გვ 42-43;

[14] **რ. ჯაბნიძე.** სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია. 2012;

[15] **Urbanova M.Zh., Dodaev K.O., Kurbanov Zh.M.** Changes in the Structural and Mechanical Properties Fruits and Vegetables in the Drying Process. Storage and Processing of Farm Products. Moscow 11. 2016 p., 11-13;

[16] **Цапалова И. Е., МаюрниковаЛ. А., ПозняковскийВ. М., Степанова Е. Н.**Экспертиза продуктов переработки плодовиовошей. Новосибирск.2003.271 с.

მანდარინ უნშიუს პერსპექტიული ბუნებრივი მუტანტის „ლამპარი“-ს გობიერტი ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებანი

SOME BIOLOGICAL AND AGRICULTURAL PECULIARITIES OF TANGERIN UNSHIU PROSPECT NATURAL MUTANT “LAMPARI”

შოთა ლამპარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

SHOTA LAMPARADZE

Batumi Shota Rustaveli State University
Associated Professor, Professor,
Academic Doctor Of Agriculture

ანოტაცია

ნაშრომში მოცემულია მანდარინის სამრეწველო ჯიშის ფართოფოთლიანი უნშიუს პერსპექტიული ბუნებრივი მუტანტის „ლამპარი“-ს მორფოლოგიური აღწერა, ბიომეტრიული მაჩვენებლები, პირველი და მეორე ზრდის დასაწყისი-დასასრული, ყვავილობის დასაწყისი-დასასრული, ნაყოფის მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება, მოსავლიანობა, ნაყოფის მექანიკური და ბიოქიმიური შედგენილობა, კერძოდ: საშუალო წონა, კანისა და რბილობის პროცენტული შეფარდება, წვენის გამოსავლიანობა რბილობიდან და ნაყოფიდან, მშრალი ნივთიერება, ტიტრული მუავიანობა, ასკორბინის მჟავა (ვიტამინი C) და შაქრები. საკონტროლოდ აღებული იყო მეციტ-რუსეობის ზონაში ფართოდ დანერგილი მანდარინის ჯიში - ფართოფოთლიანი უნშიუ.

საკვანძო სიტყვები: ფართოფოთლიანი უნშიუ, მუტანტი, გამონრთობის პროცესი, ფენოლოგიური ფაზები.

ANNOTATION

The Morphological Description Of Tangerin Industrial Specie – Broad-Leaved Unshiu Prospect Natural Mutant “Lampari”; Biometric Indicators, The First And The Second Growth Start And End Period, Start And End Of Blossoming Period, Start Of Ripening The Fruit And Massive Ripening, Productivity, Mechanical And Bio-Chemical Consistency Of Fruit, In Particular: Average Weight, Percentage Correlation Of Skin And Flesh, The Juice Concentration From Flesh And Fruit, Dry

Substance, Titric Acidity, Cevitamic Acid (Vitamin C) And Sugars. Tangerine Specie – Broad-Leaved Unshiu Widely Introduced In Citrus-Growing Zone Was Take For Control.

Key Words: *Broad-Leaved Unshiu, Mutant, Tempering Process, Phenological Phases.*

შესავალი

შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში გავრცელებული მანდარინის ჯიშებიდან ფართო სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ფართოფოთლიანი უნშიუს, რომელიც კარგადაა შეგუებული ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და ამავე დროს, სხვა ჯიშებთან შედარებით, გამოირჩევა უხვი მსხოიარობითა და გადიდებული ყინვაგამძლეობის უნარით.

ამ ჯიშის ნაკლად ითვლება ის, რომ მისი ნაყოფი მნიშვნელოვნად ნოემბრის მეორე დეკადაში, ამ დროს კი ადგილი აქვს ხშირ წვიმებს, სეტყვას და არც თუ ისე იშვიათად, თოვლს, რაც აფერხებს მოსავლის აღებას, აზიანებს ნაყოფს, უკარგავს სასაქონლო სახეს, ხარისხს და სცემს მათ ტრანსპორტაბელობასა და შენახვისუნარიანობას, რის შედეგადაც მნიშვნელოვან ზარალს განიცდის მეციტრუსე ფერმერები და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკა [1].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მანდარინის ადრემწიფადი ფორმების გამორჩე-

ას, მათ შესწავლას და წარმოებაში დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის, როგორც ნაყოფმომარების პერიოდის გახანგრძლივების მიზნით ასევე მცენარეთა უკეთ გამონრთობისათვის. [2];[3]

მასალა და მეთოდიკა

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მანდარინ უნშიუს პერსპექტიული ბუნებრივი მუტანტი „ლამპარი“. შესადარებლად აღებული იყო მანდარინის ფართოდ გავრცელებული სამრეწველო ჯიში ფართოფოთლიანი უნშიუ. დაკვირვებები ტარდებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ალამპარში, რეზო გოხიძის ფერმერულ მეურნეობაში, სრულმსხმოიარე მანდარინის მცენარეებზე, 2012-2016 წლებში.

ისწავლებოდა მცენარეთა მორფო-ბიოლოგიური თავისებურებანი და ძვირფასი სამეურნეო ნიშნები (აღრემნიფადობა, მოსავლიანობა, ნაყოფის მექანიკური და ქიმიური შედგენილობა, საგემოვნო თვისებები).

მორფოლოგიური შესწავლა ხდებოდა რიცხობრივი მაჩვენებლებით და მცენარის ორგანოების აღწერით.

ისწავლებოდა მცენარის ზომა (სიმაღლე, დიამეტრი) საერთო ფორმა, ნაყოფის კანისა და რბილობის შეფერილობა, კანის სისქე, წვნიანობა და სხვა.

იმისათვის, რომ შეგვესწავლა საკონტროლო და საცდელი მცენარეების სხვადასხვა ორგანოების ზრდის ხასიათი, მორფოლოგიურ აღწერას ვატარებდით შემდეგი სქემით:

მცენარის ზომა ისწავლებოდა მისი ნატურალური გაზომვით. ვარჯის შეფოთლილი ნაწილის გამოთვლა წარმოებდა ფორმულით

$$V = \frac{3.14 \cdot D^2 \cdot H}{4}$$

სადაც D არის კრონის საშუალო დიამეტრი, H მცენარის სიმაღლე. მცენარის შტამბს ვზომავდით მცნობის ადგილიდან 4 სმ-ით მაღლა. ფოთლის ფართის გამოთვლისათვის ვიყენებდით ფორმულას $S=D \cdot L \cdot K$ [4].

საკონტროლო და საცდელი მცენარეების ბიოლოგიურ თავისებურებებს ვსწავლობდით ფენოლოგიური დაკვირვების გზით.

ფენოლოგიური დაკვირვებების დროს ისწავლებოდა: პირველი ზრდის დასაწყისი და დასას-

რული, მეორე ზრდის დასაწყისი და დასასრული, ყვავილობის დასაწყისი და დასასრული, ნაყოფის მომნიფების დასაწყისი და მასიური მომნიფება. ფენოლოგიურ დაკვირვებებს ვანარმობდით ყოველ 5 დღეში ვეგეტაციის პერიოდში - ნაყოფის მომნიფებამდე.

ნაყოფის მომნიფებას ვსწავლობდით მისი შეფერილობის მიხედვით. შედარებისათვის ვსარგებლობდით 5 ბალიანი სისტემით: 1 ბალი - ნაყოფი მუქი მწვანეა, 2 ბალი - ნაყოფი ღია მწვანეა, 3 ბალი - ნაყოფის ორი მესამედი მომწვანო-მოყვითალოა, 4 ბალი - ნაყოფის ორი მესამედი ყვითელი ფერისაა, 5 ბალი - ნაყოფის უმეტესი ნაწილი ყვითელია.

მოსავალს ვსაზღვრავდით მცენარეზე ნაყოფის დათვლით და წონით. ნაყოფის ხარისხობრივი მაჩვენებლის შესასწავლად, შაქრები ისაზღვრებოდა ბერტრანის მეთოდით, ვიტამინები - მურის მეთოდით, საერთო მჟავიანობა გატიტვრის მეთოდით.

ექსპერიმენტული ნაწილი, შედეგების განხილვა

მანდარინის პერსპექტიული ჯიშების დახასიათებას საბოლოოდ საფუძვლად უდევს მორფოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებანი, რაც ძირითადი მაჩვენებელია მათი ზრდა-განვითარებისა და პოტენციალური ადაპტაციის - ცვალებადი გარემო ფაქტორების პირობებში.

პირველ ცხრილში მოცემულია მანდარინის პერსპექტიული მუტანტის „ლამპარი“-ს ძირითადი მორფოლოგიური პარამეტრები.

„ლამპარი“ გამორჩეულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამპარში, რეზო გოხიძის ფერმერულ მეურნეობაში გაშენებული მანდარინის ნარგავებს შორის, სელექციონერ შოთა ლამპარაძის მიერ 2010 წელს.

ხე საშუალომზარდია, იზრდება 3,5 მეტრამდე, საშუალოდ დატოტვილი და ხშირი შეფოთლილი, ჩონჩხის ტოტები მსხვილი, ერთწლიანი ტოტები - საშუალო სისქის, სიგრძით 14-18 სმ. ფოთლები საშუალო სიდიდის (8,9X4,8სმ), მოგრძო ოვალური, ერთი ფოთლის საშუალო ფართი 37,1სმ², მუხლთაშორისებს შორის მანძილი 2,2სმ. ყვავილები საშუალო ზომის, მტვრიანები 19-21, მტვერი სტერილური. ნაყოფი მსხვილი (79,8 გრამი), მომრგვალო-მობრტყო; კანი ნათე-

ცხრილი 1 ლიანი უნშიუსაგან (ცხრილი1).

მანდარინის პერსპექტიული მუტანტური ფორმის ვეგეტატიური

ჯიშისა და ფორმის დასახელება	მუტანტის საბაზელი		ფორმის განმარტება, მ	ფოთლის ზომა		ფოთლის ფართობი, სმ ²	ყუნწის სიგრძე, სმ	მკვლავამატიის მარცხი, სმ
	მუტანტის საბაზელი	მუტანტის დაბეჭევა, სმ		სიგრძე, სმ	სიგანე, სმ			
უპროდუქციული უნშიუ (კონტროლი)	4,2	85	12,8	10,8	5,1	38,2	2,1	2,3
„ლამპარი“	3,5	57	9,7	8,9	4,8	37,1	1,8	2,2

ლი ნარინჯისფერი, რბილობი წვნიანი, უთესლო, ზოგჯერ გვხდება 1-2 ცალი თესლი. გემო მომჟავო-მოტკბო. რბილობი შეიცავს 8,5% შაქრებს, 37,6 მგ % C ვიტამინს, მჟავიანობა 0,96%, ნაყოფი მწიფდება 5-15 ოქტომბერს, სრულმოსავლიანი ბალი ჰექტარზე იძლევა 55 ტონამდე ნაყოფს (მაშინ, როცა 1 ჰა-ზე 1000 ძირი მცენარეა).

ფართოფოთლიანი უნშიუ

ზე ძლიერმზარდია აღწევს 4,2 მეტრამდე სიმაღლეს, ფართო ოვალური, ხშირად დატოტვილი, კარგად შეფოთილი ვარჯით, ჩონჩხის ტოტები და ერთწლიანი ყლორტები პირდაპირი, საშუალო სისქის, ფოთლები ოვალური ფორმის (10,3X5,1 სმ), ყუნწი გრძელი (2,1სმ), ვიწროფრთიანი, ყვავილები კამკაშა თეთრი, მტვრიანები მრავალი 21-24 ცალი, სტერილური, ნაყოფი საშუალო სიდიდის (ერთი ნაყოფის საშუალო წონა 59,6გ), მომრგვალო-მობრტყო ფორმის, კანი გლუვი, ნარინჯისფერი, რბილობი წვნიანი, უთესლო, მოტკბო-მომჟავო გემოთი, შეიცავს - 7,6% შაქრებს, 35,8მგ % C ვიტამინს, მჟავიანობა 1 %-მდეა. ნაყოფი მწიფდება 15 ნოემბრამდე, ჰექტარზე იძლევა 44 ტონამდე ნაყოფს (მაშინ, როცა 1 ჰა-ზე 1000 ძირი მცენარეა).

როგორც ექსპერიმენტმა გვიჩვენა, მანდარინ უნშიუს პერსპექტიული მუტანტი მორფოლოგიური ნიშნებით განსხვავდება საკონტროლოდ აღებული ჯიშისაგან ფართოფოთ-

ლიანი უნშიუსაგან (ცხრილი1). ძლიერი ზრდით ხასიათდება მანდარინი უნშიუ, რომლის სიმაღლე აღწევს 4,2 მეტრს, შტამბის დიამეტრი 65 სმ-ს, ხოლო ვარჯის გარშემოწერილობა კი 12,3 მეტრს.

რაც შეეხება მუტანტ „ლამპარი“-ს, ცოტათი ჩამორჩება საკონტროლო ჯიშს და მისი შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენს: 3,5მ; 57სმ და 9,7მ-ს.

ფოთლის ფირფიტის ფართობით საცდელი ფორმა მცირედ განსხვავდება საკონტროლოსაგან, იგი შედარებით პატარაა და შეადგენს 37,1 სმ²-ს.

განსხვავება შეინიშნება აგრეთვე, როგორც ყუნწის სიგრძეში, ასევე მუხლთაშორისებში.

იმ მიზნით, რომ შეგვესწავლა მანდარინის პერსპექტიული მუტანტური ფორმის „ლამპარი“-ს ბიოლოგიური თავისებურებანი ვატარებდით ფენოლოგიურ დაკვირვებებს (ცხრ.2)

ცხრილი 2

მანდარინის პერსპექტიული მუტანტური ფორმის „ლამპარი“-ს ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა (2012-2016 წლების საშუალო მონაცემები)

№	ჯიშისა და ფორმის დასახელება	კვირტების ფაზა		მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება		
		მუტანტის ფორმის დასახელება	მუტანტის ფორმის დასახელება									
1	უპროდუქციული უნშიუ (კონტროლი)	31.III	10.IV	12.V	45	9.VI	19	10.VI	31.VII	9.IX	1.XI	15.XI
2	„ლამპარი“	25.III	4.IV	18.V	40	27.V	15	2.VI	20.VI	25.VIII	5.X	15.X

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ კვირტების გაშლას „ლამპარი“ – 5 დღით ადრე იწყებს ფართოფოთლიან უნშიუსთან შედარებით, 1 ზრდას კი - 6 დღით.

რაც შეეხება პირველი ზრდის დამთავრებას, სხვაობა საცდელ და საკონტროლო მცენარეებს შორის 8 დღეა.

